

ნოტიურან არატექნიკი

იუდოინიცული

ჭალიაციგმი

ჭოლილოვალ თემებზე



გამომცემლობა „ანივერსალი“
თბილისი 2021

რედაქტორი ავთანდილ არაბული
მხაატვარი მერაბ ფირანიშვილი

დამკაბადონებელი ნანა დუმბაძე

© 6. არაბული, 2021

გამომცემლობა „ენივერსალი“

თბილისი, 0186, ქ. აოლიბაოვსაძის №4, ჟ: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

ISBN 978-9941-26-951-6

ნებულური უკანონი

იუმორს, რომელიც ადამიანის არსებობის ზოგადი ნიშანია, უეჭველია, აქეს სპეციფიკური ეროვნული ხასიათი – თუნდაც იმიტომ, რომ ის ყველაზე უკეთ გამოხატავს ეროვნულ ხასიათს.

თუნდაც მიკერძოებული ვიყოთ: ქართულ იუმორს ნამდვილად გამორჩეული ადგილი უჭირავს ამ უანრის საკაცობრიო საგანძურში.

ამავე დროს ქართული იუმორიც, მთლიანად სიტყვიერბისა არ იყოს, მეტად მრავალფეროვანია: აბა, სად სხარტი გურული იუმორი და სად – დინჯი, მაგრამ ძირფესვიანი კახური, სად იმერული და სად – რაჭული... რა-საც (ამ ნაირგვარობას) უთუოდ განაპირობებს შესაბამისი კუთხის ცხოვრების ნირი, წეს-რჯული, ტრადიციები და თვით კულინარიაც კი.

შეიძლება ითქვას, სხვა კუთხეთა შორის ყველაზე ნაკლებ არის ცნობილი ხევსურული იუმორი.

ხევსურული პოეზიის დიდმა ამაგდარმა აკაკი შანიძემ იმთავითვე შენიშნა, რომ ხევსურული ლექსი ძირითადად საგმირო-სარაინდო ხასიათისაა, სხვა თემებისათვის ხევსური მთქმელი ვერ იცლის. მართლაც, ხევსურული ფოლკლორი ისეთ შთაბეჭდილებას ქმნის, რომ ხევსურს გამოკვეთილად პირქუში, სერიოზული დამოკიდებულება აქვს ამა სოფელთან, წარმავლობასთან, ვაჟა-ფშაველას ირონიული პორტრეტისამებრ – „ხევსური გამოხვეულა ათასგან გამთელებულ ტყაპუჭმი და „ფეხ-თათიანი“ გამოიბდვირება გარეშემოზედ.“

მაგრამ სადაც ჭეშმარიტი პოეზიაა (როგორიცაა ხევ-სურული პოეზია) და სადაც წუთისოფლის ფილოსოფიური ჭვრეტა გვაქვს, შეუძლებელია იქ ირონია და იუმორიც არ იყოს. რუსთველური პოეტიკის თანახმად, ლალობა, ანუ იუმორი რაინდული ურთიერთობის ერთ-ერთი ნათელი ნიშანია. უთუოდ ეს ნიშანი დაინახა ხევსურთა ყოფაში იმავე აკაკი შანიძემ, როდესაც არხოტში უცხოდ მისულმა დამხდურებს ასეთი რეპლიკა შესთავაზა: – მართალია, ხევ-სურებო, რომ არხოტში გვირაბი უნდა გაიყვანონო? და თვითონვე უპასუხა: – ბურაოს კი ვერავინ დააბრუნებს, ბაბურაულის მეტიო!

რაც მთავარია, არხოტელებმა გურული ახალგაზრდის ეს ხუმრობა სრულიად ბუნებრივად მიიღეს.

ხევსურულ პოეზიაში ნამდვილად ჩანს ღრმა და მოზომილი იუმორი. იუმორი კი მით უფრო ფასეულია, რაც უფრო ღრმა და შეფარულია. ხევსური მელექსე გვიყვება, რომ თავდამსხმელებს გაკიდებულ მდევარს თავადაც ახლავს – „ზოგნი – წინ, ზოგნიც – უკანა, შუაში სადამ მე ვარიო.“ ამ პასაჟში კიდევ ერთი განსაკუთრებული ნიშანი ჩანს – თვითირონია. იუმორი ხომ ძირითადად ექსტრავერტული ხასიათისაა, რაც თავისთავად გულისხმობს დახვეწილ ტაქტს (რის გარეშეც უმალ ვულგარული ხდება). მაგრამ განსაკუთრებით ფასეულია, როცა იუმორი ინტრავერტულ ხასიათს ატარებს, ანუ თვითირონია და თვითსარკაზმი შემოდის.

ხევსურული ეტიკეტი, საზოგადოდ, სხვაზე (მათ შორის – მეტოქეზე) კარგის თქმას, სხვის ქებას („სხვისა იუბნოს სახელი...“ ვაჟა), ხოლო საკუთარ თავზე ირონიით ლაპარაკს, ანუ თავის დამდაბლებას გულისხმობდა. ამი-

ტომაც არის, რომ ფიზიკური თუ სიტყვიერი პაექრობის აღწერისას ხევსური მეტოქის ლირსების აღსანიშნად სიტყვას არ იშურებს და, იმავე დროს, არ ეთაკილება, თუ თავს დაიკინებს. ზემოთ „შუაში მყოფის“ თვითირონიაც ამას უკავშირდება. ალექსი ჭინჭარაულს ჩაწერილი აქვს ერთი თავმოყვარე, სახელის მაძიებელი ვაჟუაცის მონათხრობი: ბარისახოდან წამოსულმა ჩავითიქრე, – ვინც გზად შემხვდება, ყველას შულლად უნდა გავუხადოო. ღელისვაკეს ქვეითად მიმავალ, წვიმით დასველებულ ერთ საწყალ ხევსურს წამოვეწიე. თხის ტყავი და ძირგამძვრალი ჯღნები ეცვა, წვერმოშვებული იყო და წვიმისაგან წვერი ჩამოლატკული ჰქონდა, ერთი საბანდდახვეული საშეშე ხანჯალი ება წელზე. ცხენდაცხენ მივადექი და თამბაქო მოვთხოვე. – არა მაქვს, ყალიონ-სათამაქოე სახლში დამრჩაო, – მითხრა. – შენი ყალიონ-სათამაქოე არ ვიცი, ახლავე თამბაქო ჩამიყარეო! კიდევ რომ გავუმეორე ბრძანება, „ერთბაშადავ ამ კაცსავ ფერ ახწდავ, ნაცარ რო აისრ გაკდავ, აიტკრიცავ, ჩამალატკულნ წვერნივ თავ-აღმ აუბრუნდესავ, დაუბლრუჭდავ აი ბეწვებიო-დ ცხვირის ქინტოჩი დეჩარავ, პელივ ხანჯრისკე წაუვიდაო?“ მითხრავ: „გინდაევ თამაქოივ?! თუ გინდავ, კელა ჩაგიყრივ მწარის წეკვაის თამაქოსავ!“ – არ მინდა, არა, წადი, თუ ღმერთი გწამსო! – ვუთხარი და გავცილდიო.

კონტრასტისა და ჰიპერბოლის მხატვრული ხერხების მართლაც ოსტატური წარმოდგენაა ხევსურის ამ ნარატიულ პორტრეტში (ჯერ გარემოებისაგან დაბეჩავებული, შემდეგ კი გაბრაზებული ხევსურის სურათი); როგორც ერთ ხალხურ ლექსის უთქვამს: „ჩემს მტერსამც გამაუდგე-

ბა წვერგამაშვებულ ხევსური...“ რაც მთავარია, ხომ აშკარაა, რომ ამ ამბის მთხოვნელი შიშნაჭამი კაცი არ არის.

წინამდებარე წიგნის ავტორს – ნოშრევან არაბულს, ვინც ბევრი ისეთი რამე გამოარჩია ხევსურთა ძველი ყოფიდან, რაც სხვათა თვალს შეუმჩნეველი დარჩენოდა, ვინც ხევსურული ეთნოყოფის ორი გამოკვეთილი ინსტიტუტის – შუღლისა და დოლის – უაღრესად საინტერესო აღწერა აჩუქა ქართველ მკითხველს, ჩანს, გზადაგზა ხევსურული ფოლკლორის სალალობო პასაუებიც მოუთადარიგებია.

რაც მთავარია, მას ფრიად ორიგინალურად დაუნახავს ეს შემოქმედებითი ამოცანა – ხევსურული სიტყვიერების საკმაოდ იმვიათი, მაგრამ დიდად ფასეული სიუჟეტები თანამედროვე ლიტერატურულ ტექსტებად ექცია.

მას რომ კალამი უჭრის, ამას მტკიცება აღარ სჭირდება, მაგრამ ამ ტექსტებში თხრობის თანამედროვე სტილის კიდევ ერთი თვისება შემოდის – ერთმანეთს ოსტატურად ავსებს მხატვრული და (ირონიული) მეცნიერული სტილის ელემენტები და ერთი მეორესთან სრულიად ბუნებრივად მონაცვლეობს.

იმ ნარატიულ სიუჟეტებს შორის, რომელნიც ავტორმა შემოქმედებით სამიზნედ აირჩია, განსაკუთრებით ცნობილია „გაბურთ ეშმას“ ამბავი, გასაოცარი მისტიკურ-ფილოსოფიური შინაარსის შემცველი არხოტული გადმოცემა, რომელსაც, როგორც ჩანს, იმთავითვე დაჰყვა იუმორისტული ელფერი, რაც შემდეგ კიდევ უფრო გაძლიერდა. ერთმა გაბურმა სათიბში ეშმაკი დაიჭირა – ეშმაკს ეშმაკობით აჯობა და სახლის მსახურად დაიყენა. თხრობის განსაკუთრებული მხარეა გრძნეული ეშმაკის მიერ მხილებული ფარული ადამიანური ფიქრები; ასევე ის ეჭვები, რომლებიც ბუნებრივად მოსდევს ადამიანისა და ეშმაკის

ურთიერთობას. ნოშრევან არაბული მართლაც ოსტატუ-
რად გარდასახავს ამ ხალხურ გადმოცემას.

წიგნს რამდენიმე ასეთი ამბავი ამშვენებს. მათ შორის
განსაკუთრებული მხატვრული ღირსებით გამოირჩევა
მწერლის მიერ ხორცშესხმული ღულელთა მიერ პარასკე-
ვის დაკარგვის ამბავი („დაკარგული პარასკევი, ანუ უთა-
ვო მოლაშქრენი“). შეიძლება ითქვას, ის სრულყოფილი
ლიტერატურული ნაწარმოებია. ამბის მიხედვით, ერთ
მშვენიერ დღეს ღულელებმა პარასკევი დაკარგეს. ფოლ-
კლორი დაკარგული დღის ძებნის სახალისო ამბავს მოგ-
ვითხრობს. თუ როგორ ასხამს ხორცს პარასკევის დაკარ-
გვისა და ძებნის შემთხვევას მწერალი, ამის დაგემოვნებას
თქვენ დამოუკიდებლად უკეთ შეძლებთ.

ვსარგებლობ პირველმკითხველის უპირატესობით და
გზას გილოცავთ ისტორიული ხევსურეთის იუმორისტულ
სამყაროში სამოგზაუროდ. თქვენ დარწმუნდებით, რომ
ხევსურებიც იცინიან!

რედაქტორი

ხელშეკრულობის დოკუმენტი

500

ზოგადი დოკუმენტი საქართველოს მთავრობის

ხანდახან, ერთი შეხედვით, საოცარ რამეს წაადგები თავზე, წაადგები და შეხედავ და შემოხედავ და შეხვალ და გამოხვალ და მერელა მიხვდები, რომ არც ისეთი რამ საოცრების მხილველი ყოფილხარ, შენ რომ ქვეყანა შეყარე და მოწმედ მოუხმე. მართლაც და რა მოხდა მერე, ჩვენ ხო ყველა ერთმა ღმერთმა შეგვქმნა, ძველნიც და ახალნიც, ძველი ბერძნებიც და „ხთიშვილნიც“ და თავად დევნიც კი და ეს თანადროული სამყაროც, უთვალავი ფერით რომ გვაქვს, იმავ ღმერთისგან არაა ბოძებული?!

ჰოდა, გიჩნდება დაახლოებით იმგვარი განცდა, უცხო ქვეყანაში რომ დაიარები და მოულოდნელად ძალზედ შინაურს ვინმეს გადააწყდები და, თან რომ გახლავს შენი გულისა და გონების მოზიარე, იმასაც გინდა გააცნო ის შინაური თუ ახლობელი, თუ მოყვასი, სულაც, და სიამოვნებით წარუდგენ ერთს მეორეს და იმ მეორეს კი-დევ – ამ ერთს...

და ჩნდებიან ასოციაციები, იპადებიან თვალსა და ხელს შუა.

და გასრიალდებიან პარალელები, გონების მზერით გაანათებენ საუკუნეთა წყვდიადს.

და გეუფლება ღიმილით შემოსილი განცდა და ახლავს იმ ღიმილს სევდიანი ნაოჭიც – ეგებ არ ღირდეს ან, სულაც, საიდან – სადაო?!

არა აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა იმას, თუ გახმაურებული იუმორისტული ლექსი „დევების კორნილი“ ვინა თქვა: ბაბუა გიგაურმა, ობოლა წიკლაურმა ან ბეწინა წიკლაურმა თუ, სულაც, ვინმე სხვამ და ამათ კი „გააქვეყნეს“; ახლა ის უფრო მნიშვნელოვანია, თუ როგორი სიცხადითა და ემოციური ექსპრესით არიან დამუხტული პერსონაჟი დევები, რა დინამიკითაა გადმოცემული საქორნილო ორგია, რა ზუსტი და ჯანსაღია მთხოვბელის თვითირონია და ირონია საერთოდ და რა ახლოა მოტანილი შორეული და უხილავი მითოლოგიური პერსონაჟების ყოფა, ქცევა და პორტრეტები.

ყოველივე ამას თავის დროზე აკაკი შანიძეც აღუფრთოვანებია, აღუფრთოვანებია აღექსი ოჩიაურიც და შეუტანიათ კიდეც თავიანთ კრებულებში ეს იუმორისტული ლექსები, მათი სხვადასხვა ვარიანტები.

როგორც აქედან ჩანს, გულიანად აუხარხარებია ამ ამბავს მძიმე-მძიმე ბლოვლებიც და ფიცხი არხოტივნებიც.

ვერც ჩვენ წავიკითხავთ ამ ლექსებს უღიმილოდ.

დევების კორნილი

როშების ჭიუხებში, მივარდნილ კლდე-ღრეში მოხეტიალე მონადირე დალლილ-დაქანცული მივა იმ უშველებელი კლდის ეხში, სადაც ბინა უნდა დაედო და ღამე გაეთია. ფეხებზე გაიხდის, ჯლნებიდან დასველებულ ქუჩის

ბალახს გასაშრობად ამოყრის და გაძველებულ ჯიხვის ტყავზე დასასვენებლად მიწვება.

ვინ იცის, რამდენ ხანს ეძინა. უკვე შორს წასული ღამე იყო, რომ ანაზდეულად გარედან შემოსულმა ქვების რახარუხმა და უცნაურმა ჩქამბა გამოაღვიძა.

კი გასძახა შეცეპუნებულმა მონადირემ – მანდ რომელი ხარო და იქვე ნადები ხანჯალიც მოსინჯა ხელით, მაგრამ ზედ ეხის შესასვლელთან ორი ახალგაზრდა დევი ხორხოცით შემოეყუდა და სულმოუთქმელად შემოსძახეს – მოპატიუები ვართ, მოპატიუები, ქორწილში უნდა წამოგვყვეო:

„ჯლანა-ბელელან მანევენ შულამის დროჩი, ბნელასა.“

თავი დამანებეთ, რა მექორწილება, ისე ვარ დაღლილ-დაჩეხილი, ფეხზე ველარა ვდგებიო, მიაძახა, მაგრამ არაფრის გაგონება არ უნდოდა არც ჯლანასა და არც ბელელას – მასპინძელმა, მთელს აბუდელაურს ეგ ერთი სტუმარი გვყავს, არაფრით არ დატოვოთ, ეხლავე აქ მომგვარეთ, თუ არა – თვალით არ დამენახოთ, მთელს დევეთში თავი მომეჭრებაო.

შეფიქრიანდა მონადირე: წავიდე – ვაი თუ გალე-ქებული დევების ლუკმა გავხდეო, არ წავიდე და – სხვა კიდევ რა ისეთი მიზეზი მოვიგონოო და რო ველარაფერი – ჯლნებში ჩასაგები ბალახი დამისველდა, მშრალი კიდევ არა მაქვს, ამ შუა ღამეში სად მოვთიბო; გათენდება, ერთი კოხტად გამოვენყობი და ჩემი ფეხით გეახლებით, ბატონოო! – მოახსენა.

ჯლანამ და ბელელამ ჯერ ცალყბად გაიღიმეს, მერე ერთმანეთს შეხედეს, – ამ ვირ-ეშმაკს უყურე ერთი, ადამიანიც რო დევების მოტყუუბას მოინდომებსო, – ჩაიუბნეს, ეცნენ მონადირეს, ერთმა ერთ ხელში სტაცა ხე-

ლი, მეორემ – მეორეში, ასწიეს, აიტაცეს და ისე გააქრო-ლეს, რომ მიწაზე არც კი დააკარებინეს ფეხი.

„გამწევენ ჭიუხთაკესა, მავლევენ ფეხშიშველასა,

აბუდელაურ მივედით იმ მასკვლავთ გადადენასა.“

ცისპირტეხა იყო და აბუდელაურის ტბებში დი-ლის ჟიურიბანდი ათასფერად ციალებდა, მონადირე და იმისი მოპატიუები მამასწვერას გამოქვაბულს რომ მი-ადგნენ, საიდანაც „ტოშის ხმა გამადიოდა, კლდეებ გაი-ღებს ჟერასა.“

გაუკვირდა მონადირეს – კაცნი სალამოზე ვსხდე-ბით საქორწილოდ, ამათ კიდე გამთენისას სცოდნიათო, – მაგრამ არაფერი შეიმჩნია; ახლა თავისი შიშველი ფე-ხები უფრო ადარდებდა – რას იტყვიან, რას იფიქრებე-ნო, მაგრამ იმან გაუადვილა თავისი მდგომარეობა, რომ დევებიც სულ თავშიშველ-ფეხშიშველნი იყვნენ...

დევების ნაწილი, მასპინძლები, ალბათ – ახალგაზ-რდები, როგორც ჩანს, ქორწილის დაწყებამდევე შექე-ფიანებულან (ჰმ!.. მზარეულებთან ჩაუფენდნენ თითო-ორ-ორს!), შეგვიანებული მაყრიონის მოსვლამდე თავს იქცევენ (ბანქოს თამაშით დროის მოკვლა მათი საქმე არაა), უკვე „ვაი–ვაგლახობენ“ და მღერიან, ოლონდ, მერე ისინი უკვე აღარსად ჩანან (ეტყობა, უიპიტაური(?) მეტი მოუვიდათ და გამოფხიზლების მიზნით მცირე ხნით მოისვენეს!..), თორემ, შემდგომ და შემდგომ, დევის ქალის გათავხედებულ მაყრებს იმის უფლებას არ მის-ცემდნენ, რამაც მშვიდობიანი და დევური სიამტკბილო-ბისთვის რუდუნებით მომზადებული ქორწილი ჩაშლამდე მიიყვანა. პირიქით, მამასწვერა და ჭიბიხოელი (უშედე-გოდ ვეცადე სოფელ ჭიბიხოს კოორდინატების დადგე-ნას), შეძლებისდაგვარად, წესრიგის დამყარებასაც კი

ცდილობდნენ, თუმცა აქვე უნდა აღვნიშნო: მოგვიანებით ცხადი გახდება, რომ არც იმათ აღმოაჩნდებათ მოჭარბებული „ნაფქვავი,“ ბოლოსდაბოლოს დევთა მძლე-თამძლე სხეულებიც ხომ იმგვარივე ფაქიზი ნერვებითაა ნაქსოვი, რაითაც კაცთა?!

ჰოდა, ეს სანადირო ტყაპუჭ-პაჭიჭში გამოწყობილი, თუმცალა უფეხსაცმლო, მაგრამ ულვაშაპრეხილი და მზერადაძაბული ხევსური, წვევისას ჯლანა და ბელელა რომ წამოადგნენ თავს და აწვიეს კი არა, ასწიეს და გამოაქროლეს, თქმა არ უნდა, თავიდან კიდეც შეცბა და კიდეც შეფიქრიანდა, მაგრამ ნირის წახდენას როგორ შეიმჩნევდა და მასპინძლების მიპატიუებას მოჩვენებითი ხალისიანობითაც კი დაჲყვა. ეტყობა, ჯერ მონადირებული არაფერი ჰყავდა, თორემ იმასაც თანაბრად და ერთგვარი სიამოვნებითა და სიამაყითაც კი გაუყოფდა დევებს და ასე განსაჯე – ეგებ პატივისცემაშიც კი მიეთვალათ. აბა, ესე, კაცო? – ჯიბეგახვრეტილი კაცი ვის რაში სჭირდება ქორწილში?!

ქორწილი კი, როგორც აქედან მოჩანს, მამასწვერა-ანთა უნდა ყოფილიყო, მეტიც – ბერა მამასწვერას შვილი უნდა იყოს; წინააღმდეგ შემთხვევაში გაუგებარია, რატომ უნდა მოერთვა „დიდიდებ ყანწები“ მაინცდამა-ინც მამასწვერას (რა, იმათი ბავშვი იყო და – მიდი რა, მამასწ, გაიქციო, – თუ რა!!!), ან რატომ უნდა შეესვა თამადას (საინტერესოა – არჩეულს თუ დანიშნულს?!) შიგ შუა ქორწილში ნეფის ძვირფას მიცვალებულთა შესანდობარი (ცხადია – ფეხზე ადგომით!) აირიას და ხერას თამადობით (უნდა ვივარაუდოთ – უდროოდ წასულების!) და ისიც აუცილებლად განსხვავებული სასმისით – ჯიბევის რქით? ან რამ გამოიწვია მაინცდამაინც მამასწვერას

ისეთი განრისხება, რომ ქალებიც(!) კი ვეღარ იჭერდნენ, თუ მასპინძელი და ოჯახის უფროსი არ იყო?

ვგონებ, საკმარისად მტკიცე არგუმენტებია!..

ისე, აქვე უნდა ითქვს, რომ ეს მამასწვერა კაი შეძლებული მაცხოვრებელიც ყოფილა (შესაძლოა, სულაც, დევთა ბეწვეულის წარმოების მაგნატიც!), ჭურჭელიც მრავლად ჰქონია და – უნდა ვივარაუდოთ – ძვირფასიც: „იქ რაიც ჭურჭელ ჩამადგეს, აქ მე ვერ ვათქმევ ენასაო“, შენიშნავს ენაწყლიანი მონადირე, რომლის გამჭრიახი მზერის მიღმა ვერცერთი დამახასიათებელი დეტალი ვერ იმაღლება.

ეკონომიურად ბანჯგვლიანწელმომაგრებული დევიკი ჩანს მამასწვერა, მაგრამ მდიდრების უმეტესობასავით წუნურაქი და გულხელგაუშლელი როდი ყოფილა – შვილის ქორწილში ყველა ახალგაზრდა დევი დაპატიჟა, გარდა ბოდახეველებისა (სამწუხაროდ, მიუხედავად თავ-გამოდებული მცდელობისა, ვერც ამ სოფლის ლოკალიზაცია შევძელი!):

„უძახეთ ახალუხლებსა, ნუ ვის გასწირავთ, ყველასა!

ნუ აწევთ ბოდახევლებსა, ითრევენ ძალლის ენასა.“

ასეთი ბრძანება გასცა ოჯახის უფროსმა, რომელიც ენატანია და ენაჭარტალა ხალხს თვალით დასანახად ვერ იტანდა.

მამასწვერაანთ გამოქვაბულის ცხენისგაჭენება საქორწილო დარბაზში, რომლის ერთ კუთხეშიც ვეებერთელა, ხორციანი ქვაბები თუხთუხებდა, საგანგებოდ და საეგებიოდ გასუსული ზის თადარიგიანი და თვალგულისმძლეველი ხევსური და გულის კანკალით უყურებს, როგორ შემოდგონდგორდებიან წვეული ახალგაზრდა დევები და შემოსვლისას როგორი ბლვერითა და ამრე-

ზით გადაავლებენ თვალს, მერე კი მასპინძლის მისამარ-
თით უკმაყოფილოდ ჩაიბურდლუნებენ:

„ეს საითალ ვინ მასთარეთ, ჩვენებსავით რო ვერ ასა?“

ერთი ცხვირპირდაჩებილი და რქამწვეტი დევი ჯერ
ხო „კინალით გასქდა ბლვერასა“, მერე კი ისე გაკადნი-
ერდა, რომ გადავიდა, გვერდით მიუჯდა და საშარო სა-
უბარიც კი დაუწყო მონადირეს – „რად მოითარე შენავ
აქავ? არც-რა ხარავ შენავ ჩვენ-ფერივ“.

მაგრამ მამასწვერა არა მარტო კარგი მასპინძელი,
დიდად კაცთმოყვარე დევიცაა და საშაროდ აღრენილ
ახალგაზრდებს დატუქსავს – ემანდ ჭკვიანად იყავით, ნა-
მეტანიც არ მოგივიდეთ, „ქორწილ უხარის ყველასაო“.

მოწვეულთა შორის, დაკვირვებული თუ გაკვირვე-
ბული მონადირის ყურადღება ერთმა ნაკლებად სიმპა-
თიურმა დევმაც მიიქცია:

„ერთ რაიმ რქიან მავიდა, კუდი ღბავ, როგორც მელასა,
თვალ უზის შუა შუბლშია, საცრის ოდენ კი ვერ ასა,
მეორე კუჭულაშია, უკენისკენაც ხენასა.“

მაგრამ იყო ისეთი სასიკეთო და საინტერესო შემო-
თავაზებებიც ჰუმანიზმის მაღალი პრინციპებით აღ-
ზრდილი ახალგაზრდა დევებისაგან, როგორიცაა ძმად-
ნაფიცობა. აქაო და ამ ადამიანმა უცხო გარემოში თავი
მარტოდ და გარიყულად არ იგრძნოსო, ერთი თანატო-
ლა დევი, სახელად პეტრა, გვერდით მიუჯდა თვალ-ყუ-
რად ქცეულ მონადირეს და – ვიძმობილოთო, – შესთა-
ვაზა.

გაუხარდა მონადირეს, ძმობილების მეტი რა ჰყავ-
და, მაგრამ აბუდელაურს, სადაც ჯიხვზე სანადიროდ
ხშირად დადიოდა, ძმადნაფიცი და საიმედო მასპინძე-
ლიც თუ ეყოლებოდა, ამას რა სჯობდა!

დატრიალდა საპასუხო კეთილგანწყობით თავადაც ნასიამოვნები პეტრა, ჩამოდგა მაგიდაზე უშველებელი თასი, გაავსო ლუდით, წაიძრო თითიდან ოქროს ბეჭედი ჩასათლელად და რომელიღაც ცელქ, ჯერ კიდევ ურქო ყმაწვილ დევს გასძახა – დეკანოზი მიხმეო!

და აი, მობრძანდა მისი აღმატებულება დეკანოზიც, რომლის შთამაგონებელმა და აღმაფრთოვანებელმა გარეგნობამ მოწინებისა და კრძალვის დიდი გრძნობა აღძრა მონადირეში. მოვუსმინოთ მას:

„დეკანოზ შამოიყვანეს, კულას შაუგავ მქრებიო.

ორ მტკაველ ება კუდადა, რქან უდგან როგორც ვერძიო.

ფექნ რაიმ ედგნეს მრუდადა, თვალ უზის ყურის გვერდიო.

ეგრე უმწკინავს თვალები, გველთ-სალოკა რო მზეშიო.“

ვინ იცის, როგორი მონადირე იყო ჩვენი მთხოვნელი, მაგრამ შესანიშნავი პორტრეტისტი კი ყოფილა!

ამასობაში კი გახურდა ქორწილი, ბუქნაში ამოდიან დევები, აელვებენ წინა და უკანა თვალებს და დგანდგარებს არემარე.

ქორწილში ქალის მაყრები არა მარტო ხევსურეთში, დევეთშიც, ეტყობა, თავს საკმაოდ ლალად და თამამად გრძნობდნენ.

წამოიმართა ერთი ბალანაშლილი, შეზარხოშებული მაყარი, მკერდიდან ბეწვი მჯილით რამდენჯერმე ჩამოიფოცხა და თამადისაგან სიტყვის თქმის უფლება არც თუ ისე თავაზიანად ითხოვა.

როგორც ყველა თამადას, ამასაც არ მოეწონა ეს, მაგრამ – რაზეა ბაასიო, – მიუგო, აღარ გაიტეხილა, – ბალლია, გაიხაროსო.

და მაშინ მოსთხოვეს მამასწვერას „დიდიდი“ ყანწები.

ამან კიდე – თქვენ შემოგევლოთ ჩემი რქიანი თავი, ოღონდ თქვენ ბრძანეთო...

ხოლო იმან – ჩაცალა ლუდიანი ჩხუჭი ყანწში, უჩვეულოდ მოკლედ წარმოთქვა შესანდობარი – „შაუნდნას ჩამავლეული, ვინც რომ დააკლდა ბერასაო“, და გადაჰკრა კიდეც სულუქცევრად მამლაყვერამ.

გადაჰკრა კი, ნიკაპზე და მკერდზე ჩამოქცეული სასმელიც დაუდევრად ჩამოიბერტყა და სუფრაზე მიმოაპკურა, მაგრამ მაინც „გუნებას ვერ ასა,“ რაღაც უშმური ხასიათი აჟყვა იმ დღეს.

– მადა მარტო ჭამაში კი არა, სმაშიაც მოდისო! – გადაუხარხარა მამლაყვერამ ერთ-ერთ შეზარხოშებულ და რქადოჯა თანამეინახეს, უშველებელი ძვლის გალო ყბაში ერთი გამოსმით გამოხოტრა და ახლა უფრო მოზრდილი და კიდევ უფრო განსხვავებული რამ სასმისი მოითხოვა.

ახლა კი აიჭმუჭნა თამადა – ვინაა ეს ჩემისა, თავი თავის გამოქვაბულში ხო არ ჰგონიაო, მაგრამ მამასწვერას ხათრით აღარაფერი თქვა.

მამასწვერამ კი – არ გინდა, შვილო, ვაი თუ დაგათროს, თორე სასმელი კი არ მენანება – რო დავაქციო, აემ გამოქვაბულს პირთამდე გაავსებსო.

დაგათროსომო!!! – წაავლო ფრჩხილებამდე ბალნიანი ტორი მამლაყვერამ მაგიდაზე ჩამოდგმულ ჟიპიტაურით გაპიპინებულ თულუხს, ერთი კი მოავლო მრისხანე მზერა უკმაყოფილო მასპინძლებს, მერე მოიყუდა, „გადაიწურნა, დაცალნა, დახკრა კერასა“ და მამასწვერას მისამართით სლოკინ-სლოკინით ამოიბურდლუნა – შენთვის, ბიძიკო, ჩემს ჯანმრთელობაზე ზრუნვა ჯერ არავის დაუვალებიაო!

მაშინ კი აევსო მოთმინების არც თუ ისე მოზრდილი ჯამი ჭიბიხოელ დევს, უნდა ვივარაუდოთ – მამასწვერას ბიძაშვილს – და, შენ აქ ვის იგდებ მასხრადო, ჯერ ერთი ბანჯგვლიანი სილა გააწნა გათავხედებულ მაყარს, მერე კი ცხვირი ცხვირზე მიაჭყლიტა და მრისხანედ შეუძახა – „ეხლა გიტირებ ყველასაო“. როგორც ჩანს, საზოგადოებაში გინება დევებისთვისაც მიუღებელი იყო, თორემ, ალბათ დამეთანხმებით, ის დევის მუტრუკი „ყველას ტირებაზე“ გაცილებით მეტსაც იმსახურებდა...

და აირია კიდეც გამოქვაბული...

აირია და რა დროს და რა მომენტში... ის იყო, დეკანოზს ოქრო უნდა ჩაეთალა ლუდიან თასში და ძმადგაფიცის რიტუალი წამოეწყო, რომ სწორედ მაშინ ატყდა ვაი-უშველებელი:

„დაჰკარით, მყოლებ იძახან, ჭერნ ავუყუდნათ ბერასა,

მე რო მაგათ შულლს შავესწარ, მაგათ ფარ-ხმლების

კლერასა,

ერთუცისაკე ზიდილსა, მაგათ ქურების ბერვასა!“

მამასწვერა ჯერ ხო აშოშმინებდა და აშველებდა და აწყნარებდა ხან ტანისამოსიდან გამოსულ, გადარეულ ჭიბიხოელს, ხან გალექებულ მამლაყვერას (სიის სახელი?..), ხან მაყარ და ხან შინაურ დევებს, მაგრამ რო ვეღარაფერი გააწყო და გააგებინა და შეასმინა, მერე კი თავადაც ჭიბიხოელივით გაევსო და პირთამდე გაეცამცმა მოთმინების საკმაოდ მოზრდილი ქვაბი, გააშიშვლა თავისი გამოჭედილი ხმალი და გათავხედებულ სტუმრებს შემოუძახა:

„რაიც რო შასვით, შაშჭამეთ, ცეცხლად მაგიქცევთ

ყველასა.“

ეცნენ მშვენიერი, ტანფეხბერვგაზიმზიმებული და თვალწარბშეღებილი დევი მანდილოსნები მამასწვერას, ემუდარებიან, იჭერენ და ვეღარ იჭერენ, ტირიან და „ნკუტუნებენ“ და მოსთქვამენ და ამ დროს, მაყართა-განმა ერთმა, თვალი რომ რატომლაც ყურის გვერდით (კიკიმოში) ება, საიდანლაც „სახნის მაილა, ჩადვა ქაქეშ-ჩი, ღბერავსა“.

არა, ცუდი რა არის იმაში, შრომა-საქმიანობა რომ გიყვარს, დღე და ღამეს რომ ასწორებ, მაგრამ იმისათვის, რომ დილა-უთენია ხვნა-თესვა არ გაგიცდეს, ის შენი გატეხილი სახნისი ქორწილში კი არ უნდა მიიტანო გასამთელებლად და არც ისეთი წუნურაქი უნდა იყო, რომ მზა ცეცხლს დაეხარბო – შეშა არ დამეხარჯოსო და ის გამოსაჭედი სახნისი ხორციანი ქვაბის ქვეშ კი არ უნდა დურთო, უნდა იქეიფო ქორწილში, დააფასო მეზობელი და ის საქმე სხვა დროს გააკეთო. ვინ გაპატიებს, თუ ძმა ხარ, ვინ გადაგაქცევინებს საქორწილო დარბაზს სამჭედლოდ. გითხრეს, „ეხლადავ მაგის ჭედისა არ ასავ“! არა, არ იქნა, არ გაიგონე და:

„სხვამ დასცა წიხლი იმ დროსა, თავ შაუგლივა კერასა,
წამამხტარმ წამაიყოლა, გაშანთებულ კი ვერ ასა,
ლაშთა სდვა გაპრუნებული, ცეცხლი მაედვა ენასა...“

ისე, ის გუთნისდედა დევი საკმაოდ ხელგამოტანილი და ყოჩაღი კი ყოფილა: დევი რო თავში წიხლს ჩაგუემს, დევი! მერე იმ თავს კერიის ფუჭვიან ქვას „მიაგლი“ და კიდე იმდენი გონება და ძალა შემოგრჩება, რომ წამოხტები, თან შიშველი ხელით გაცხელებულ რკინასაც წამოიყოლებ და იმ შენს „პატივისმცემელს“ ლაშ-ყბაში ისე შემოჰკრავ, რომ „ცეცხლი მოედვას ენასა“ ...

რაღა დროს ძმადნაფიცობა იყო და რაღა დროს მალებნეობრივ თემატიკაზე და პრობლემატიკაზე სჯაბაასი. თანაც იმავდროს ისეთი რამ მოხდა გამოქვაბულის სილრმეში, რომ დევების ეს ღრმადპატივცემული საზოგადოება სასოწარკვეთილებაში ჩააგდო.

ვინ არ დავმთვრალვართ, მაგრამ დევი რომ ისე გადავა ჭკუდან და ვნების ალი ისე ძალუმად შემოენთება, რომ ვის – ვის და საკუთარ რძალს უადგილო ადგილას დაუწყებს ხელების ფათურს, ეს უკვე, კარგი რააა, ნამეტანია!

გადახვევა გასაგებია: მაზლი რომ რძალს გადაეხვიოს და თავისი ემოცია მოკრძალებულად გამოხატოს, რა მოხდა ახლა! მაგრამ ბერას ძმამ გადახვევა არ იკმარა და ფარაგიც ჩამოგლიჯა ძმის ცოლს.

„ჩამაუგლიჯეს ფარაგი, გულზე დაიხვევს ხელათა,

ნემსჩი მუშის-ფეხ ასჩარეს, ფარაგს დაუწყებს კერვასა.

მეც ვნახენ იმის ძუძუნი, ბურდლლ ესხა როგორც მელასა,

ნელთოთობას კი სრუ ესხა, ვინ შინჯავს მაგის ქვენასა.“

„შინჯავს“ – კაია! ჰმ!..

იუხერხულა ქალმა მკერდის მოშიშვლება საზოგადოების წინაშე, ჯერ ხელები მიიფარა, მერე კი ნემსი მოართვეს და დიდი ბოდიშობით ამოუკერეს ფარაგი, მაგრამ ამ პირგამეხებულ ქალბატონს ბოდიში დააშოშმინებდა? როგორც კი თავი მოიწესრიგა, თავის ქმარსა და დედამთილს კატეგორიულად მოსთხოვა პასუხი – რატომ ცუდად გაგიზრდიათო:

„საქმარეს ხელი მაავლა, კიდობანთა ხკრავს ბერასა,

დედამთილ ჩასცხვა ცეცხლშია, ეგ გაუკვირდა ყველასა.“

არსებობს ვერსია, რომ ეს ორომტრიალი, თუმცა დიახაც სამწუხაროა, მაგრამ მაინც ნასმობისა და შემ-

თხვევითობის ნიადაგზე მოხდა. არ უნდა იყოს ეს სწორი. შემთხვევითობას პატარძალიც აიტანდა. ის კი მდგომარეობიდან სწორედაც რომ მაზლის გააზრებულმა თავსედობამ გამოიყანა.

ვინ იცის, როგორი მონადირე იყო ჩვენი მთხრობელი, მაგრამ შესანიშნავი ბელეტრისტი კი ყოფილა!..

და ამ სისხლისღვრასა და არეულობაში კინაღამ არ შემოაკვდათ ბებერი დევი – პელა (პელაგია)!

როდის და ვისთვის და სად მოუტანია კარგი უთავუამო სმასა და ულაგამო ქცევას, დევებისთვის რომ მოეტანა! არც თუ უსაფუძვლოდ და უმიზეზოდ შეეჭვდა და შეფიქრიანდა ჭკუადამჯდარი მონადირე – ესენი თვით თავიანთ პატარძალს არ ინდობენ და სხვას ვის და რას დაინდობენო, – გაიფიქრა. ჰოდა, დრო იხელთა და „საკვამიდან“ გაქცევით უშველა თავს (ისედაც საკმაო ხანს გაუძლო) – „დევებს ვეკვლევი ვერასაო,“ თავი დამანებეთ, ალარც თქვენი ქორწილი მინდა და ალარც თქვენი ძმადნაფიცობაო.

მართალია, ხევსურისათვის – მითუმეტეს არხოტიონისათვის შეუფერებლად, მაგრამ სრულიად ლოგიკურად და წინდახედულად კი მოიქცა. სხვათა შორის დევოლოგიაში მონადირის ეს საქციელი ჯერჯერობით ჯეროვნად არავის შეუფასებია.

ან კი რა ძალა ედგა, რატომ და რისთვის და ვისთვის...

მერე და მერე ისედაც სულ იმისა ეფიქრებოდა, ამდენი დევების დავიდარაბაში ნამყოფს, ემანდ ეშმანი კი არ ამყვნენო?! ნეტა ცხადი იყო, თუ სიზმარში გამეჩვენაო.

ზოგი ეშმას გვერდიდან არ იშორებს და აღარა და აღარ ეთმობა, შეეზიარება, ჩაეწვნება, ამას კი მისი სახელის გაგონებაც არ სურდა...

†††

გამოვიდეთ იუმორის ხალისიანი განწყობილებიდან. მშვენიერი პორტრეტები თუ სახეები თუ ტიპები თუ ხასიათები.

მწყობრი, თავისთავადი, ლალი და მიმზიდველი თხრობა.

შუღლის დინამიური სურათი, ცოცხალი და თითქოს თვალხილული.

და ყველაფერი ეს – კალმის ერთი მოსმით.

უფრო კი, ალბათ, კალმის მოსმის გარეშე...

არც ისე ხშირია მსგავსი მხატვრული სრულყოფილება ჩვენს ხალხურ პოეზიაში.

ლექსიონ და ლექსიონ... „დევების ჭორწილი“ არ უნდა იყოს ლექსი, იქნებ ბალადაა, იუმორისტული ბალადა თუ რალაც ამისმაგვარი.

თანაც, აქ ძალზე გაადამიანებული დევებია. სულ სხვანია იახსრისა და კოპალას ციკლისა და მითოსური ეპოქის პერსონაჟი დევები. აქ არ ჩანან დევებთან მეომარი ხთიშვილი, აქ არის პერსონაჟი-მთხრობელი, მართალია, „სხვა“, ოღონდ მაინც მათი სუფრის მონაწილე და თანაზიარი, აქ ერთ სუფრაზე გატეხეს პური ადამიანმა და ავსულმა. აქ ნამდვილად არ ჩანს წმინდა გიორგის მიერ გველაშაპის მორჯულების ტრადიციული სიმბოლიკა, მაგრამ ჩანს იუმორისტული სამზერიდან დანახული უცნაური ნაბიჯი. იქნებ ღირდეს, სხვა „საკვამიდანაც“ შეგვეხედა „დევების ჭორწილში“.

და, მაინცდამაინც, ნურც დევების სტუმართმოყვრული ჟესტი გაგვაოცებს – მონადირე, კაცი კაცთაგანი რომ დაპატიჟეს თავიანთ ქორწილში. გასაკვირველი არც ისაა, სასმლით შეზარხოშებული დევები ერთმანეთს რომ დაერევიან, ჩვენ, კაცთაც ხომ მოგვდის მსგავსი რამ, ადრეულ საუკუნეებშიც სცოდნიათ „სმა და გადარევა... ოხრად“ და თანაც სად და ვის და რისთვის...

ფილოსოფოსების ქორწილი

ამან კი შეიძლება გაგაოცოთ და წელანდელი ღიმილიც, შესაძლოა, ისევ დაგიბრუნდეთ.

აბა, ერთი მივადევნოთ თვალი და გული და გონება:

„....კლეოდემემ, რომელსაც ჭიქა არ ჰქონდა, შემობრუნდა, შეანერწყვა ზენოთემიდეს და მარცხენათი წვერში სწვდა, მისი საფეხქელით ძირს დანარცხება სურდა. შემოაკვდებოდა კიდეც მოხუცი, არისტენტეს რომ ხელი არ გაეკავებინა მისთვის და ზენოთემიდეზე გადალაჯების შემდეგ მათ შორის არ წამოწოლილიყო“.

აქ, ფილოსოფოსების ვაი-ვაგლახში, გამშველებელმა აშკარად იმარჯვა, თანაც მანამდე უცნობი გასაშველებელი მეთოდით – წამოწოლით, მაგრამ მოვლენები მაინც სწრაფად და მასშტაბურად განვითარდა და მოხდა უფრო მეტიც:

„თავხედობდნენ, ილანძლებოდნენ, უზომოდ ძლებოდნენ, ყვიროდნენ და ხელჩართულ ჩხუბში ებმებოდნენ. საკვირველ ალკიდამანტეს მარცხიც კი მოუვიდა შიგ შუაგულ დარბაზში, მაგრამ ქალებისაც კი არ შერცხვენია.“

ეს კი მგონი ყოველთა ზედა აღმატებულია, თანაც, მაინცდამაინც შუა დარბაზში და სირცხვილის ყოველ-გვარი გრძნობის გარეშე!

ალკიდამანტმაო „კლეოდემეს კვერთხი უხეთქნა თავში, ჰერმონს ყბანი შეუმუსრა, ხოლო მსახურები, რო-მელთაც სურდათ ჰერმონსა და კლეოდემეს მიშველე-ბოდნენ, დაჭრა. თუმცა ჰერმონი და კლეოდემე უკან და-ხევას სულაც არ აპირებდნენ, პირიქით: კლეოდემემ საჩ-ვენებელი თითით თვალი გამოსთხარა ზენოთემიდეს და კბილებით ცხვირიც კი მოაჭამა, ხოლო ჰერმონმა ზენო-თემიდეს მისაშველებლად მისულ დიფილეს ჩაარტყა თავში...“

ფაქტია, რომ არა მარტო გაშველების განსაკუთრე-ბული მეთოდები ჰქონიათ ძველ ფილოსოფოსებს, არა-მედ უიარაღოდ ორთაბრძოლის ხელოვნებაშიც საკმაოდ ბრწყინავენ და მაღალეფექტურად იყენებენ ერთი შე-ხედვით ისეთ უწყინარ იარაღებსაც კი, როგორებიცაა ადამიანის, მით უფრო მოაზროვნის – ნერწყვი, საჩვენე-ბელი თითი ან კბილები.

ღმერთო ჩემო, ეს კი რაღაა, ანუ რა დროს ესაა:

„ხოლო როცა ჩირაღდანი კვლავ შემოიტანეს, ალ-კიდამანტს იმაში წაასწრეს, რომ მას ფლეიტაზე დამ-კვრელი ქალი გაეშიშვლებინა და ბეჯითად ცდილობდა მის დამორჩილებას.“

ეს ძალადობრივი აქტი კი, როგორც მეთოდი მოწი-ნააღმდეგეზე ტკბილ-მწარე ზემოქმედების მოხდენისა, კვლევის სრულიად განსხვავებული სფეროა და სილრმი-სეული ძიების ამ მიმართულებით გაშლისაგან ამჯერად თავს შევიკავებთ!...

†††

ეს არც ჰომეროსის თხზულების ნამსხვრევ–ნასხლე-ტია და არც ბერძენ–სპარსელთა ომების წყაროებიდან მოხმობილი სურათი, არამედ ცნობილი ბერძენი მოაზ-როვნის – ლუკიანე სამოსატელის „ნადიმიდან“ მოტანილი ეპიზოდებია, ასე კარგად რომ გადმოულია ქ–ნ ქეთევან ჯერვალიძეს და მშვენიერი წინასიტყვაობაც დაურთავს.

თავში პარალელებზე და ასოციაციებზე მოგახსე-ნებდით.

იუმორის ღრმა გრძნობაზეც.

და, წარმოიდგინეთ, არც ძველი ბერძენი ფილოსო-ფოსი ყოფილა იუმორთან უკაცრავად, მეტიც – ისე კარ-გად შენილბული თუ დაფარული ირონია გამოსჭვივის სსენებული თხზულებიდან, ალბათ შეშურდებოდთ არხო-ტიონ მელექსეებს, თავიანთი რეჩიტატივით ხალხს რომ აცინებდნენ და აოცებდნენ.

არა და ლუკიანე სამოსატელის თხზულებაშიც ქორ-ნილია, ოღონდ ეგაა: ბერძნებმა მათთვის სასურველი ელიტა დაპატიჟეს, გარდა შეუძლოთა და ე.წ. სხვაგვა-რად მოაზროვნეთა; დევების ნადიმზე კი, ბოდახევლების გარდა, ყველა აწვიეს, თვით ადამიანიც კი.

აქ, დევებთან, თუ ბერას აქორნინებდნენ და პატარ-ძლის სახელი (ალბათ მისი მეტისმეტი მოკრძალებულო-ბის გამო) უცნობია, იქ, ბერძნებთან, კლეანტიდეს ათხო-ვებს ქერევსზე თავისი, მამასწვერაზე არანაკლებ გავლე-ნიანი მამა – არისტენეტი.

ოღონდაც, პურმარილი ბერძნებს უფრო უხვად ჰქო-ნიათ და არც ჭურჭელი უჩანთ დევებზე ნაკლები, მაგრამ მამასწვერა უფრო ხელგაშლილ მასპინძლად გვეჩვენება.

ერთი, ლამის მონადირესავით უცხო, ბერძნების სუფრაზეც აღმოჩნდა – ალკიდამანტი, მაგრამ, პირველი-საგან განსხვავებით, მისთვის არც მოპატიუე ვინმეს გა-უგზავნია და არც ვინმეს ბლვერა დაუწყია და, ბარელამ აქვე ვიტყვი, მოკრძალებული მონადირისაგან განსხვავე-ბით, ამან თვითონვე ატეხა დებოში იმ ქორწილში.

სავარაუდოა, რომ იმ დღეს დევების ქორწილში ფი-ლოსოფიურ პრობლემებზე არ უნდა ყოფილიყო პოლემი-კა, თორემ მონადირეს იქაური ამბების გადმოცემისას ეს დეტალი არ გამოეპარებოდა. ისე, ჩვენთვის რომ ვთქვათ, მართლაც და რა დროს ფილოსოფიაა გახურე-ბულ ქორწილში, ან სახნისი?! სუფრის აკადემიურ სტილ-ში წაყვანა აკი მიუღებელი ჩანს დევებისათვის და აგერ – არც ბერძნებს დაუჯდათ იგი იაფი.

დევებისას თუ ერთი შემთვრალი დევის მოუზომავმა საქციელმა გამოიწვია არეულობა, იქ, საბერძნეთში, ჯერ ერთი განაწყენებული ფილოსოფოსის – ჰეტემოკლეს განხეთქილების ვაშლივით შემოგდებულმა წერილმა არივ-დარია იქაურობა და მერე კიდევ, ერთმა ცივად მო-სარშულმა დედალმა (ჰუპ!!!), რომლის გამოც, არც მეტი, არც ნაკლები, ფილოსოფოსები წაიკიდნენ...

ჰოდა, რა ჯანსაღი ირონია! ორლესული ირონითაა განწონილი მთელი ეს შესანიშნავი თხზულება.

არისტენეტის სტუმრებიც საკმაოდ გულფიცხნი აღ-მოჩნდნენ, ჭიბიხოელმა თუ ერთი სილა აკმარა თავგა-სულ მაყარს, კლეოდემემ წვერით დაითრია მოხუცი ზე-ნოთემიდე და რომ არა მასპინძლის თავგამოდებული მცდელობა, ვინ იცის, საქმე რით გათავდებოდა. ამ დღე-ში არ იყო ბებერი პელაც?

აი, მასპინძლის ხასიათს რაც შეეხება, არისტენეტი უფრო თავშეკავებით მოქმედებდა და მამასწვერასავით ტალავრიდან არ გამოსულა...

მერე და მერე სანადიმო დარბაზი ბრძოლის ველს დაემსგავსა. ყველაზე ეფექტურად, როგორც ჩანს, ალკი-დამანტი მოქმედებდა და აღარავის ახსოვდა არც მოხარ-შული დედალი და არც განსხვავებული ფილოსოფიური შეხედულებანი და არცა შინაურნი და არცა გარეულნი და არცა მოხუცნი და არცა ახალგაზრდანი და ეს კლეო-დემე მაინც ვინა ყოფილა და რას აეკიდა და აღარ ჩამო-შორდა ამ მოხუც ფილოსოფოს ზენოთემიდეს, რო ახლა კიდევ თვალი წამოაგდებინა?! ან ეს ცხვირის მოქმა რა-ლა იყო, ღმერთო ჩემო?!

და ალკიდამანტი? განა ამ დაუპატიჟებელ სტუმარს წუთიერი სიბნელე თავისი ხორციელი ვნებების დასა-შოშმინებლად უნდა გამოეყენებინა?

აბა, გაიხსენეთ, როგორ ჭკვიანად და დარბაისლურად იჯდა დევების ნადიმზე მონადირე, მანდილოსნებისკენ არც გაუხედავს, ნახა მომენტი და „საკვმიდან“ ყოველგვა-რი აყალმაყალისა და ვნებათა ჭიხვინის გარეშე დატოვა იქაურობა, საკართანოც კი არ დაულევია! ანკი რაღა დარ-ჩენოდა იქ, მე თქვენ გითხრათ და მზეთუნახავი დევის ასული არავის მიეყვანა საწოლში სასწორფროდ!

ისე, არც მთლად ქალუნდაური უნდა იყოს ეს ჩვენი ნაქები მონადირე; კარგად და საფუძვლიანად შეათვალი-ერა წამიერად მოშიშვლებული, პატარძლის ნაზბენვიანი ძუძუ-მკერდი და თავისი მდიდარი ფანტაზიით „მაგის ქვენასაც“ გადასწვდა. ისე მგონია, რომ დარჩენილიყო იმ ღამეს იქ, სიამოვნებით გადაუხსნიდა ქვეშაგების კალ-თას „ელჩის“ მიერ მოყვანილ, ნაზი „ბურდლლით“ შემო-

სილ დევის კდემამოსილ მანდილოსანს და „დღიანადაც“ ისწორფრებდა, მაგრამ....

და ლიკინე? არც ის ჩარეულა სისხლისლვრაში და მშვენიერი ორნამენტებით შემკული ძვირფასი თასების მიმოქროლვაში – „მე კი კედელს აკრული ვხედავდი ყველაფერსო“. ამან ბოლომდე უყურა შემზარავ სანახაობას, მონადირემ კი ვეღარ გაუძლო და საკვამიდან გაპარვით (უკაცრავი სიტყვაა!) უშველა თავს.

არა, არა, მართალია, დევებსაც კაი ვაი-ვაგლახი სცოდნიათ, მაგრამ...

ამიტომ გამახსენდა... მეორე რომ წავიკითხე, მაშინვე პირველი გამახსენდა.

ეს გარეგნული ეფექტი იყო, უცხოდ ნაგებსა და ნაშენებს რომ წააწყდები რასმე და გეშინია, შიგნით შესულს განწყობილება არ შეგეცვალოს.

სულ ამის შიში მაქვს, ამყვა და დამყვა და დამდევს აჩრდილვით და არ მასვენებს, ახალ წიგნებსა და ადამიანებს რომ ვხვდები, ელდა მიტანს, მეჩვენება, თითქოს ეშმაკის ლანდი დაბორიალობს ახლომახლო...

მაგრამ მაინც შევედი და ვნახე იუმორისა და ირონიის თუ სატირის ხასხასა მინდვრები.

ბერძნული ფილოსოფია და ფილოსოფიური ირონია...

მაინც რანი იყვნენ ეს წიგნიერი ბერძნები!

და რანი – „უწიგნური“ მთიელი მელექსეები!

საკითხავია, ვინ უფრო ფილოსოფოსი იყო, ფილოსოფოსთა წადიმის ამსახველი, თუ დევთა ღრეობის ფანტასმაგრიული სურათის გამლექსავი ავტორი.

ხოლო ის დევების სტუმარი, მონადირეც კარგი იქნებოდა, უეჭველად.

ემაურის ხახვა

ახ

ემაურის ხახვა

ხომ ვნახეთ, რამდენი უგემურობა შეემთხვათ ბერძენ ფილოსოფოსებსა და ხევსურ დევებს თავიანთ სალხინო და სალაღობო ქორნილ-ნადიმებზე, როცა ზღვარგადასულ სტომაქთმოყვარეობას უკვე აღარაფერი აკავშირებდა სანაქებო სტუმართმოყვარეობასთან.

ის მაშინ იყო, როცა ფილოსოფიის მწვერვალი ძველ ბერძნებს ეპყრათ, რომელთაც იცოდნენ ის, რომ არაფერი არ იცოდნენ, ხოლო ხევსურეთი – ანდრეზიდან გადმოსულ დევებს, რომელთაც კაცთაზე ცხრაჯერ მეტი იცოდნენ, რადგან თითოეულს ცხრა-ცხრა თავი ესხა...

იმდენად, ალბათ, არა, მაგრამ ესეც საკმაოდ ძველი ამბავია, თითქმის ზუსტადაც კი შეიძლება დათარიღება – „სისხლის წვიმინდელია“, კონკრეტულად კი – ბესარიონ გაბურამდე „ცამეტი მამის“ წინანდელი (იხ. აკ. შანიძე, „ხევსურული პოეზია“, გვ. 710; ზ. კიკნაძე, „ანდრეზები“, გვ. 153). ამ ავტორიტეტულ წყაროებზე დაყრდნობით შეიძლება დავასკვნათ, რომ ამბავი, რომელიც ახლა უნდა მოგითხროთ, მომხდარა სადღაც XVII საუკუნის ბოლოს. მართალია, აქ ზურაბ ერისთავის ეპოქასთან შეფარდებით, ცდომილება ბარე ოთხმოციოდე წელია, მაგრამ საქმის ვითარებას ეგ სრულიადაც არ ცვლის, პირიქით – დრამატულსაც კი ხდის...

ბესარიონ (აბაისძე) გაბურს მკითხველისთვის წარდგენა არ სჭირდება (ცხადია, არც ზ. კიკნაძეს), ოღონდ,

უნდა შევნიშნოთ, რომ აქ საქმე ეხება არა მის მიერ „ნათქვამ“, ან ჩაწერილ პოეტურ ნიმუშებს, არამედ – პროზაულს, სადაც, უნდა ითქვას, ისეთივე ბრწყინვალეა, როგორც – პოეზიაში; მეტსაც გეტყვით – აქ გაბური ნოველისტადაც კი გვევლინება, სალალობოდ მოთხრობილ ამ ამბავში ორი პანია და მშვენიერი ნოველაა გატვრენილი.

არა, პატივცემულო მკითხველო, არანაირი სიურპრიზი, აბაისძეს ამ უანრში არავითარი პრეტენზია არ გააჩნდა და ვერც მე დავაბრალებ; უბრალოდ, მოყოლა სცოდნია რაღაცნაირი: დინჯი, მძიმე, გულიანი, სილრმისეული და თანაც „ტკეპნით“, როგორც თანამედროვენი იხსენებენ.

აი, მისი მოყოლილი ამბები თუ უნებურად ნოველის ტალავრით შეიმოსებოდნენ, ეს „შეღმათ აბაისძის“ კი არა, ღმერთის „ბრალი“ იყო, შემოქმედი ღმერთის, ყოველთა მიზეზთა მიზეზის...

გაგიმხელთ: გაბურთ ეშმაზეა ამჯერად ლაპარაკი.

ამთავითვე უნდა ითქვას, რომ ეს ეშმა დიდი დაუდეგარი ვინმე კი ყოფილა: ხან ფშავში დაეხეტება, ხან – მთიულეთში, იქვე, ბარელამ, გუდამაყარშიც შეივლის, ხევსაც სტუმრობს და არც თუშეთი გამორჩება, სადაც, რატომლაც, უკვე თიკუნად – თებუორიკად მოიხსენიებენ, მაგრამ თავს ყველაზე კომფორტულად მაინც ხევსურეთში, არხოტის თემის სოფელ ჭიმლაში, გაბურთა საგვარეულოს ერთ-ერთ წინაპართან სიახლოვისას გრძნობს, რომლის „სახელ არავინ არ იცის, არც ას ანდრეზად“.

ეშმას ამბავს ყველა კუთხეში თითქმის ერთნაირად გვიყვებიან, მისი „საქმენი საგმირონიც“ ზედმიწევნით წააგავს ერთმანეთს, მაგრამ ბესარიონის მონათხრობი

არა მარტო ყველაზე ვრცელია, არამედ ყველაზე მარილიანიც და, რაც მთავარია, მხატვრული თხზულების ჩარჩოშია ჩასმული.

თუ ამ „ამბავას“ ცოტა სხვანაირი თვალით შევხედავთ, აღმოვაჩენთ, რომ თავისი აგებულებით იგი ნოველაა, უჩუქურთმო ნოველა.

პოეტურია თუ პროზაული, არა აქვს მნიშვნელობა, ამოუწურავია მადლი ხალხური სიტყვიერებისა, ოღონდ ზერელედ ნუ მოეკიდები, ოღონდ გონების თვალით წაიკითხე.

გაბურთ ეშმა

„გაბურ შუამთას წამავა, თიგას თიბს, ცელს კი ლესავსა...“

ჰოდა, წავიდა ეს ძველი გაბური თავის მამაპაპურ სათიბში – შუამთას.

დილაა. მშვენიერი ამინდი. სათიბიც ფრიად არს, ცელიც კარგად უჭრის და ისიც მუყაითად მუშაობს, მაგრამ რა გინდა გააკეთო... გაიხედავს და ვიღაც იდუმალი გამომეტყველების თმაგრძელი მანდილოსანი აეტორლიალება, რომელიც თვალისმომჭრელად ლამაზია და ვეღარ დაუდვია კაცს საქმისთვის გული. თანაც, აჩრდილივით იმეორებს გაბურის ყველა მოძრაობას, მუდმივი გამოჯავრებით აკარგვინებს მოთმინებას.

იმასაც ხელში ხის ცელი უჭირავს, ტარი ხომ ხისაა და ხისა და ცელიც ხისაა. მოიქნევს გაბური ცელს და შრიალი მოაქვს მოთიბულ ბალახს. ქალიც მოიქნევს, მაგრამ ბალახი კი არ ითიბება – ითელება. არც ეს დარჩენია გაბურს შეუნიშნავი.

მიხვდა გაბური (რას არ მიხვდება!), რომ ეშმაა, შე-მოჩენილ ეშმასთან აქვს საქმე, რომელსაც ცელიც ვერ უჭრის ისე, როგორც საჭიროა და ისიც იცის, რომ მთელი დღე არ დაასვენებს, ნერვები უნდა აუწენოს და გა-აცდინოს.

ხელ-მუხლის ძალასა და მარიფათს არ უჩივის გაბური, უეცრად დააგდებს ცელს, გაიჭრება ეშმასკენ, ის-ის არის, უნდა წასწვდეს, უნდა შეიძყროს, მაგრამ – არა, ხელში ვერაფრით ვერ მოიგდებს, იცინის და ხახანებს ეშმა გამომწვევად და ეშმაკურად.

დაჯდება ნამხრეულში დალლილი გაბური და ეშმაც დაჯდება, წამოდგება და ისიც წამოდგება, თიბას დაინ-ყებს – ისიც დაინყებს, დაახველებს – ისიც დაახველებს, – კაცო, რაღა ვქნა, რა მოვუხერხოო, – იტყვის საგონე-ბელში ჩავარდნილი გაბური და ეშმაც იგივეს გაიმეო-რებს, – კაცო, რაღა ვქნა, რა მოვუხერხოო. მოკლედ – მოშალა, მოფუტკნა კაცი პატიოსანი!

მერე უცებ ისევ მოსხლტება ადგილიდან გაბური – კაცი არა ვარ, როგორ ვერ დავიჭერ, რომ ერთი ლაზა-თიანად მივგრიხ–მოვგრიხოო, გაუდგება, გაეკიდება ად-გილიდან აგრეთვე მოსხლეტილ ეშმას, მაგრამ ვერა, აშ-კარაა, არაფერი გამოსდის.

დაფიქრდა ბოლოს კაცი: არც ძალით არაფერი გა-მოსდის, არც – ნებით, ცხადია, სხვაგვარად უნდა მოიქ-ცეს, რამე უნდა მოუხერხოს, თორემ სულ ერთია, გააც-დენს მთელი დღე და საქმეს არ გააკეთებინებს.

გაბურმა ახლა უკვე გონებას დაატანა ძალა და ამ-გვარად მოიქცა: აიღო მოთიბული ბალახი, გაკეკა, გაგ-რიხა და ალერდი დაამზადა – ბალახის თოკი.

ეშმამაც აიღო ბალახი, გაკეკა, გაგრიხა და იმანაც ალერდი დაამზადა.

დაჯდა გაბური და ამ ალერდით ფეხები მაგრად და მტკიცედ შეიკრა.

დაჯდა ეშმა და იმანაც იგივე გაიმეორა.

გამოჰკრა გაბურმა ალერდს ცელი, გაჭრა და გან-
თავისუფლდა.

გამოჰკრა ეშმამაც თავის ფეხებზე დახვეულ
ალერდს ცელი, მაგრამ ხის ცელი რას გაჭრიდა, კვლა-
ვაც ფეხშეეკნილი დარჩა. გაბური მაშინ კი „გაიქცა,
ალარ გაუშვა, ეშმა მიაჯდა ეშმასა,“ ეცა და რაკილა
ხელთ იგდო, დაიმორჩილა...

აბა, რა ეგონა? რა ეგონა და თავი გაბურზე ალმა-
ტებული ეშმაკი ეგონა და კაციც და ეშმაკიც სწორედ
მაშინ წაიტეხენ ხოლმე კისერს, სხვაზე ეშმაკი რომ ჰგო-
ნიათ თავი.

ასე შეიპყრო გაბურმა ეშმა, წამოიყვანა სახლში, და-
აჭრა თითო ციდაზე წამოზრდილი ფრჩხილები, ჩაყარა
ხმლის ქარქაშში, ჩააგო ისევ მახვილი და ჩამოჰკიდა თა-
ვის ადგილზე. აი, ამგვარი ხილულ-უხილავი ძაფით დაა-
ბა და დაატყვევა ჭიმლიონმა კაცმა ეშმა, რომელიც ია-
რაღს ცოცხალი თავით ვერ გაეკარებოდა და ვერც სად-
მე წავიდოდა, სანამ ფრჩხილებს არ დაიბრუნებდა. ასე
და ამგვარად შეიქნა ეს ტყვე ქალი გაბურების ოჯახის
წევრი.

ძალადობა, როგორც მიზნის მიღწევის ყველაზე
მოკლე და სწრაფი საშუალება, ყოველთვის ეფექტური
ვერ იქნება, გონიერისმიერი მცდელობით კი თვით ეშმა-
კის დამარცხებაც შეიძლება.

ერთზე გათლილი კაცის ერთადერთი სამოქმედო იარაღი ყოველთვის ძალაა, ე.წ. პიტალო ძალა, გონიერი კაცი კი ჭკუით მოქმედებს, თუ გაბურივით ჭკუა აღმოგაჩნდა, თვით ეშმასაც კი მორჩილებაში მოიყვან, იმასაც კი მოიმსახურებ, თუ არა და – იქით მოგიმსახურებს და დალუპულხარ და ეგაა.

ჩემი განმარტების გარეშეც ნათელია ხომ ამ მინიატურული ნოველის დედააზრი?!.. კეთილი, კეთილი, სხვა დროს თავს აღარ შეგაწყენთ და მექნება თქვენი კეთილგონიერების იმედი...

†††

ეს – როგორც ხალხური ინტერპრეტაცია...ოღონდა აქ ერთი ინტიმური გადახვევა, გნებავთ – ინტიმეცო უნდა გავაკეთოთ.

ერთობ საჭოჭმანო ხმები დარხეულა არხოტში გაბურისა და იმ ლამაზმანი ეშმას იდუმალებით მოცული ურთიერთობის შესახებ.

დრო კი საკმაო გასულა, ცამეტი თაობა ხუმრობა არ გახლავთ, მაგრამ ქალვაჟური ურთიერთობაც (მით უფრო – ნაპარავი) ისეთი ყოვლისწამლეკავია, რომ ათას-წლეულების წესებიდანაც კი გამოუღწევია და გამოუჟონავს. გადმოცემა ამ ამბის შესახებ, ეტყობა, გაბურთა მცირერიცხოვანი გვარის ოჯახურ წრეში ტრიალებდა და „პეტრო ჩამლელისთვის“ (შუღლიათ უშიშას პოეტური ფსევდონიმი), ანუ უშიშა წიკლაურისთვისაც სწორედ იქიდან გამხდარა ცნობილი. საქმე კი ის გახლავთ, რომ უშიშა იყო ბესარიონის სიძე, დის ქმარი და, მაშასადამე, გაბურების ოჯახში მიღებული პიროვნება; მითუფრო, რომ ამასთან ერთად იგიც პოეზიით უხვად ცხებული კა-

ცი ყოფილა. იღბალი ჰქონია შეღმათ აბაისძეს, მაგრამ ნაკლებ იღბლიანი არც პეტრო ყოფილა... ბედრიანა არ ჩამოუჯდებოდა ჩიკაზე ზამთრის გრძელ ღამეებში ჭიქა უიპიტაურზე მომუსაიფე სიძე-ცოლისძმას?!..

ჰოდა... ისე, კაცმა რომ თქვას, მოდი და ნუ დაეჭ-ვდები: სადღაც მთაში, უკაცრიელ ადგილას რო „მიაჯდა“ გაბური იმ ლამაზ ეშმას, რა, აღარ უშლიან მამაძალი?!

ხომ გაგიგონიათ – ხალხს ჭორი ურჩევნია სიმარ-თლესო, ისიც ხომ გაგიგონიათ, ისეთი ჭორი არ არსებობს, შიგ სიმართლის ნატამალი არ ერიოსო. ჰოდა, მე კიდე ასეთი რამე გამიგონია, რომაო, იქაო, „შუამთასო“, გაბურმა იმ ეშმასთან... სცოდაო!..

მდიდარი ფანტაზიის მქონენი კი არიან არხოტივ-ნები, მაგრამ, ა, ბატონო, ხომ ვნახეთ – არც სიეშმაკე აკლიათ და არც გონების გამჭრიახობა!

ეს ქალბატონი თურმე იმდენად მომხიბლავი მანდი-ლოსანი ყოფილა, რომ გაბურის რკინის გულში რომელი-ლაც უფაქიზესი სიმი ძალუმად შეურჩევია. სხვანაირად გაუგებარია – ერთად გატარებული პირველი (სავარაუ-დოდ – ტკბილი) დღის შემდეგ რატომ მოჰყავს ამ კაცს სრულიად უცხო ქალ-ეშმა სახლში? თუ გაბურის გრძნობა წუთიერი გატაცება იყო და სერიოზული ჩანაფიქრი არ ჰქონდა, მაშ რატომ მოაკვეცა ფრჩხილები? რატომ, რის გულისათვის ასეთი საგანგებო ზომები? თანაც კიდევ, ისიც წარმოიდგინეთ – რა ძლიერად შერხეული სიმი უნდა ჰქონდეს მამაკაცს (ან ქალს), რომ ერთი დღის გაცნობი-ლი მანდილოსანი პირდაპირ სახლში წაიყვანოს! აღარა-ფერს ვამბობ იმის შესახებ, რომ გაბურს სახლში, მართა-ლია, ხელმოუწერ-ჯვარდაუწერი, მაგრამ მაინც ოფიცია-ლური დიაციც ესვა და შვილებიც ეყოლებოდა, აბა, რა.

ეს ახლა უკვირთ (ან კი ვიღას უკვირს მრავალცოლიანობა და მრავალქმრიანობა), თორემ ხევსურეთში, ხედავთ აგერ, ჯერ კიდევ „სისხლის წვიმის“ ეპოქაში ყოფილა დაშვებული დიოგამია (განა რამდენს უნდა გასწვდეს კაცი, ეს საკითხიც ცალკეა შესასწავლი!)!..

ჰოდა, გულგრილი კი არც ეშმა ყოფილა გაბურის მიმართ (მისგან არ იყო ინიციატივა?!), რაც იქიდან ჩანს, რომ ახალ ოჯახში ამ ქალბატონმა თავი აშკარად გამოიჩინა, როგორც ხელმადლიანმა დიასახლისმა (ყანის მკა, კარაქის ამოყვანა და ა.შ.). მართალია, ფაფა კი ძალიან ჰყვარებია (სავარაუდოდ, სოციალურად დაუცველი ოჯახიდან უნდა ყოფილიყო), მაგრამ ეს რაა იმ ბარაქიან საქმეებთან შედარებით, რასაც ეშმა გაბურების (იგულისხმე – თავისი) ოჯახისთვის აკეთებდა. და რა, დიასახლისობაში ასეთი გულმზურვალება შემთხვევითი იყო თუ ეშმაკთა საერთო ნიშანთვისება? არაფერიც, არაფერიც!..

მეტსაც მოგახსენებთ: შულლიათ უშიშას მეტად კომპეტენტურ ცნობებზე დაყრდნობით, ეშმას შეეძლო, რომ გაბურებისთვის თვით ზამთარიც კი ზაფხულად ექცია. ეჭვგარეშეა, რომ ამ ინფორმაციას აშკარად ასდის ცეცხლოვანი ინტიმის ალმური! ახლა ისიც წარმოიდგინეთ, როგორი ნეტარგასაძლები იქნებოდა მის გვერდზე ცხოვრება, გნებავთ – სარეცელზე და გნებავთ მის მიღმა და ყველაფერი ეს პაპანაქება ზაფხულში!..

ახლა სამეურნეო სფეროში შევიჭვრიტოთ და ისევ უშიშა წიკლაურს მოვუსმინოთ: „ეგ უხმობს ნახევართხანა, ბეთან (ტოპონიმია, ნ. ა.) რო ჰევენენ საფქავთაო“... სხვა ეშმაკოლოგ მკვლევართა მოსაზრებების შესახებ ვერაფერს მოგახსენებთ, მაგრამ პირადად მე აქაც მხურვალე ტემპერამენტის გამოვლინების აშკარა ნიშნებს ვხედავ!!!

და ბოლოს: ეშმაო, „ქმრეულთ საფარველს გადას-დებს, ქისტებ ვერ ლნახვენ ჭაჭანსა“ და, თუ საჭიროებამ მოითხოვა, არხოტივნებს „წაიყვანს უცხო გზათასაო“, ე. ი. მათ ლაშქარს, თუ მოინდომა, მტრისათვის უხილავს გახდის, მაგრამ, თუ ესაც არ აღმოჩნდება საკმარისი, წინ გაუძლვება და უცხო, მაგრამ საიმედო გზებით ატარებსო. ა, ბატონო, აქ უკვე, როგორც იტყვიან, არგუმენტები ჭეშმარიტების პირით დაღადებენ! მეტი რაღა უნდა ქნას და გააკეთოს ოჯახისა და ქმრის სიტრფოებითა და ერთგულებით შეპყრობილმა მანდილოსანმა?! იყოს ეშმაკი რა... მე ნურაფერს მავნებს და!..

შემთხვევითობა თუ ეშმაკთა საერთო ნიშანთვისებაო...

ჰმ... ეს საკენკი გულუბრყვილო მკვლევარებს დაუყარონ!..

და თუ ასე იყო, რაღას წავიდა მაშინ ეშმა საკუთარი ნებით გაბურებიდან? – ეშმაკურად მკითხა ერთხელ ვიღაცამ პირდაპირი ეთერით და – სინდისმა შეაწუხა-მეთქი, სინდისმა, იმ სინდისმა, მაშინ რომ ეშმაკებსაც კი თავზესაყრელად ჰქონდათ, ხოლო ახლა აღარც კაცთა აქვთ და აღარც ქალთაო, ვუპასუხე მე, ცოტა არ იყოს – გულმოსულმაც კი. გაბურს ხომ ჰყავდა მანამდე ცოლი და სწორედ მის საცოდაობას ვეღარ გაუძლო ამ გულ-ჩვილმა და სათნო ეშმამ... ვინ იცის, იმ პირველ ცოლს რა უსაზღვრო ტრფიალით უყვარდა საკუთარი ქმარი... ჰოდა, აბა, ადვილია – შენი მეტოქე ქალბატონი, იქვე, შენს გვერდით სადღაც, შენს ნანინანატრ ქმართან ღამ-ღამობით ეშმაკობდეს, შენ კი ამ დროს ცრემლით დალ-ტობილი ბალიში გქონდეს ჩაბლუჯული?!

სათქმელადაა ადვილი!!!

კარგი, დავანებოთ ყველაფერს თავი (რა უსაზღვროა მეცნიერული კვლევის თვალსაწიერი!..) და ბესარიონთან სტუმრობისას შუღლიათ უშიშამ რატომღა დალია შიპიტაურით გაპიპინებული ყანწით მაინცდამაინც იმ ოდინდელი ეშმას შასანდობარი, თუ, ღმერთო მომკალი და, მართლა რაღაცაში და ვიღაცაში არ იყო ოდესაღაც საქმე? რა, შანდობის სათქმელი მიცვალებულები შემოელიათ ამღივნებსა და ჭიმღივნებს?

დალია – დალია და ახლა ზედ ლექსიც რომ დააყოლა! – გეგონება არხოტის გულისთვის მომკვდარი ვაჟუაცის სადღეგრძელო დაეცალოს...

არა, არა, როდის იყო, რომ წყალი იწვოდა და კვამლი ცას სწვდებოდა?!

ყველაფერს ამას, შუღლიათ უშიშა, ბესარიონის თანამოკალმე სიძე, რაც არ უნდა ფანტაზიის მფლობელი ყოფილიყო, უსაფუძვლოდ ვითომ რატომ მოიგონებდა? ერთი კია, რომ თავის ცოლოურს ამ ლექსში (ა. შანიძე, „ხევსურული პოეზია“, N 666 (იქნებ არც ეს ნომერია შემთხვევითი!) ის პირდაპირ და გაჭრით მოიხსენიებს ასე: ქისტებსო „ცოლს ტყვედ არ წავაყვანიებ, ქალს მა ეშმაის მტყნავთასაო“, – გაბურებზეა აქ ლაპარაკი, კონკრეტულად კი შეღმათ აბაისძის დის და, მაშასადამე, მისი მეუღლის დატყვევებაზე; სხვა მხრივ კიდევ, სწორედ ის ეშმაა ნაგულისხმევი – „გაბურთ ეშმა“. ასე რომ, აქ ბატონი გაბური წარმოგვიდგება, როგორც ფიზიკური პირი, რომელიც ეშმასთან არაერთგზის და მხურვალე სქესობრივ აქტს ამყარებდა; თუმცალა პოეტი ქვემოთ უფრო კორექტულია და გაბურებს ეშმას „ქმრეულებად“ მოიხსენიებს, არც – მეტი და არც – ნაკლები!

მოითმინეთ!.. უფრო მეტსაც მოგახსენებთ: ქრონიკის ავტორთან ერთ ლაკონურ ცნობაში, გაბურთ ეშმაპირდაპირ რძლადაც კია გამოცხადებული – ჭიმლივნებსო „მაგაში (ეშმაის კლდესთან, ნ. ა.) ერთი ზალი ჰყავ“ – ო! – აცხადებს უ. წიკლაური.

ახლა კი, ვგონებ, ყველაფერი მზიან დღესავით ნათელია და გაბურის მიერ მეორე ცოლის შერთვა ეჭვს აღარ იწვევს.

შესვამდა უშიშა ეშმას შასანდობარს, აბა, რას იზამდა!

და შეღმათ აბაისძესაც კმაყოფილების ღიმილი შეეპარებოდა გაგრეხილ ულვაშში...

†††

გაბურთ ეშმა ყველა სხვა ბედნიერებასთან და უბედურებასთან ერთად, გულთამხილავიც ყოფილა.

მოხდა ტრაგედია – არხოტის თემის სოფელ კვირინმინდაში ახალგაზრდა კაცი გარდაიცვალა და ცალად დარჩა კიდევ უფრო ახალგაზრდა ცოლი.

არხოტივნებმა სატირალში დაიწყეს დენა. ცხადია, გაბურებიც უნდა მისულიყვნენ „ჭირის საწყენად“.

და რომ დაემზადნენ წასასვლელად, ეშმასაც შესთავაზეს – შენც უნდა წამოხვიდე, სხვაგვარად უხერხული იქნება, ხალხი რას იტყვის, წესი და რიგია ხევსურული ასეთიო, ოჯახის წევრი ხარო...

ეშმა კი აშკარად ფეხს ითრევდა, წასვლა არაფრით არ უნდოდა, მაგრამ აუხსნეს, რა უბედურებაც მოხდა, რომ ჯერაც ყმაწვილი ქალი დარჩა ქვრივადო. იმან კი უარესად ცივი უარი განაცხადა, – ახალგაზრდა თუა – მითუფროო, თქვენ წადით, მე დავრჩებიო.

და, მაინც – რატომო, ჩაეძივნენ და გაოცებით ჩაეკითხნენ ცოლ-ქმარი გაბურები.

– რატომ და – ხალხმა არა თქვას – რა დროს ეშ-მაკობააო!

– ვერ გავიგე?! – ცოტა არ იყოს, შეცბა გაბური და მაშინ კი – გამეცინებაო, – მოკლედ მოუნაცვლა პა-სუხი ეშმამ!

– ვაჟ! „გაიცინიდივ თუ გაგეცინებისავ“, – არხეი-ნად მიუგო გაბურმა და თვითონაც გაიცინა, – წამოსვლა არ გინდა და რალაცას ეშმაკობო, სატირალში სიცილი ვის გაუგონია, რანაირად უნდა გაგეცინოსო?

მე კი მითქვამსო – ეშმამ და წასასვლელად მზადე-ბას შეუდგა.

†††

ჭირისუფლებს კრიჭა შეჰქვრიათ, დანა პირს არ უხსნით – დაიქცა ოჯახი.

ქაზდრის შუაგულში მიცვალებული ასვენია, გარშე-მო შაოსანი დიაცების ჯარი შემოხვევია და დგას ერთი ტირილი და ალიაქოთი, რომ ყურთასმენა არ ჩამოვარ-დება; ქალები კი არა, კაცებიც კი ძლივს იკავებენ თავს ტირილისაგან.

მწუხარებისაგან მისავათებული ქვრივიც ძაძითაა შემოსილი, გაქვავებული სახით დასცქერის ქმრის ცხე-დარს და გულისამაჩუყებელი სიტყვებით „უთვლის“.

გაბურთ ეშმაც იქვე, დიაცების ჯარში ზის, უცნაუ-რად აციგლიკებს ლამაზ თვალებს და ისიც იხოკავს იქა-ურთაგან განსხვავებულად ნატიფ ლოყებს.

ოთახის კარი ყურთამდეა მოღიავებული და კარგად ჩანს, გარეთ რა ხდება, ვინ – მიდის, ვინ – მოდის და ვინ რას აკეთებს.

და, აგრე, კვირიწმიდაში მგზავრად გამავალი (ნეტავ სად მიდიოდნენ?) პირიქითელი ხევსურებიც ჩამოხდნენ – შეეტყოთ უბედურების ამბავი და სამძიმრის უთქმელად ხომ არ გაივლიდნენ სოფელზე. შემოვიდნენ მწუხარე სახეებით, მწკრივად, ბოლოში ერთი ტანმორჩილი, შუა ხანს გადაცილებული კოჭლი კაციც შემოჰყვათ, ძლივს მოათრევდა ვაგლახად გაშეშებულ ფეხს. მოუსამძიმრეს ოჯახს მგზავრებმა და ისევ ეზოში გავიდნენ.

ზის მოტირალთა შორის ეშმა და ეშმაკურად წკურავს თვალებს, თან იქით იყურება, კარსმილმა, აინტერესებს – გარეთ რა ხდება, ესენი ვინ მოსულან. ამ გაგანია ტირილსა და მოთქმა–გოდებაში თვალი შეასწრო ეშმამ, მიცვალებულის ქვრივმა კარსმილმა მდგარ პირიქითლების ჯგუფს წამიერად შეყოვნებულ-დაკვირვებული მზე-რა რომ შეავლო.

და აი, ამ დროს, როცა გოდების წკირტნიალს ცისკენ მიჰქონდა ჭერი, ვიღაცის როყიო ხახანმა ელვასავით გაჰკეთა მწუხარების ალიაქოთი.

შეცბნენ მოტირალნი, ყველამ ხმა გაკმნიდა, შეხედეს და... ეშმაა რო ხარხარებს... არა, არც ხარხარებს, არც იცინის, არც კისკისებს, არამედ ხახანებს, ხახანებს, ვერ მიმხვდარა, რომ ყველა გაჩუმებულია და მას შეჰყურებს; ან იქნებ მიხვდა კიდეც, მაგრამ ხახანი ველარ დაიოკა, უფრო ასე უნდა ყოფილიყო, თორემ ეშმა და – რაიმეს ვერ მიხვდეს?!

ჰოდა, რომ ჩაათავა ეშმამ ხახან–ხვიხვინი და, როგორც იქნა, ფრუტუნ–ფრუტუნით ჩაწყნარდა, იქით–აქეთ

მოავლო თვალი და რას ხედავს: ტირილით დაოსებულ დიაცებს მანდილ—სათაურაში ჩაურგავთ სახე და ითმენენ გადამდებ სიცილს და ვეღარ იოკებენ, ვისაც თავის შეკავების იმედი არ ჰქონდა, გარეთ გავარდა, ზოგმაც დროზე უშველა თავს და მეზობელ ოთახში გაასწრო.

დამალული ეშმაკისააო.

დამალული სიცილიც, ალბათ, ეშმაკისაა და იმიტოა გადამდები და ხახანი რალა იქნებოდა, ისიც – ეშმაკის ხახანი.

მოკლედ, დაიცალა იქაურობა ქალებისაგან. მიცვალებულის ერთ მხარეს მისი ქვრივი დარჩენილიყო და მზერა შუბივით მიებჯინა ეშმაკისათვის, მეორე მხარეს – სირცხვილისაგან ფერდაკარგული ცოლი გაბურისა, რომელსაც გვერდზე ახლა უკვე დამშვიდებულ-დამყოინებული ეშმა ამოჰკვროდა და კალთაში ნასხამ თავის უფრჩისილო, მაგრამ იქაურთაგან განსხვავებულად თლილ თითებს სევდიანად დაჰყურებდა. უკვე ჩამდგარიყო სიცილ–ხარხარ–ხახანის ქარიშხალი.

უცებ კარებში თავად აღელვებული გაბური შემოიჭრა, იმას გადმოუნთხეველი ბრაზისაგან შეჰკვროდა კრიჭა, თვალებიდან ცეცხლს შლიდა და ნიკაპი ნერვიულად უკანკალებდა; ცოლებს უხმოდ, თავის გადაკვრით ანიშნა – დროა წავიდეთო და კვლავ კარებში გაუჩინარდა.

მდუმარედ გაიარეს კვირიწმინდის შამბმოდებული ორლობები, ჭიმლისწყალსა და ხეობას რომ შეუყვნენ და ნარღვევთან წუთიერად შეისვენეს, მაშინ მოუბრუნდა გაბური თავის მომხიბლავ ეშმას და მოკლედ, მაგრამ მრისხანედ იკითხა:

– რა გაცინებდ?

– „რო გეუბენით, რო ნუ წამიყვანთავ, თორე გამე-ცინებისავ“.

დახვეწილი ხევსურულით მიუგო ეშმამ.

– ნნ, რა გაცინებდ?

მოწოლილი ბრაზის კანკალს აუტანია გაბური; პა-სუხი აშკარად არ აკმაყოფილებს და ზუსტ განმარტებას ითხოვს გასხვარიგებული დიაცისაგან.

თურმე რა და: იმ პირიქითელ ხევსურებს შორის ერთი კოჭლი კაცი რომ იყო, მიცვალებულის ქვრივს თვალი რომ მოუკრავს მისთვის, გაუფიქრებია – აბა, რა მატირებს, სხვა თუ არავინ, სულ რომ ძალიან გაჭირდეს საქმე, აეგ კოჭლი ხო მაინც წამიყვანსო.

და ეშმასაც რა, ახალგაზრდა ქვრივი ქალის ფიქ-რთა მიმორხევა გამოეპარებოდა?!

ეს რომ მოუხსენებია ქმრისთვის, ის თავაწყვეტილი სიცილი ისევ მოსწოლია ყელში, მაგრამ განრისხებული გაბურისთვის რომ შეუხედავს, ხახანი ბაგეებზე მხოლოდ ღიმილად შეშრობია.

ჭიმლის ჭაუხის ჩრდილი უკვე გადახრილიყო, ხო-ლო მის თავზე საავდრო ღრუბლები გნიასობდნენ...

†††

სინდისის ქენჯნა! აი, ერთ-ერთი მახასიათებელი ამაღლებული ბუნების კაცთა. ეს გრძნობა, ეტყობა, არც ამაღლებული ბუნების ეშმაკთათვისაა უცხო.

ზემოთ გამოთქმულ ეჭვს კვირიწმინდაში მომხდარი ინციდენტიც დაერთო და წავიდა გაბურის ეშმა იქ, საი-დანაც მოვიდა; შეაცდინა გაბურის გულუბრყვილო ყმან-ვილი, პირველი ცოლისაგან, წამოაყრევინა ხმლის ქარქა-შიდან ფრჩხილები, წამოკრიფა ამანაც მაშინვე, ბავშვს

ერთი ლოყაზე უჩქმიტა, – ნურც გასწყდებით და ნურც გამრავლდებითო, – უთხრა და წავიდა, გაქრა...

ეშმას დანაბარები ყმანვილმა საღამოზე სამუშაო-დან შინმობრუნებულ მშობლებს მოახსენა.

დავუწყევლივართო! – გული გადაუქანდა დედა-კაცს და ხელები ლოყებში წაიშინა.

არაფერიცო, – ახლოსაც არ გაიკარა გაბურმა და თუმცა ძალიანაც არ ესიამოვნა ეშმას წასვლის ამბავი, მაინც არაფერი შეიმჩნია.

– როგორლა არაფერი, მტრისას – ეშმაკის წყევლა!
თავისას არ იშლიდა დიაცი.

– ეგ არც წყევლაა და არც ლოცვა. გულთან თუ მიიტანე, წყევლად იქცევა, თუ არა და – ეგ შიში გაზაფ-ხულის თოვლივით გაშრება და გაქრება. აბა, გაიხსენე, აქ რამდენი მამიშვილობა და გვარი ამოსწყდა და გადა-შენდა. ჩვენ სულ ასე უკაცურნი ვიყავით, მაგრამ მტერ-საც ვუძლვებოდით და მოყვარესაც, სამაგიეროდ – არც გადავშენებულვართ და არც გადავშენდებით. ამას რამ-დენი ინატრებდა, დიაცო, აბა, დაფიქრდი; რამდენმა უკანასკნელმა ნაშიერმა წაილო სამარები თავისი ჯიშ-ჯილაგის სამუდამოდ გაქრობის ტკივილი, რამდენი ქვითვირის ჩაბრუნებული ბანის საკვამურიდან აღარ ამოდის ბოლი. ამოწყვეტა და გათავებაა საშინელება, დღე რომ დაუღამდება და დილა აღარ გაუთენდება; იმას, რაც ქრება, წარსულიც ეშრიტება და აღარც მომა-ვალი აქვს, ყველაფერი შედარებითია. ჩვენ კი ერთიც გვაქვს და მეორეც და მე რო მკითხო, ლოცვა უფროა, – უთხრა ჩაფიქრებულმა გაბურმა ცოლს.

ძალა კი არც ეშმაკს უხმარია, ხერხი იხმარა, ხერხი, რომელიც ღონეს მაშინაც გაცილებით სჯობდა და დღე-საც სჯობს.

არა და, კარგად ცხოვრობდნენ ერთად კაცი და ეშმა, ერთმანეთში ცხოვრობდნენ, ერთმანეთით ცხოვრობდნენ, ერთმანეთს სჭირდებოდნენ და ერთმანეთს ავსებდნენ, როგორ გასძლებენ ნეტავ უერთმანეთოდ, ანკი ყოფილან ოდესმე ერთურთის გარეშე? არ ვიცი, არ ვიცი!..

და... ის მეორე ნოველა?..

„თუ ყველა კანონისა იშვეუბს“,

ახ

იშვეუბობის სახით

ეგ ამბავი, შენ რო მეუბნები, ლექსში ძიებ მოკლე-დაა მოყოლილი, მანდ ნახევარიც კი არაა; ეგენი – ღუ-ლელი მინდიათ ახალა და ბაბილო ნია, მამაჩემის შინშე-ბი იყენებ, ჩემზე კარგადა არავინ იცის მაგათი ამბავი?! ეგეთები ყოფილან, რო ჭივლები და გუდანლები ხალხო-ვაში საგანგებოდ პატიჯობდნენ – ხალხს გაართობენ, აღარ გვინდა ეს შუღლი და დავიდარაბა, ამოვიდა ყელ-შიო. ლექსად აღარ მახსონ, მაგრამა ამბად კი მოგიყვები, რატომაც არა, ცუდი რა არის მაგაშია, ან – დასამალი.

როგორც ცხონებული მამაჩემი იტყოდა ხოლმე, ფეხონში, ხალხის თანდასწრებითა, ლამის რო მთელი სოფლის თვალწინა, დასდგომია მინდიათ ახალა ბაბილო ნიასა თავზე და, თითქოს ხალხის შეუყრელად არ შეიძლებოდა, ყოველგვარი მიკიბვისა და მოკიბვის გარეშე გამოუცხადებია, რომა ცოლის მოყვანა მწადისო, ვინ-ცგინდა რაცებინდა თქვას, გადაწყვეტილი მაქვს ცოლის მოყვანა და ამასა ვეღარავინ გადამათქმევინებსო.

შეჩქვიფებულან მეფეხვნენი, შეეჭვებული სიჩუმე ჩამოვარდნილა, ვეღარც გაუცინიათ, ვეღარც სერიოზულად მიუღიათ და უპასუხნია სიცილით ნიასა:

– მერე და მაგას რა სჯობია, ახალავ, ჩემს ფან-დურს დღესვე ლარებს გამოვუცვლიო, – თვალები ეშმა-კურად გაჰპრენინებია, იმასაც რა უნდოდა მეტი რა, მე-

ლექსე და მეხალისე კაცი ყოფილა, მომღერალი და მო-
ცავავე, მოქეიფე და გამრთობი, ყველამ იცოდა.

ისა კიდენა, ახალა, მიერეკება და მიერეკება თავი-
სასა:

– აღარ გამოდის სხვანაირადა, ხანი და დრო მიმი-
დის, ოცდაათისა ვსრულდები აგერა, თავის დროზე რო
დავოჯახებულიყავ, აქამდე, სულ ცოტა, თხუთმეტი შვი-
ლი მაინც ხო უნდა მყავდეს არა? ეხლა მე ამ დანაკლისს
როდის-როდის ავინაზღაურებ, აბა, დაფიქრდით, ხალ-
ხოო, – სინანულით უთქვამს ახალას, მოუსაწყლებია თა-
ვი, მაგრამა ნიასა ამის გამო დაღონება ახლოსაც არ გა-
უკარებია და უნუგეშებია ახალაი – შენ ეხლა მაგაზე, ჩე-
მი აზრითა, მაინცდამაინც ბევრი არ უნდა იდარდოო,
თუ მეტყუპე ჯიშის ქალი შეგხვდა, მაგ ჩამორჩენილობის
აღმოსაფხვრელადა ხუთი-ექვსი წელიც გეყოფა, მერე
კიდენა მძიმე-მძიმედ ჩაჰყები საქმესო, – უთქვია.

ამათი საუბრის გამგონე მეფეხვნეებსა თვალები
შუბლზე ასვლიათ – რას მიედ-მოედებიან ესენი, ხო არ
გადარეულანო, ცოლის მოყვანა და წაყვანა როდის აქე-
თია სახალხოდ, ფეხონში გადასაწყვეტი საქმე გამხდა-
რაო, – გაუფიქრებია ყველასა, მაგრამა თან ისეთი ინტე-
რესი გასჩენიათ, რომა იმათთვის სიტყვის გაწყვეტინე-
ბაც კი არავის მოსვლია აზრადა.

ახალა კი თავისას მიერეკება ისევა, ბალდს ჰკით-
ხეს – რა გატირებსო? – გამდის და ვტირიო, ხო გაგიგო-
ნია.

– ჰოდა, რაზე უნდა დამიწუნონ, თვალად რამე მი-
ჭირს, თუ – ტანად, კაცობა არ მიქნია, თუ – ვაჟკაცობა,
ცხოვრება არა მაქვს, თუ – ქონება, ცხვარ-საქონი მაკ-

ლია, თუ ნადლვებ-ნაწველი, ვერცხლი, თუ – რვალი, ფლას-ფარდაგი, თუ – ცხენ-უნაგირი, სახნავ-სათესი, თუ – გასადევარი... არა, ერთი კაცი მაინც დამისახელეთ მთელს ხევსურეთშია, რო მე მჯობდეს, ტრაბახი რა შუა-შია აქა, ხალხო, თქვენზე კარგად ეგ ვინ იცისო. აემ სიტყვებზედა კი ფეხონიც გამოერკვა, როგორც იქნა – ეგ ხო ქვეყანამ იცისო, – ჩაიბურტყუნეს აქეთ-იქიდანა და საუბრის გაგრძელების მოლოდინში მალევე გაყუჩ-დნენ.

– მართალს ამბობ, მართალსა, შენსავით ცხოვრება-ქონების პატრონი ხევსურეთში კი არა, იმის იქითაც არ მეგულება და... ლექსი და ფანდური? მაგას რატომ არა სთვლი, ახალავ, ეგ რა, კაცობის ნიშანი არ არისო თუ რა?! – კვერს ცალყბად უკრავს ბაბილო ნია, ეშმაკურად აციგლიკებს თვალებსა და თან ეკითხება.

– ფანდური და ლექსობა ხო შენ იცი ჩემზე მეტი, მე ისენი ჩამოვთვალე, აქა, რაშიც შემცილე და ბადალი არავინა მყავსო! ამ საქმეში კია გულდაგულ დაუთმია მეგობრისთვინა პირველობა ახალასა და ამაყად მიმოუ-ხედია ირგვლივა. აინტერესებს – ხალხზე როგორა მოქ-მედობს ამათი საუბარი.

– არა, სასიძოდ დასაწუნებელი კაცი ნამდვილად არა ხარ, მაგრამ იმაზეც თუ იფიქრე, რომ შენი ოჯახის შესაფერისი ქალიც ბევრი როდია ამ ქვეყანაზედა? ქა-ლიც არის და – ქალიცო, – ისევ ნია ეუბნება.

– ვიფიქრე, მაშ, მაგაზე ვიფიქრე თუ ვიფიქრე და იმიტო არ შემაგვიანდა ამდენ ხანსა?! საქმე იმაშია, რო-მა ჩემი შესაფერი ქალი, ბევრი კი არა, ერთი ყოფილა მთელს დუნიაზედა განა, ერთი! სად არ ვიკითხე, სად არ

ვეძებე, მაგრამ – არა, იმისთანა არავინაა კაცომ! – ამა-
ყად უთქვია ახალას და ბაზზე ბოლთის ცემას მოჰყო-
ლია.

– ვაჲ, ვაჲ, ვინ არი ეგეთი ნეტარა, მე არ მეცნო-
ბა? – ვითომ ნამეტანი ინტერესში ჩავარდნილა ეს ნია და
ცნობისწადილისაგან ლამის ტყავიდან ამოხტეს გაყურ-
სულ-გაჩუმებული ხალხიცა. ვერ გაუგიათ, რა ხდება.
რაღაცა რო ხდება, ეს გაუგიათ, მაგრამა თუ რა – ამაში
ვეღარ გარკვეულან.

– ვინაა და რუსხელმწიფის შვილი!

თოფივით დაუხლია ახალასა.

ჰოდა, იქ მომხდარა, რაც მომხდარა, ნიას წამში გა-
დაუვლია თვალი იქ მყოფთათვის, გაოცებისაგან ჯერ
თვალები დაუჭყეტია, მემრე ტუჩებზე მომდგარი ეშმა-
კური ღიმილი რომ შეენიღბა, ცოტა უხერხულად კი ჩა-
უხველებია, მაგრამა ნირი მაინც არ შეუცვლია და ისევ
შეკითხვა მოუნაცვლებია:

– მერე... მოგცემს კია ქალს... ხელმწიფე-იმპერა-
ტორი?

– რას ჰქვია – არ მომცემს, ბოლოსდაბოლოს – ბერ-
დიას შვილიშვილი ვარ!

თვალები ავად დაუბრიალებია ახალასა და აფეთქე-
ბულა კიდეც მეფეხვნე ხალხში აქამდე რის ვაი-ვაგლა-
ხით შეკავებული სიცილი, მაგრამ ახალასა სულაც არ
ეცინებოდა, აფხორილ-აზვავებულს ერთხელ კიდევ მი-
მოუტარებია მრისხანე მზერა ხალხისთვინა და უთქვია:
– რა იყო, მეზობლებო, ვინა გგონიათ თქვენ ხელმწიფე?
ერეკლე მეფე ხელმწიფე არ იყო, სანეს დღეობაზე ჯე-

რაც ახალგაზრდა პაპაჩემმა ბერდიამ სიტყვა და საქციელი რომ დაუწუნა და შეუსწორა?!

— არც მაგაში ტყუიხარ, იყო, ეგრე იყო... — ჩაიუბნეს მეფეხვნეებმა უკმაყოფილოდ და შენყვიტეს სიცილი-ცა.

— კარგი და... რა და როგორა და როდისა...

ეჭვითა და ყოყმანით წარმოუთქვია ნიასა, როცა ხალხის სიცილ-ხარხარი მისწყდა.

— როგორ და, ჩაალბობ ამაღამ ჯლნებსა და გაუდები ხვალ გზასა!

— მეეე?!

მოულოდნელობისაგან წამოუყვირია ნიასა.

— შენა, აბა! შენნაირ ახლობელსა, გამოცდილსა, ენისმცოდნესა, ენაწყლიანსა და გასულ—გამოსულ კაცსა სხვას ვის ვნახავ და, რაც მთავარია, ლექსიც გიჭრის და ფანდურიცა; ძმობას გაფიცებ, აემ ხალხის წინაშე გთხოვ, ამ საქმის აქ ატეხა ამისთვის მინდოდა, აემ შენ-თვის უბრალო სამსახურზე უარი არ მითხრა, ამაზეც ბევრი მაქვს ნაფიქრი, შენ რომ იცოდეო, — დაუმშვიდებია ახალას თავისი მეგობარიცა და კიდევ უფრო გაოცებული ხალხიცა.

— კი, მაგრამ გზა? გზა რო არ ვიცი? იმ ოხრობა რუსეთში რო არ მივლია? მერე კიდევ მაგის ხარჯი...

თითქოს შეეცადა თავის დახსნას ნია, მაგრამა ამა-ოდ, ამაზეც ნაფიქრი ჰქონდა ახალასა:

— გზას რა ცოდნა უნდა: გამაიბამ საწაფზე ჩემს მანძილა ხარსა, ისეთია, როგორც აი, მინდორი, წუხელ ჩაოვეუვანე საზაფხულო იალაღებიდანა, სახში მყავ დაბ-მული, საგზაო ხარჯს მაგის ნაფასურის ნახევარიც კი არ დასჭირდება, გადაიკიდებ არაყიან ქინთსა, აივლი

როშკასა, გადაივლი საძელესა, ჩაივლი ჯუთასა, გახვალ სტეფანწმინდასა, გაჰყიდი იქ ხარსა, გასძვრები დარიალ-შია, მემრე სუ ვაკეები ყოფილა, თვალუწვდენელი ვაკეები, აღარც კლდე და აღარც ლრე, ივლი და ივლი, სუ პირდაპირა, პირდაპირა და პირდაპირა; ბოლოს მიადგები იმპერატორსა, გადასცემ ჩემს დანაბარებსა, ნიშანსა, და-ხარჯავ სასმელსა, გამოგატანს ქალსა და ისევ იმ გზით დაბრუნდები უკანა, სხვაგან არსად გადაუხვიო შენებუ-რადა; აჰა! ეგ არის და ეგა, რა უნდა მაგასა?!

ხელი ხელს გაჰკრა ახალამა, თვალი ამაყად მოავ-ლო იმისი საზრიანობითა და გაბეჭულებით გაშტერე-ბულ ხალხსა და ისეთი კმაყოფილებით ჩაიცინაო, თით-ქოსაო იმპერატორის ქალი ეგ არის და უკვე მელავზე ეწვინაო, – იტყოდა ხოლმე ცხონებული მამაჩემი.

ოლონდაცო, – იქვე შეუნიშნავს ახალასა, – გათე-ნებამდე უნდა წახვიდე, საძელე ღამიანად უნდა გადაი-რო, თორემა მზეში რო ხარი გაბზიკავდეს, ველარ დაი-მორჩილებო. ეგაც არ იყოსო, რაც მალე დაგვიბრუნდები რუსეთიდანა, შენთვისაც კარგია და ჩემთვის ხო ნიადე, კარგიც არის, ტკბილიცა და თბილიცაო. სახვალიოდ და იმის იქით კი ცუდი ნიშანი მიდგება, გადადება არ ივარ-გებს, ისეთ სიზმრებს ვხედავ, რო ხელი აღარ მოგემარ-თება, ეგ იცოდეო.

რაღას იზამდა ნია, კმაყოფილი და დამშვიდებული წავიდა თურმე სახლში, ჯლნები ჩამბალი ჰქონდა უკვე, ფანდურისთვისაც წინდაწინ გამოცვლილი ლარები და მოსასვენებლად დაწვა. წინ ვაკეზე გაწოლილი გზა კი ედო, მაგრამ საძელის მთას ხომ უნდოდა გადავლა...

დაშლილა ფეხონიცა, საფიქრალში ჩავარდნილი კა-ცები ერთმანეთში თურმე საუბრობდნენ, რომაო ესენი

ან რაღაცას ეშმაკობენ, როგორც სჩვევიათ, ან – ჭკუი-დან გადასულანო. იყვნენ ისეთებიცა, ყველაფერი პირ-წმინდად რომ სჯეროდათ და ერთმანეთში საუბრობდნენ – მაგათ მოინდომონ და რუსის კი არა და თათრის ხელ-მწიფის ქალსაც რძლად დაისვამენო.

†††

ქვეყანას გაუგია – მინდიათ ახალა იმპერატორის ქალს თხოულობსო და თავზე ბუზს აღარ ისვამსო. მაგის მეტი სალაპარაკო აღარვის ჰქონდაო, კაცი რო კაცს გზად მიმავალი შეხვდებოდა, სანამ სალამს მისცემდა, ჯერ იმას მიაძახებდა – მინდიათ ახალა რო იმპერატორის ქალს თხოულობს, ეგ თუ გაგიგია შენაო. კიო, კაცო, შენ დამასწარი, თორე მეც ეგ უნდა მეკითხა შენთვისო. მერე დასხდებოდნენ და, რაც არ უნდა სჩეარებოდათ, ამ ამბავს მაინც დაწვრილებით გაპტობრდნენ და ეჭვითა და შურით დაასკვნიდნენ: რანი ყოფილან ეს ღულელნი, ცხოვრება-ქონებას გვერდით უსხედან, მაგათი უთქმელი და უქნელი ქვეყანათაზე აღარაფერი დარჩაო. აბა, მა-გათ მძახლობაზე უარს ვინ ეტყვისო; ან – მაგათ მეტს რუსის ხოყანაში სამძახლოდ წასვლა სხვას ვის გაუბე-დია, ანდრეზადაც არ თქმულაო და ა. შ.

ბოლოსდაბოლოს ნიას სამძახლოდ წასვლა ირწმუ-ნეს რომელია, დიდი ქორწილისა და ახალუხალის მოლო-დინში იყო მთელი სოფელი – თორმეტ ძროხას წველის ახალა, მაგას ქალს ვინ დაუჭერსო.

სულ რომ ღარიბ-ღატაკი იყოს, ბაბილთ ნიას ამბავი რომ ვიცით, მაგას ნინ ვინ დაუდგება – ეშმაკს ანგელო-ზად მოაქცევს, ანგელოზს – ეშმაკადო, იმედოვნებდნენ სხვანი.

ცოლშვილობას ვცდებიო, – თავისას ვიშვიშებდა, ითვლიდა და ანგარიშობდა გაცდენილ შვილებსა ახალა და საწუხარს აშკარად ვეღარ ფარავდა – ჩემმა ელჩიმა რა ძალიან დაიგვიანა, იმ იმპერატორ– სასიმამრომ ჯარში კი არ უკრას თავიო.

და, როგორც იქნა, ხმა გატეხილა – ბაბილთ ნია დაბრუნდა რუსელმწიფის ელჩიობიდან!

კიბე-კიბედ ჩაწყობილ–ჩალაგებულ ბანებზე გამოე-ფინა ქალი და კაცი – ნარუსეთალი ნია უნდ ვნახოთ თვალითაო.

მაგრამ ნია რა სანახავი იყო, ჩამოგლეჯ–ჩამოწენილი, თმაწვერგაბურძგნული, ჯლანშემოხეული, აღარც ვერცხლის ქამარ–ხანჯალი ერტყა წელზე, აღარც ქინთი და აღარც იმისი ნაქები ფანდური. ბაბილთ ნია მაშინ უნდა გენახათ, ხელმწიფის კარზე რომ ამაყად შეაბიჯა, აშენდით, ხალხოო, მიაძახა და ნაბადი მარმარილოს მოკრიალებულ ქაზდარზე მოასრიალა – აწიდგე რაღაში დამჭირდება, იმპერატორ–მძახალი ნაბადში დაძინებას ხომ არ მაკადრებსო. ან მაშინ, გაოცებული რუსები რომ შემოეხვივნენ, როგორაც ბატონს კაი ხნის გაშინაურებული ყმანი და თავმომწონედ გაჯგიმულ, ულვაშგაგრეხილ ნიას უცხო რამ სანახაობასავით ათვალიერებდნენ. ვალში კი არც სამძახლოდ მისული სტუმარი დარჩენია, ისიც გულმოდგინედ ათვალიერებდა რუსის მოდაზე ჩაცმულ–დავარცხნილ, ლამის მკერდმოშიშვლებულ მანდილოსნებსა – ნეტა ამაღამ რომელ ქალთან მიელჩებს ჩემი ხელმწიფე მასპინძელიო.

ჩამომჯდარა ნია ნაელჩარი სოფლის გზაჯვარედინზე წამომართულ ლოდთან, ქანცგანყვეტილს ერთი ღრმად ამოუოხრებია და ქვას ზურგით მისვენებია.

– წყალი...

წამოიკნავლა ნიამ და მოართვეს წყალიო.

– პური...

ამოღერდა ნიამ და მოართვეს პურიო.

– ითხოვდე და მოგეცეს...

შეჰბლავლა მოულოდნელობისა, ელდისა და სიბრა-ლულისაგან დაზაფრულმა ახალამა თურმე.

სული რომ მოითქვა ნიამა და თვალები კარგად გაა-ხილა, გარშემო შემოხვეული თანასოფლელები მზრუნვე-ლი მარჩენალივით მოათვალიერა, სიამისაგან გული კი-ნალამ ამოუჯდა, – თქვენი ჭირიმე, თქვენიო, რა კარგები ყოფილხართო, – ამოთქვა, სუნთქვა დაიოკა და ოფლიან შებლზე მღელვარებისაგან აკანკალებული ხელი გადაის-ვაო.

– რა იყო, კაცო, უკან ხო არავინ მოგდევსო, – შეშ-ფოთებით მიაძახეს აქეთიქიდანა, მაგრამ იმანა არა უპა-სუხა რა, მარტო თავი გადააწყვიტა გვერდზე უღონოდა.

– გვიამბე, ნიავ, რა ამბავი მომიტანე, ან ქალი სა-დაა, თორემა ხო ხედავ – ვცდები, კაცო, ვცდები, სადამ-დე უნდა ვიცადო, შენ რო თავი ქუდში გაქვს, ეგრე ხო არაა მართლა და მართლა?!

მოუთმენლობისაგან სული ელევა ახალასა, კარგად არ ენიშნა ჯერ ელჩის ასე დაგვიანება, მემრე იმისი ოფ-ლში გახვითქულობა და მემრე კიდევა ესე გასაცოდავე-ბულისა და ცარიელ-ტარიელის დაბრუნება. სული ელევა კი არა, რომა ხმამაღლა სხვას ვეღარაფერს ამბობს და ხალხის თვალში ისევ ხუმრობით უნდა რო გავიდეს ფონსა.

ამ ბაბილო ნიასაცა, სული რო მოითქვა, სასაუბრო მოკლედ მოუჭრია და პირდაპირ საქმეზე გადასულა:

– ხელმწიფიანთას რო შევედი... რო შევედი, იქა თვალთ ამიჭრელდა, იქაურობას სუ მდღვინვა გაუდიოდა – ქაზდრით ჭერამდისა; ჭერზე კიდევა უშველებელი სა-სანთლეები ეკიდა, სუ გატყერებული იყო იქაურობა. ცხენის გაჭენება დარბაზში ჩამწკრივებული, სხვარიგად, უშნო-უშუქოდ ჩაცმული ქალი და კაცი ფეხზე ამდგრები დამხვდნენ, სტუმრისთვი ფეხზე ადგომა იმათანაც წესი ყოფილა, მარტო იმპერატორი იჯდა სადღაც ბოლოშია, საუფროსოში, აგრეთვე გამდღვინებულ, მაღლა შედგმულ ვეებერთელა სკამზე და გაღმინებული გადმომყურებდა. ის გამიკვირდა, კაცო, ქალ-დიაცებს რო მანდილ-სათაურა არ ეხურა, არც ფარაგი – ტიტველი გულისპირები გამოსდევდათ განა! ახლა კაცები! ქალებივით თმაგძელები, ტანზე ათასი ზიზილპიპილა ასხმული, წრუმპი შარვლები საცვალივითა... არ მომეწონნენ, არა, ერთი სიტყვითა.

– აქა მშვიდობაო, – ვთქვი, – ჩამასხეით, ვაჟებოო,
– მაგრამ იმათა ამბავ-მშვიდობაც არა მკითხეს, იდგნენ უჩქუმარანი და შემომყურებდნენ კაცუნახავებივითა. მემრე თმაყვითელი ახალგაზრდები მომიახლოვდნენ ორნი-სამნი, იქ ყოფილამ კაცებიც თმას იყვითლებენ, ოლონდ საქონის მწურეს არ უნდა ხმარობდნენ ისენი, არც ნაცართვალსა, სხვარიგად ყვითელთმიანები იყვნენ როგორლაცა. ჰოდა, იარაღს დამინყეს თვალიერება. ერთმა ხელიც კი შემავლო ხანჯარზედა, გავაშვებინე – მაგას კაი პატრონი ჰყავ, ბიძას კაცოო, ვუთხარი და ხელი გავაშვებინე. იმათ ერთმანეთს გადახედეს და გაიცინეს. სამძახლოდ არ ვყოფილიყავი და... მოკლედ, რო დაუუაზრე, იქ ხმალ-ხანჯარი არავის ერტყა, ავდექი და მეც

ავიყარე იარაღი. ავიყარე და ვინანე კია, მემრე უკან
აღარავინ დამიპრუნა ჩემი ხანჯარი, აღარც ფანდური,
აღარც ქინთი, არც ესეთი მოქცევა მომეწონა იმათი,
მაგრამა რა გინდა რო ჰქნა...

ხელით მანიშნა იმ სამძახლო იმპერატორმა – ახლო
მოდიო. მივედი, ავიარე მოკლე კიბე და წინ გამოვეჭიმე,
ე ქინთიც გვერდით დავიყუდე, დამინაკლულდა კია, აბა,
გაცამცმულს ხო არ მივიტანდი მძახალთან, გზაში ქვეყა-
ნა ნაცნობ-უცნობი ხალხი მხვდებოდა.

უსაქცივლო ყოფილიყო ი იმპერატორი, არც ფეხზე
წამომიდგა, არც ხელი ჩამომართვა და არც ამბავ-მშვი-
დობა მკითხა, ჩვენი არც კაცი, არც საქონი, არც ჭერხო-
ში ნაქონი, არაფერი არ აინტერესებდა. მიაზრა, მიაზრა,
ეგრე, რო სახეზე ღმინი არ შორდებოდა და ბოლოს, რო-
გორც იქნა, მკითხა, – რამ შეგაწუხა, ვინა ხარ, აქ საი-
დან მოსულხარო?

– მეო, ხევსური ვაარო, ვუპასუხე რიხიანადა, – მინ-
დიათ ახალაის გამოგზავნილი, გაგეონება. კაი საქმეზე
ვარ, თუ გვიკადრებთ, თქვენთან დამძახლება გვინდა, ამ
ამბის ასატეხად ვარ მოსულიო. ჯერ ჩაფიქრდა ი კაცი,
მემრე კვლავ გაიღმინა, ხელი ხელს გაჰკრა და – ვაჲ,
მართლაო? – გაუხარდა! – მაშა-მეთქი, – მეც გამიხარდა,
ეტყობა ახალაის ხმა-სახელი გაგონილი აქვსო და აღარც
ვაციე, აღარც ვაცხელე, პირდაპირ საქმეზე გადავე, –
მინდიათ ახალას შენთან დანათესავება უნდა, ქალსა
გთხოვს, აი, ნიშანიც გამომატანაო, – და ჯიბიდან ვერ-
ცხლის აბაზიანი ამოვიღე.

იმპერატორმა კი ღიმილზე გაწყობილი ულვაშები
დაბლა ჩამოუშვა, შუბლი შეიკრა და ოდნავ წინ წამოიწია

სკამიდანა. მაშინვე მოვარდა ერთი ახმახი და თვალების ბრიალით მეუბნება, რომაო, შენ ეგ ვინა გვონია, რა აბაზიანს ათამაშებ აქა, ეგ ცარია, ცარი, დიდი ხელმწიფეო!

— ეგ თუ ცარია, პაპა ახალასაც კი ჰყავდა — ბერდია, თავს რითი გვამეტებთ, თქვენ თუ ბუტკები გაქვთ ნევის პრასპექტზე, ახალას ორი კოდი უდგას ცვერცით პირთამდე გავსილიო, — მეც არაფერი დავუთმე გაჯავრებულმა, ბოლოსდაბოლოს იმათთვის შესახვენი რა გვქონდა, თვალები დავუტყვიცე და დოინჯი შემოვიყარე — ამათ ბეჩავ-ცოდვილნი არ ვეგონოთო.

იმ ახმახმა, გვერდით რომ მედგა და სვავივით დამტრიალებდა, კბილები გააკრაჭუნა, ხელები მიიფშვნიტ-მოიფშვნიტა და ხელმწიფეს შეხედა, ხელმწიფემ კი უეცრივ გადაიხახანა და — სხვა არაფერი დაგაბარაო?

— მაშა-მეთქი, სამაგიეროდ მთელს ხევსურეთში წესრიგის დამყარებას გპირდება — ქურდებსა და კაცის-მკვლელებს ზედ გადავსჯდებიო! — გადავეცი დანაბარები.

— ეგ ცოტაა, ჩვენ ეგრე იოლად ვერ დავმძახლდებითო. — ხელი ჩაიქნია იმპერატორმა და ვეცი მეც პირში:

— რას ამბობ, ბატონო, მაგის დღე სადა აქვს, კაცი ცოლშვილობას სცდება, წელიწადში თითო ბალლს ხო მაინც გააკეთებსო.

კაი ხანს იცინეს და იხახანეს, რავი, წელში თითო ეცოტავათ თუ რა იყო და იმ ცარმა — მეტი თუ არაფერი გაქვს სათქმელი, თავისუფალი ხარო.

— როგორ არა, როგორ არა, სათქმელი ჯერ არ და-მიმთავრებიაო, — მაშინ კი შევფუცხუნდი, — ახალამა, რომა შენ თუ ქალს მომათხოვებო, ღმერთმა ჯერ კი გაცოცხლოს და საიქიო ცხოვრებაში კაი პატივი გელის —

პაპაჩემ ბერდიაის გვერდით ჩამაგსვამო, – დამაბარა. გარდა მაგისა, კაცნი ვართ და, დრო რო აირიოს, სიმამრს მანდ უმუშევრად და უქმად ხო არ დაგტოვებ, ღულში ჩამოგიყვან, ხან ცხენს შემიკაზმავ, ხან – სვილს მომიმკი, ხან ბალახს მომითიბ, საქმე არ მოგაკლდება, ყანაში თავთავსაც მოგაკრეფინებ, ოლონდ თაგვების სოროებში კი მოგინევს ძრომიალიო; მაგაზეც ალარ შეგანუხებდი, მაგრამ ჩვენ, ღულელნი, რატომძაც თაგვებს ვერ ვეწევით, კაცო, და ამ საქმეში, ხანდახან, თუ გაჭირდა, მძახლები გვიმართავენ ხელსო.

მაშინვე კი შევატყვე, რო რაღაც სხვარიგად გახდა ხელმწიფე, სხვებიც იმას შახედავდეს ყველანი.

– დაამთავრეო? – მკითხა ცოტა ხანს დაფიქრების შემდეგ.

– კიო, – ვუთხარი მე, ქინთი იღლიაში ამოვიჩარე, ზურგზე ნაკიდები ფანდურიც წინ გადმოვსწიე, დიდი ყანნი მოვითხოვე და – დამახარჯვინეთ ე სასმელი, ჩვენი მძახლობა დავლოცოთ, ნუ გამანბილებ, დამდე პატივიო, – ვუთხარი და ჰორბის მოლოდინით შევაცქერდი. ამაზე კარგი რაღა უნდა მეტქვა. ვერაფერი შევასმინე, უჯიშ-ჯილაგონი ყოფილან.

– წადი ეხლა, საიდანაც მოსულხარო! – დამიყვირა იმპერატორმა და ეხლა იმან დამიტყვრიცა თვალები. ეგრე იოლად ხო არ დავყრიდი ფარ-ხმალსა და რო დავინახე, საქმე ცუდად იყო, გადავუგდე ქუდი ფეხებთან – ოლონდაც ნუ გამანბილებ, დიდო ხელმწიფეო, ეს საქმე გამიკეთე, აი, ქუდით გეხვენებიო.

სიტყვა არ მქონდა დამთავრებული, წამოხტა იმპერატორი, მარივათიანი კი ყოფილიყო, ამოჰკრა წიხლი ჩემ

ქუდსა და დარბაზში გააფრიალა, მეცნენ ი ქალივით თმაგრძელი და თმაყვითელი ახალგაზრდები, ამწიეს, გამაქანგამომაქანეს და გონს რო მოვედი, კიბის ბოლოში ვეგდე, წელთა და გავათ ვეღარ ვიდევნებდი, ი ქინთიც ჩემ გვერდზე ბუყბუყებდა; ამის მერე რაც გადამხდა, ხო ნულარ მომაყოლებთ, ჯოჯოხეთი გამოვიარე, ჯოჯოხეთი...

დაუმტავრებია ნიას თავისი წარუმატებელი ელჩობის ამბავი და თავი დამნაშავესავით ჩაუქინდრია.

– ცხოვრება-ქონებით თუ დამამეტა თავი, სხვა რა უნდა იყოს...

უნუგეშოდ ამოუღერლია ფერდაკარგულ ახალასა, მოუთვალიერებია ხალხი, დაინტერესებულა, როგორ იმოქმედა თანასოფლელებზე ნიას მონაყოლმა.

– რას ამბობ, კაცო, შენზე მეტი რა ექნებოდა რუს ხელმწიფეს?! მანდ ძალლის თავი სხვაგან საღმე უნდა იყოს დამარხული!

უნუგეშებიათ სოფლის გზაჯვარედინზე შეყრილ მეზობლებს, რომელთაც ერთი სული ჰქონიათ, კიდევ მოეთხორ ნიას ახალი და საოცარი ამბები ხელმწიფის კარისა.

– არა და რამდენს ვცდები, ამ ზაფხულმაც ტყუილად ჩამიარა, ე სთველიც კარზეა მომდგარი და რა უნდა ვაკეთო აქედანა და გაზაფხულამდე, ქალაქისოდენ ზამთრის ღამეებში!...

აჩქარებულ ბოლთას სცემდა და თავის გასაჭირს მოსთქვამდა თურმე მინდიათ ახალა.

ამ საუბარში ყოფილან, რომ ორი ქამარ-ხანჯალ-ჩოხა-ახალუხში გამოწყებილი, ოფლში გახვითქული ცხენოსანი მოვარდნილა სოფლის საფეხვნოსთან. ესენი ვინდა არიან, ფშავლები ჩანან იერითო, – უთქვამს ვიღაცას.

ამის თქმა იყო და ქვაზე მისვენებული ნია ფრინველივით ამოხტაო, – სიცილით იტყოდა ხოლმე მამაჩემი.

ცხენოსნები დაქვეითებულან, ხალხს მისალმებიან, მისულან და დაბარებულებივით პირდაპირ თავზე დას-დგომიან ნიას:

– ამბობენ, ხევისა და დარიალის დუქნებს არც შე-ნისთანა ხელგაშლილი მუშტარი ახსოვს და არც შენნაირი მელექსე-მეკაფიავეო, ნიავ!

– რაო? – ყურზე ხელი მოუჩრდილებია ფერდაკარ-გულ ნიასა.

– რაო კი არა, ი ჩვენი ხარი რო წაიყვანე და დაამ-ღერე, ეხლა გინდა გააცოცხლე, გინდა გვიზღე, თორემ მეორედ რო მოვალთ, იქით პარასკევს, უერთოდ აღარ წავალთ, ეგ იცოდე და ეჭვიც არ შეგეპაროსო, – უთ-ქვამთ ფშავლებს, მოხტომიან ცხენებს, – ხო გაიგეო! – რიხიანად შეუძახნიათ ფერწასული ნიასთვისა და გამ-ქრალან იქიდანა. სახტად დარჩენილა მთელი სოფელი, სუ არეულ-გადარეულან, ბაბუათ იმედას უთქვია, კაცი დავბერდი, ოთხმოცს გადავსცდი და ჯერ ამისთანა რა-მეს არც შევსწრებივარ და არც გამიგონიაო.

– როდის მოვალთო? – ძლივს თურმე ამოღერღა უეცარი ელდიდან გამორკვეულმა

ნიამა.

– პარასკევსო, ნიავ, პარასკევსო! – შეუხსენებია ვიღაცასა.

– პარასკევსო? – ახლა სხვას უკითხავს და იმასაც რო დაუდასტურეს:

– კიდე კარგი, სხვა დღე არ გვითხრესო, – შვებით ამოუსუნთქია ახალასა.

აი, ესე იყო, სინამდვილე თუ გინდა, ესაა. მე არ ვი-
ცი, ვინ რას ლექსობს და ვინ რას მღერობს, ვინ ტყუილს
ყვება და ვინ – მართალსა, ჩემ ოჯახში ესე გამიგონია
და როგორც გამიგონია, მეც ისე მოგიყევი.

დავით ქისტაური, 76 წლის, ს. ლულელები, 1971 წ.
იმას კი, თუ რატომ გაუხარდათ პარასკევი, შემდეგი
ამბავი მოგითხობთ.

სახურავული მართვები,

ახ

კოაზო მოფლატჭარი

ძილნაკლული წამოდგა იმ დილით აპარეკა, ტანი ხალვათად შეიმოსა, ბანზე გავიდა, გაიხედ-გამოიხედა, მიდამოს თვალი მოავლო და ეზოში მოფუსფუსე მეზო-ბელი რომ დაინახა, გაუბედავად მიუახლოვდა, იქვე, გზაჯვარედინზე გადმომხობილი უშველებელი ტყემლის ჩრდილში ქვაზე ჩამოჯდა და ღობის იქით გადასძახა:

- ხვთისო!
- ჰაო.

გამოეპასუხა ხვთისოც.

– კაცო, ე საქმე კი სუ აქ იქნება, სად წაგივა, ან სად ვის წასვლია, მაგრამ ჩვენს თავს რაიც უბედურებაა, ამას რა ვუყოთ, მოდი, ერთი დავილაპარაკოთ.

- რას ამბობ, კაცო, მოხდა რამე?

დაფეთებული ხვთისო წუთში იქ გაჩნდა და თავ-ბედჩამომტირალი აპარეკა რომ ნახა, გული ავი რამ ცნობის მოლოდინით შეეკუმშა.

– რა არ მოხდა, კაცო, მეტი რაღა უნდა მოხდეს... აბა, კარგად დაფიქრდი, საცოდარი არ გაკლია, ძველიც იცი და ახალიც, ხვალე და ზეგ რა იქნება – ისიც კი იცი; უქმეები, მკვდართ დღეები, ცოცხალთ დღეები, ჯვართ დღეები, ოღონდაც კარგად, კააარგად დაფიქრდი, საჩქა-რო არაფერია, დაფიქრდი და...

— დაფიქრებულიცა ვარ და დადინჯებულიც, აღარ იტყვი, კაცო?

ფეხზე წამოვარდა მოთმინებადაკარგული ხვთისო, მაგრამ სად ვინ გაუშვებდა, მაჯაში ხელი ჩავლო აპარეკამ და პირდაპირ და აჩქარებით მისცა ჩამჭრელი შეკითხვა:

— აბა, თუ მეტყვი შენ, რა დღეა ხვალ?

დაფიქრდა ხვთისო, წარბი იმანაც შეიკრა, შუბლიც დაკეცა, კვირის დღეები გულშიც გადათვალა, ტუჩების ცმაცუნითაც — ემანდ არ შევცდე და ამდენი რამის მცოდნედ გამოცხადებულ კაცს თავი არ მომეჭრასო და ბოლოს გაუბედავად ამოლერდა, — შაბათიო.

— აი, კაციი, ეგრეც ვიცოდი!

წამოიძახა ნასიამოვნებმა აპარეკამ, წასასვლელად დალირებული და არანაკლებ ნასიამოვნები თანამოსაუბრე კვლავ გვერდით, ქვაზე ჩამოსვა და მეორე, ამჯერად უფრო რთული შეკითხვა უნდა დაესვა, რომ თავზე გიგია წამოადგათ. აპარეკამ არც ის გაუშვა — სათიბში მერეც წახვალ, აქ უფრო მნიშვნელოვანი ამბავი წყდებაო და ის შეპირებული რთული შეკითხვაც დასვა:

— აბა, ეხლაც დაფიქრდი, ჩემო ხვთისო, ერთხელაც დაფიქრდი, არა, მეც დავფიქრდი, მთელი ლამე მეტი კი არაფერი მიკეთებია, თვლაში და ანგარიშში შემომათენდა, მაგრამ მაინც... შენ რო დაფიქრდები, სულ სხვაა, ჰოდა, დაფიქრდი და ამ კითხვაზეც ისე მიპასუხე: გუშინ რა დღე იყო? შორს ხომ არ გეუბნები, აი, გუშინ, გუშინ, სულ ახლახან, გუუუშინ რა დღე იყო?

ისევ დაფიქრდა ხვთისო, ოლონდ, როგორც დაარიგეს, გაცილებით უფრო კარგად დაფიქრდა, გონებაშიც დაითვალა, მეტი დამაჯერებლობისთვის თითებზეც გა-

დათვალა და პასუხის სისწორეში დარწმუნებულმა უცა-
ბედად წამოიძახა:

— ხუთშაბათი!

— ა, კაცი! ხო გითხარი, გიგიავ, ესეც ვიცოდი, რო-
გორ არ ვიცოდი, მართალია, ცოტა ეჭვი კი მეპარებოდა,
მაგრამ გულის სიღრმეში ხო მაინც ვიცოდი!

უხაროდა აპარეკას და ხვთისოს ბეჭებზე ხელს უტ-
ყაპუნებდა. ამასობაში მხარზე საფარცხველგადებული
სამი ძმა მეთულუხენი წამოადგნენ – სახვეტზე მივდი-
ვართო. რა დროს სახვეტიაო, გიგიამ, თქვენ ჯერ ბალ-
ლები ხართ, სათიპსაც მოესწრებით და სახვეტსაც, ამის-
თანა ხალხის მასლაათს კი, ვინ იცის, როდისლა მოის-
მენთო. ძმებსაც ჭკუაში დაუჯდათ, საფარცხვლები ლო-
ბეზე მიაყუდეს და სმენად გადაიქცნენ.

ხვთისოს კი, სანამ ის იქ მყოფებს ოდნავი ღიმილით,
ალმაცერად და თავმომწონედ გადასცქეროდა – აქაო და
პასუხი ყველანაირ კითხვაზე მომეპოვებაო, ცალ მუხ-
ლზე დამხობილმა, მავედრებელმა აპარეკამ მესამე და
გადამწყვეტი კითხვაც შესთავაზა:

— ეხლა კი, ჩემო ხვთისოვ, შენი ჭკუისა და გონების
ჭირიმე, აი, ე, ხალხია მოწმე, რო ყველაფერი იცი და ნუ
დამიმალავ, უფრო და უფრო კარგად დაფიქრდი და ისე
მიპასუხე, დღეს რა დღეა? გუშინ – ხუთშაბათი, ხვალ –
შაბათი, დღეს? დღეს რაღა დღეა? აეგ გამაგებინე და მე-
რე რაც გინდა, ისა მთხოვე.

— როგორ თუ დღეს რა დღეა?!

ხელახლა შეიკრა წარბი ხვთისომ და, ცოტა არ
იყოს, ავადაც მოილრუბლა.

— ჰო, აი, დღეს რა დღეა, დღეს, დღეს, დღეს!

სამჯერ დაჰკრა მიწაზე ხელი აპარეკამ.

— დღეს არის დღე! ვერა ხედავ, რო დღეა? რას ქვია
— რა დღეა! თუ დღესა და ღამეს ვეღარ არჩევ? რა დღეა
და მზიანი დღეა, მშვენიერი ამინდი.

ხელებით ჰაერში ფართო წრე შემოხაზა ნამეტანი
მარტივი და, ამდენად, მოულოდნელი შეკითხვის გამო
გულზე მოსულმა ხვთისომ და ფეხზე წამოდგა. ამასობა-
ში მთიბელში მიმავალი ათიოდე ტალიკ-ტალიკი ბიჭი
შემოუერთდათ და ხუთი-ექვსი ნამგლიანი დედაკაციც.
ამათ, შეავლეს რა თვალი დამხვდურთა დაძაბულ სახე-
ებს, გზა აღარ გაუგრძელებიათ, დაუპატიჟებლად შე-
ჩერდნენ და სმენად გადაიქცნენ — აქ, უეჭველი, რაღაცა
ხდებათ. ჩოჩქოლის ხმაზე თვით ჩალხიასთვისაც კი ვე-
ღარ გაეძლო გულს და ყავარჯენმომარჯვებული და აჩ-
ქარებული სოფლის უხუცესი ყოჩადად მოუყვებოდა ორ-
ღობეს.

— მაგას კი ვხედავ, მაგრამ სახელი რა ჰქვია? აი,
შენ ხო ხარ ხვთისო, ის ხოა უთური, ხვალ ხოა შაბათი,
გუშინ ხო იყო ხუთშაბათი, დღევანდელ დღეს აღარ უნ-
და სახელი?

კითხვის შებრუნებით მიუგო აპარეკამ.

დაღონდა, აშკარად დაღონდა და დაიბნა ხვთისო:

— რას ამბობ, აპარეკავ, აბა, დაფიქრდი, რით ვერ
გაიგე, დღეს — დღე ჰქვია, ღამეს — ღამე, იმას — გუშინა,
ამას — ხვალე, იმას — გუშინწინა, ამას — ზეგა, თვე — თვეა,
წელი კიდე — წელი, რა არის აქ გაუგებარი?

დაუმყოინა და ჩამოურაკრაკა ფეხზე წამომდგარმა
ხვთისომ, მითუფრო, რომ გარშემო შემოკრებილმა ხალ-
ხმაც კვერი დაუკრა — ეგრეა, ეგრე, არაფერიც არ გეშ-
ლებაო.

— ვააჲ, კაცო, როგორდა გითხრა, აღარ ვიცი... აბა, ჩამოთვალე კვირის დღეები.

ხელი ხელს გაჲკრა აპარეკამ და თანაგრძნობის მაძიებელი მზერით გადახედა გარშემო შემოხვეულ ხალხს, რომელიც ამ საუბარ–საუბარში ერთი–ორად მომრავლებულიყო.

— ორშაბათი, სამშაბათი, ოთხშაბათი, ხუთშაბათი, შაბათი, კვირა.

— ეე, ეგრე არა, არა, პარასკევი რაღა უყავი? — გამოსტყვერა ერთი არამკითხე დედაკაცი და სხვებიც აყაყანდნენ — პარასკევი რაღა იქნაო. ხვთისოც შეფიქრიანდა და დაეჭვებულმა ჩაილაპარაკა:

— მოიცა, ერთი, აბა, უკულმა დავითვალო.

ახლა უკვე თითებზეც დაითვალა უკულმა და, ცოტა არ იყოს, უკმაყოფილოდ გამოაცხადა:

— აქ ერთი დღეა კვირა, ისიც ხთიშვილთ უფროსია და უიმისოდ, აბა, რა როგორ იქნება! დანარჩენი დღეები სუ შაბათებია, პარასკევი იქნებ სულაც არ იყო, ჯერ მარტო სახელს დამიხედე — პარასკევი! რას ნიშნავს, რა სახელია პარასკევი! სხვა დღეებში ის მაინც ვიცით — რამდენი შაბათია, სულ შაბათებია: ორი შაბათი, სამი შაბათი... და ასე და მართლაც ის ერთი პარასკევი საიდან უნდა გამომხტარიყო?

— სწორია, სწორი, პარასკევი რო კაი დღე იყოს, ან მკვდართ დღე იქნებოდა, ან — ჯვართ დღე, პარასკევი არა ისა...

ამაყად გამოთქვა საკუთარი აზრი ვიღაცამ.

— მოიცათ, მოიცათ, ამხელა ხალხი ხართ და ტვინი სუ გამოგიშრათ? თვლა ერთიდან იწყება, ეს ხო ყველამ იცის, ჰოდა, ერთშაბათი სადღაა? იქნებ ისაა პარასკევი?

წარმოთქვა მოკლე სიტყვა გიგიამ და სოფლის შუა-გულში მომრავლებულ ხალხს გულდიდად გადახედა; ხალხმა კი ჯერ ხმა გაკმნიდა, გაყუჩდა, ჩაფიქრდა, მერე აღტაცებულებმა ტაში გაჰკრეს, თავები გაოცებით გააქ-ნიეს — ეს როგორ ვერ მოვიფიქრეთო და დაბნეულ აპა-რეკას ლამის ერთდროულად მიაყვირეს:

— მართალია, გიგია მართალს ამბობს, კვირას თუ ერთშაბათიდან დავიწყებთ და შვიდშაბათით დავამთავ-რებთ, ყველაფერი ლარივით გასწორდება!

იქით კიდევ დედაკაცები წამოიშალნენ:

— ჩვენ ჩვენი პარასკევი მოგვიყვანეთ და მერე რაც გინდათ, ისა ქენით, ჩვენ უპარასკევოდ ვერ გავძლებთ!

— რა ჯანდაბად გინდათ დიაცებს პარასკევი? პა-რასკევი კაცების საქმეა!

ამაყად განაცხადა გიგიამ და დედაკაცებს მრისხა-ნედ გადახედა.

— სულაც რა საჭიროა ან პარასკევი, ან კვირა! ად-რე ასეც იქნებოდა, მაგრამ ალბათ ჯერ ერთშაბათი დაჲ-კარგეს ჩვენმა წინაპრებმა, მერე კი შვიდშაბათი, აღარ არი დრო, რო წესრიგი და სამართლიანობა აღვადგი-ნოთ?! ცოტა ისტორიაშიც ხომ უნდა ჩავიხედოთ — სუ გაუნათლებლები ხო არ უნდა დავრჩეთ?! — თამამად წა-მოდგა წინ ერთი ახალგაზრდა, მაგრამ ამ საინტერესო მოსაზრებას მოხუცების ერთი ჯგუფი არ დაეთანხმა:

— მერე და საქმეში უნდა ამოგვხდეს სული? კვირა რო აღარ გვექნება, აღარც უქმე დღე გვექნება და დას-ვენება აღარ გვინდა? დამიხედეთ ერთი ბალლის ჭკუას!..

— გა—ჩუმ—დით! გაჩუმდით, თქვე შერეკილებო! რას ამბობთ, რას? რას მიედებ-მოედებით? ყველა ჭკუადამ-თხვეულმა ამ სოფელში როგორ მოიყარა თავი! პარასკე-ვი იყო და იქნება, თქვენ თუ არ გჭირდებათ, ზოგიერ-თებს, სოფელს სჭირდება, მე მჭირდება, ამას სჭირდება, იმას სჭირდება... თქვენ მარტო მუცლის ჩასახეთქზე ფიქრობთ და ეგ მოგიღებთ ბოლოს, ეგ დაგდუპავთ, და-იხსომეთ ჩემი სიტყვა. კაცო, ე ნორმალური ხალხი რო გაჩუმებულია, აბა, ერთი იმათაც ათქმევინეთ სიტყვა, სუ რეტიანების ჭკუაზე როგორ უნდა იაროს სოფელმა, მიკვირს და გამკვირვებია! — წამოიძახა მხრებში მოხ-რილმა, ხმელ-ხმელი აგებულების ჩალხიამ, რომელიც აქამდე ხმაამოუღებლად უსმენდა ხალხს და თვალი მრისხანედ მოავლო ახლა უკვე გასუსულ-გაყუჩებულ ბრბოს. ამ წუთიერად ჩამოვარდნილ სიჩუმეში შემაღლე-ბულზე წამომჯდარ ახალგაზრდას გაოცებით აღმოხდა:

— მართლა რამდენნი ვყოფილვართ, აი...

საერთო სიცილ-ხარხარმა ჩალხიას მრისხანებას ცივი წყალი გადაასხა.

მზე მაღლა-მაღლა მიინევდა. საამური, თბილი დღე იდგა. სადღაც შორს, დასალიერში ჩაწოლილ მთებში იკარგებოდა არაგვის ხეობა. სოფლის საფეხვნოში შეკ-რებილ ხალხს კი სათიბიც გადავიწყებოდა და სახვეტიც, ისევ ქოთქოთობდნენ, ყველას ხელები გაეშალა და კვი-რის დღეებს თავისთვის გულმოდგინედ ითვლიდა, თან ხმამაღალი და საქმიანი დავა-კამათი გაეჩაღებინათ:

— კაცო, კვირაში შვიდი დღე არ იყო?

- შვიდი კი არა, ექვსი იყო. არა, სუ ადრე ბევრი დღეები იქნებოდა, მაგრამ დრო რო მიდის, კვირასაც ხო თანდათან აკლდება დღეები, ამას რა მიხვედრა უნდა!
- ადრე რა იყო, არ ვიცი, მაგრამ კვირაში დღესაც შვიდი დღეა, ოლონდ პარასკევი აღარაა, სად წავიდა, მე რა ვიცი, ან რაში მჭირდება?!
- კარგი და, იქნებ მართლა სულაც არ იყო ეს პარასკევი, რას ავიტებეთ, რო ავიტებეთ?
- იყო, იყო, ხინკლის გულს პარასკეობით არ ვაკე-თებდით ხოლმე?? პარასკევი უხსოვარი დროიდან გვქონ-და!
- გვქონდა, აბა, რა! ჩვენი ძველებისაგან მეც ასე მახსოვს, პაპაჩემი იტყოდა ხოლმე – ლარიბ-ლატაკსა და უქნარას ერთი რამე უხარია ყველაზე მეტად – პარასკე-ვიო!
- აბა, რო არ ყოფილიყო, პარასკევის სწორი საი-დანლა იქნებოდა!
- „პარასკევობით“? მაშინ აღარც „პარასკევობით“ იქნებოდა.
- აღარც სახელი პარასკევა იქნებოდა!
- არა, იყო, ნამდვილად იყო! მაგრამ ეს ერთშაბათიც რომ საეჭვოდ გამოსტყვრა?..
- და შვიდშაბათი?
- შენ ეგა თქვი, აი, ეგლა გვაკლდა ამ გაჭირებაში!
- არა, არა, როგორ არ იყო, იყო, მაგრამ ვეღარ ვიხსენებ – სად, შორს კი არ უნდა იყოს, სადმე ახლო-მახლო იქნება, ეგ არის, რომ ძებნა დაგვჭირდება.
- კარგი და, ზოგს რომ კვირაში ცხრა პარასკევი აქვს? ეგ როგორლა იქნება?

— კვირაში კი არა, ზოგს დღეშიცა აქვს, ოლონდ — შვიდი პარასკევი!..

— კაცო, მაგათ რო აქვთ, თავისთვისა აქვთ. ჩვენ? ჩვენ რა ვქნათ — სოფელმა, უპარასკევონი ხო არ ვიქნებით, სადამდე ვიყოთ კაცთა სასაცილონი!

— ვიღაცას ცხრა და სოფელს ერთი პარასკევიც აღარა?

იდავეს, იკამათეს და ბოლო-ბოლო პოზიციები შეაჯერეს, შეთანხმდნენ და დასკვნაც სათანადო გამოიტანეს: იყო, მაგრამ აღარ არის, დაგვიკარგავსო!

— ხალხო, პარასკევი ნამდვილად გვქონდა, მაგრამ, როგორც ჩანს, ჩვენი უთაურობითა და ბედოვლათობით ვერ მოვუარეთ და შედეგმაც არ დააყოვნა — დავკარგეთ!

სევდიანად გამოაცხადა ხვთისომ.

— ეგ იმედი მქონდა შენი? —

განწირულივით ამოიკვნესა აპარეკამ.

— ეე, ეე, დაგვიკარგავს არა ისა, ხო არ გადაირიეთ, პარასკევს ცოლი უნდა მომეუვანა!

წამოიჯაგრა ულვაშანკეპილი ახალგაზრდა, რომელიც ამდენ ხანს ხმას არ იღებდა და გულისფანცქალით უგდებდა ყურს, თუ რა ბედი ეწეოდა პარასკევს.

— დაიკარგა და სუ დაკარგული იყოს, ერთი დღე გინდა იყოს, გინდა — არა, ბრალი დაკარგულს, თორემ ჩვენ — რა!

დაიარხეინა შუახნის კაცმა და ცელი მხარზე გაიდო, აპარეკამ კი წასვლა როდი აცალა:

— როგორ თუ — ჩვენ რა, სწორედაც რომ — ჩვენ, თორემ იმას — რა! არაფერს რო არ მოიკითხავთ თავის დროზე, მაგის საფიქრალით მთელი ღამე არ მძინებია,

ერთი დღე რომ იყოს, კიდევ კაი, ჯანდაბას, მაგრამ სიცოცხლე რო გაგვინახევრდება, ამაზე თუ გიფიქრიათ ვინმეს? ეგ ერთი დღე თვეში ოთხი დღეა, ხოლო წელიწადში, სადღაც, ორმოცდათი დღე, ახლა ეგ კიდევ იმაზე გადაამრავლე, რამდენი წელიც უნდა იცოცხლო და მერე იანგარიშე, რამდენი დღე გაკლდება მთელი სიცოცხლის მანძილზე! არ იცით, რო დრო უპარასკევოდ გაცილებით სწრაფად და უაზროდ გადის?

აპარეკას მოკლე, მაგრამ საკმაოდ ემოციურმა და შინაარსიანმა გამოსვლამ იქ შეკრებილ, ლამის უკვე მთელ სოფელზე, ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა, რომ ყველა გაისუსა და ყველას შიშის აჩრდილმა გადაუარა. თვით ყოვლისმცოდნე ხვთისოც კი პირდაღებული შეჰერებდა ალელვებულ ორატორს და როცა დუმილი უსაშველოდ გაინელა, მორიდებით შეჰერადრა:

– რას ამბობ, აპარეკავ, მაშ ვისაც ორი პარასკევიც არ დარჩენია, ის დღესვე მოკვდება? მამაჩემმა დღესდილით – ორი პარასკევი ალარ დამრჩენიაო...

– არ მოკვდება, თუ ვიპოვით! რა უბედურებაცა გვჭირს, სულ უპარასკევობით გვჭირს, უნდა ვიპოვოთ, ვინც პარასკევს ეძებს, ის არასოდეს ალარ მოკვდება!

ანუგემა აპარეკამ, თითო ჰაერში შეათამაშა და შიშისაგან დაზაფრულ თანასოფლელებს უშიშარი მთავარსარდალივით გადახედა.

– სად უნდა ვიპოვოთ? როგორ უნდა ვიპოვოთ? – კითხვები დააყარეს აქეთ-იქიდან აპარეკას, რაკიდა იმედის ნაპერწკალი გაუჩნდათ.

– ი დაკარგულ ჯორს როგორ პოულობთ? უნდა წავიდეთ და მოვძებნოთ, ასე ხდება ყველა დაკარგულის პოვნა და პარასკევი რაღაა? – ნიშნისმოგებით უპასუხა

აპარეკამ და ცოტა ხნის სიჩუმის მერე ერთიც რიხიანად, ბოლო ხმაზე შეუყვირა, – რა იყო, რა ყურები ჩამოგიყურიათ!

იქვე ერთი წვერგაუპარსავი მოხუცი იჯდა, რომელიც მთელი ამ ხნის მანძილზე თვალებმოწეურული შეჰყურებდა აპარეკას და რომელმაც ხელახლა ჩამოვარდნილი სიჩუმის ფონზე უკმაყოფილოდ, თავისთვის ჩაილაპარაკა:

– ჰმ... კუმ ფეხი გამოყოო...

იმან კი თქვა ხმადაბლა, მაგრამ ხალხმა გაიგონა და აქა-იქ დაფარული სიცილ-ფხუკუნი გაისმა.

– რა გაცინებთო, – მდგომარეობაში ვერ გაერკვა თავის საფიქრალში ღრმად წასული აპარეკა და კითხვით მიაჩერდა ერთ-ერთ ახალგაზრდას, რომელიც მოწოლილ სიცილს ვეღარ იკავებდა და ჩაბჟირებული აქეთ-იქით აწყდებოდა. ბოლოს კი, როგორც იქნა, სული რომ მოითქვა და დამყოინდა, მორიდებით შეჰკადრა აპარეკას:

– რა მაცინებს და მაგას, ამდენ ხალხში, ვერ ვიტყვი...

– რას ჰქვია – ვერ იტყვი, შენ რა, დამცინი?

ავად მოილრუბლა აპარეკა და იმ ყმაწვილმაც, აქაო და – მართლა ისეთი არაფერი დამბრალდესო, თავი იმართლა:

– კუს რომ ფეხები ჰქონდეს, ნახირში კი არ წავიდოდა, გავარდნისთანავე ჯერ ზურგზე ამოგვაცოცდებოდა.

აი, მაშინ უნდა გენახათ სიცილ-ხარხარი, მაგრამ ახლა უკვე მარტო ის ბალლი გაჩუმებულიყო და დაბნეული იქით-აქეთ იყურებოდა, დანარჩენები კი ერთმანეთს აწყდებოდნენ და ხელს კიდევ უარესად დაბნეული

ლი აპარეკასკენ იშვერდნენ – ხო მიიღე საკადრისი პა-სუხიო.

ბოლოს, როგორც იქნა, დაწყნარდნენ და ისევ თა-ვიანთ საჭირბოროტო საკითხს მიუბრუნდნენ. ეჭვი იმა-ში, რომ პარასკევი მართლა დაკარგული ჰქონდათ, ხო-ლო დაკარგული პარასკევისა კი მოძებნა იყო საჭირო, აღარავის ეპარებოდა, მაგრამ ახლა ყველაზე რთული იმის გადაწყვეტა იყო, სად უნდა მოეძებნათ, საით უნდა წასულიყვნენ და რომელ მხარეს.

აზრის გამოხატვის თავისუფლება ამ სოფელში სადაო არასოდეს ყოფილა და ამჯერადაც სოფლის საფეხვნოში თავმოყრილ ხალხს მრავალი საინტერესო წინადაღების მოსმენა მოუხდა. გიგიას ჯერი რომ დადგა, ავიდა ლოდზე, მოხერხებულად მოკალათდა, ხმა ჩაიწმინდა და თავისი მრავალნაცადი და შთამაგონებელი ხმით ასეთი რამ თქვა:

– ხალხო, ე პარასკევი მარტო ჩვენ კი არა, წინა კაცთაც დაუკარგავთ და, სხვათა შორის, არაერთხელაც. ანდრეზი გამიგონია პაპისჩემისაგან: ერთხელ ისინი პა-რასკევის საძებნელად არაგვის გზით წასულან, დაჰყო-ლიან არაგვს თავდაღმა, მერე იმას სხვა მდინარე გადას-დგომია წინ, ახლა იმას გაჰყოლიან და სადღაც ხმელე-თის დასალიერზე, სადაც ცა ასე ახლო კი არ ყოფილა, პირდაპირ მთებზე ჩამომხობილი, არამედ ისე დაბლა და ისე შორს, რომ რაც უფრო მეტს მიდიოდნენ, მითუფრო შორდებოდათ. ჰოდა, უპოვნიათ კიდეც იქ. მოდი, ხალხო, წინაპართა გზას ნუ გადავუხვევთ, დავსვათ ქადაგი, გა-მოვაბრძანოთ გუდანის ჯვარის სალაშქრო დროშა, და-ვეშვათ ჩვენც არაგვის ხეობით და თუ იმათ იპოვეს, ჩვენ რაღა ღმერთი გაგვიწყრება, რო ვერ ვიპოვოთ?!

ზოგს კი მოეწონა ეს წინადადება, განსაკუთრებით იმათ, ახალი, მანამდე უცნობი წეს-ჩვეულებების დანერგვას ვინც ეწინააღმდეგებოდა, მაგრამ უფრო ბევრმა უნდობლობა გამოაცხადა და წინააღმდეგ წავიდა – რაღა დროს წინა კაცნია, დრო შეიცვალა, სულ ჩვენ როგორ უნდა ვიყოთ ჩამორჩენილები, დროა, რომ ჩვენც გავახილოთ თვალები და ქვეყნის ორომტრიალი მკაფიოდ დავინახოთ; გიგის გზას კარჩაკეტილობისა და დამყაყებისაკენ მივყევართ, რასაც, საბოლოოდ, ჩაფლავება მოყვება და რად გვინდა ისეთი გზა, თუნდაც გამოცდილი, რომელიც პარასკევს ვერ გვაპოვნინებსო.

მანამდე კი, სანამ სოფლის ყრილობა ერთ კონკრეტულ გადაწყვეტილებას მიიღებდა, ან სამოქმედო გეგმას შეიმუშავებდა და სამძებრო საქმიანობას შეუდგებოდა, უხუცესმა ჩალხიამ დრო იხელთა, ერთხელაც სცადა თანასოფლელების ჭკუაზე მოყვანა და სიტყვა მოითხოვა. ხალხი რომ გაისუსა, ყავარჯენზე ჩამოყრდნობილი მოხუცი, რომელსაც ჭკუას არა მარტო აქაური, არამედ სხვა სოფლელებიც ეკითხებოდნენ, ჯოხს მძიმედ დაეყრდნო, ფეხზე წამოიმართა და წარმოთქვა:

– რას ამბობთ, ხალხო, რას მიედ-მოედებით, ვერა ხედავთ, რო პარასკევი კი არა, ჭკუა გაქვთ დაკარგული და დაბნელებული? ნუთუ ვერ ხვდებით – რა დღეში ხართ? გაგონილა ასეთი უმეცრება? ყვავს რა ჰქონდა – ბუს გაჰქონდაო, ისეა ზოგის საქმე. რო შემოსკუპდებით აემ ლოდზე და იფხანთ ენებსა, ვიღაცას თავისი ოჯახის საქმე ვერ აუწყვია და სოფლის აწყობას კისრულობს. არ უნდა დაუფიქრდეთ – რა ხდება ჩვენს გარშემო? როდემდე უნდა იაროთ ბრმებივითა და ყრუებივით? როდემდე

უნდა იბუქნაოთ სხვების დაკრულზე... სად დაეძებთ, რას დაეძებთ, რაც არ დაგიკარგავთ; რაის არაგვიო, რომელი წინაპრებიო, იმათ იცოდნენ, რა უნდა მოეძებნათ, სად უნდა მოეძებნათ, იმათ ესმოდათ ერთმანეთის ენა, თქვენა? თქვენ კი აღარაფერი გეყურებათ, თქვე უბედურებო, ერთმანეთსაც ველარა სცნობთ; საით მიგინევთ გული, ვინ რას მოგცემთ, ვინ რას გადმოგიგდებთ აესეთ ბედოვლათებსა, ჰაა!..

ამოიოხრა ჩალხიამ და ცოტაზე მაინც მოიოხა გული, მამოპრივად მზრუნველი თვალი მოავლო ირგვლივ და გაუკვირდა – თურმე მისმენდნენო.

– შენ ისე ლაპარაკობ, რომ კიდეც უნდა დაუკრა და კიდეც უნდა იცეკვო. ეგრე გიუები იქცევიან; თანაც კიდე, იმაზე თუ გიფიქრია, რომ ზოგმა რომ დაკვრა იცის, მაგრამ ცეკვისა ჭაჭანი არ გაეგბა, ზოგი კიდე ცეკვისას სუ ციდან მოდის, ხოლო დაკვრისას – თითები უშეშდება!

გადმოაფრქვია სიბრძნე ერთმა გაწლიკულმა ყმაწვილმა და სიტყვის გაგრძელება აღარ აცალა ჩალხიას. უხუცესის გამოსვლის ასეთი შესავალი თანასოფლელებმა შეურაცხყოფად მიიღეს და ერთი ალიაქოთი ატეხეს. ბოლოს, როცა უკმაყოფილო შეძახილების ტალღა ჩაცხრა, ლოდზე თავისი მოკრძალებული აზრის წარმოსათქმელად ახლა ხვთისო ავიდა:

– არაგვს კი არა, მზეს უნდა გავყვეთ. ისეთი ნიშანი მიჯდება, სადაც მზე ჩავა, იმ მხარეში უნდა ვეძებოთ ჩვენი დაკარგული პარასკევი, სადმე იქ უნდა იყოს. ვისაც რამე დაუკარგავს, ყველა ყველაფერს იქ დაეძებს და იქით გარბის და ჩვენც ვცადოთ ბედი, მე გაგიძვებით; ერთი კი იცოდეთ, ჩვენი პარასკევი ყველას ფეხებ-

ზე ჰკიდია, ჩვენ, ჩვენ თვითონ უნდა მოვძებნოთ და ვი-პოვოთ! აბა, ერთი კარგად მიიხედ-მოიხედეთ გარშემო: ჭიელთ აქვთ პარასკევი, ლიქოკელთ – აქვთ, გუდანელთ – აქვთ, ბისო-ხახმატელთ და რავი, ვიღას არა, ჩვენ რატო უნდა ვიყოთ უპარასკეონი, მამა-პაპა გვყავდა სხვაზე ნაკლები თუ ჩვენა ვართ?! აი, ეხლა მზე გადაიხრება და ჩვენც გავყვეთ, წინ მზისმყოლი ანგელოზი გაგვიძლვე-ბიან და ვიდინოთ!

ასე მოუწოდა სმენად გადაქცეულ ხალხს ხვთისომ და ლოდიდან ჩამოცოცდა.

გიგიას რჩევას, ანუ არაგვის გზას, მხარდამჭერები არ აღმოაჩნდნენ. დიდი დავიდარაბისა და დავა-კამათის შემდეგ ხმები ორად გაიყო და ლიდერიც, ცხადია, ორი გამოიკვეთა – აპარეკა და ხვთისო. ტყემლის ძირში წამო-მართულ ლოდზე სიტყვის წარმოსათქმელად ხან ერთი აბობლდებოდა, ხან – მეორე და თანამოაზრეთა მოპოვე-ბასა და შემომტკიცებას თავიანთი ორატორული ხელოვ-ნების გამოისობით ცდილობდნენ. ისეთებიც იყვნენ, რომლებიც ძალთა დაქსაქსვის წინააღმდეგ ილაშქრებ-დნენ და ნებისმიერი მიმართულებით, ოღონდაც ერთია-ნი ძალით მოქმედების მომხრენი იყვნენ და იყვნენ ისე-თებიც, ხმას რომ არ იღებდნენ და მხოლოდ ირონიულად ელიმებოდათ პარასკევის მაძიებელთა ამ განამანიაზე, მაგალითად – ძმები მეთულუხეები. ამნაირებს სულაც ცხვირი აებზუათ, უპარასკეოდაც კარგად გავდივართ კვირიდან კვირამდე და თვიდან თვემდე, პარასკევი არა – ხინდიხვერიო!

ბოლოს აპარეკა ავიდა ლოდზე, ქუდი მოიხადა, და-ო, ზედ თვითონ ჩამოჯდა და ამ საერთო აყალმაყალი-

სა და ლრიანცელის ფონზე, ამან უკვე მშვიდი, დამრი-
გებლური, დამტკბარი ტონით მიმართა იქ მყოფთ:

— ეს ხუმრობა საქმე არ გახლავთ, ჩემო კარგებო,
ტურფებო და საყვარლებო. კარგად უნდა დაფიქრება,
საშვილიშვილო საქმეა. ნუ გგონიათ, რომ პარასკევი
მარტო ჩვენ დავკარგეთ. ხალხი გამიგონია ისეთი, და-
კარგული პარასკევის საძებნელად დიდი მთის გადალმა
რომ მიდიოდნენ. ჩემი აზრიც ეგაა, წავიდეთ აემ დიდი
მთის გადალმა და, დამიჯერეთ, აუცილებლად ვიპოვით
და დავიბრუნებთ იმ ჩვენს დაკარგულ პარასკევს. დიდი
მთის გადალმა კარგი და გულისხმიერი ხალხი ცხოვ-
რობს. იმათი ხო აღარაფერი გვინდა, ჩვენ ჩვენი დაკარ-
გული პარასკევის დაბრუნება გვინდა, ეგაა და ეგ. ორი
პარასკევი ან იმათ რაში სჭირდებათ?! დავირაზმოთ და
წავიდეთ. ბალლი თუ არ შემოგტირის, ხელში არ უნდა
აიყვანოო, ხო გაგიგონიათ? მოვითხოვოთ და მოგვცემენ,
არ ვითხოვთ და!.. უპარასკეოდ კი ვერაფრით ვერ ვიქნე-
ბით, უპარასკეოდ ჩვენი შვილები კაცებად ვერ გაიზ-
რდებიან! კაცი თუ კაცის ფერი არ იქნება და ქალი კიდე
— ქალის ფერი, ისე მიგვიდგება საქმე, რო ბოლოს ჩვენ
სოფელში ჩვენ თვითონვე აღარ დაგვედგომება.

აპარეკას მგრძნობიარე სიტყვამ თანასოფლელებზე
იმდენად დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, რომ ხალხს
ერთი მოზრდილი ჯგუფი მაშინვე გამოეყო და დაუყოვ-
ნებლივ გამგზავრება მოითხოვა.

ხმები და, მაშასადამე, ხალხიც და სოფლის ძალე-
ბიც, საბოლოოდ და სამწუხაროდ, ორად გაიყო — ერთთ
ხვთისოს გამოუცხადეს ნდობა, მეორეთ — აპარეკას. ორ-
ლობეთა გზაჯვარედინზე ერთნი ერთ მხარეს შეჯგუფ-
დნენ და თავიანთ ლიდერს შემოეხვივნენ, ხოლო მეორენი

– მეორე მხარეს. ერთიან ძალთა ასეთი დაქსაქსულობა პარასკევის ძებნის კამპანიაში თავიდანვე უპერსპექტივოდ მოეჩვენა გიგიას და რაკიღა მის ფრთას, მწირი ადამიანური რესურსების ფონზე, წარმატების იმედი ნაკლებად ჰქონდა, ხეთისოს მომხრეებს შეუერთდნენ. თავისიანებთან გამართული კონსულტაციების შემდეგ გიგიამ სწორედ ესენი მიიჩნია ყველაზე პერსპექტიულ ძალად.

გზაჯვარედინზე წამომართულ ლოდთან კი მხოლოდ განპილებული და იმედგაცრუებული ჩალხია დარჩა. ყავარჯენზე ჩამოყრდნობილი ერთ ადგილს ცახვახით ტკეპნიდა და კაცი რომ აღარ იყო მისი მომსმენი, ცრემლჩამომდინარი ცას შეჰქალადებდა:

– სად მიდიხართ, თქვე უბედურ დღეზე გაჩენილნო, ვისი ხელების შემყურენი უნდა გახდეთ?! რამ გამოგიბრუნათ გული და რა შავმა ღრუბელმა დაგიბნელათ გონება! აქაა ის ჩვენი დაკარგული პარასკევი, აქ, ნუ ეძებთ სხვაგან, თქვე საცოდავებო! ის, რაც აქ დავკარგეთ, სხვაგან როგორ იქნება. ნუ გგონიათ, რომ თან გადაგვყვებიან, არავინ არ მოგვცემს თავიანთ პარასკევს, თუ მოგვცემს და ის მაინც ჩვენი არ იქნება, გვათხოვებენ და უკანვე წაიღებენ, როცა დასჭირდებათ, ისევ გამოგვართმევენ. აქ არის, აქ, თუ კარგად მივიხედ-მოვიხედავთ, დავინახავთ, რომ აგერ, ა, აქ გდია სადღაც, უანგი აქვს მოკიდებული, გახეხა უნდა და გამოანათებს, თქვე საწყლებო! როგორ დაბნეულები დაბორიალობთ! ერთმანეთთან ჯიკაობაში შემოგეფცქვნათ ის პარასკევი და ეხლაც სადღაც ნისლისა და გაურკვევლობისკენ მიექანებით, მოდით გონზე, გაახილეთ თვალი, გონების თვალი გაახილეთ, დაინახეთ ერთმანეთი, თორემ დავიღუბებით, შემოგვაცვდება ის დარჩენილი დღეებიც და მერე აღა-

რაფერი გვეშველება, მერე ვიღასთვის გვინდა ის ჩვენი სანუკვარი პარასკევი?!

†††

რაკიღა ყველასათვის ცხადი გახდა, რომ პარასკევი ნამდვილად დაკარგული იყო, დახანება აღარ შეიძლებოდა, ჩამავალი მზისთვის მიმყოლნი სასწრაფოდ შეიკრიბნენ სოფლის ბოლოში, სათავეში ხვთისო ჩაუდგათ და იმედითა და რწმენით აღვსილნი დასავლეთისაკენ გადახრილ მზეს კვალდაკვალ გაჰყვნენ.

ბევრი იარეს თუ ცოტა, რომელიღაც უცხო ქვეყნის სილრმეში შესულთ, წინ უშველებელი მდინარე გადაელობათ. მდინარეზე ხიდი კი იდო, მაგრამ პარასკევის მძებნელთა ყველაფრის მიმართ გაასკეცებული და დაეჭვებული ყურადღება იმ ხიდის ქვეშ გადმომქუხარე წყალუხვმა ჩანჩქერმაც მიიქცია.

— აქ კარგი იქნებოდა პურის ჭამა, იქნებ სადმე შიბუ, ხოხნოტა, წერთხალა, დიუ-შუბყა ან სხვა რაიმე ნუგბარი და ნოყიერი ბალახ-ბულახიც მოგვეძებნა. — ნომერ პირველი პრობლემის წინ წამონევა სცადა გიგიამ, მაგრამ მეთაური რომ არ გამოეხმაურა, სხვებმაც ჩააჩუმეს ცარიელი კუჭის განწირული ყმუილი და იყუჩეს.

ხვთისო ზედ შუაგულ ხიდზე შესდგა და სახელდახელო მოკლე დებატები გახსნილად გამოაცხადა. მერე, რაკიღა აქ ლოდი არსად იყო, ხიდის კიდეზე ჩამოჯდა, ფეხები ჰაერში გაასავსავა, ყალიონი გულმოდგინედ დატენა, ტალ-კვესი გაჰკრა, გემრიელად გააბოლა და მდინარეს უხმოდ და დაუინებით ჩააშტერდა. დანარჩენებიც ხიდის ნაპირს მიადგნენ და აქაფებულ მდინარეს ეჭვის თვალით დაუწყეს ჩხრეკა. ჯერჯერობით, სანამ ხვთისო

არ ინებებდა პოლემიკის წამოწყებას, ხმის ამოღებას ვე-რავინ ბედავდა. ჩანჩქერი უშველებელ მორევში გრუსუ-ნით ეხეთქებოდა, მერე ბუყბუყით ამობრუნდებოდა, ხო-ლო წყლის მტვერივით ავარდნილი შეფეხები, გეგეონება გიგანტური ქვაბი დუღსო, მაღლა ორთქლივით ამოდიო-და და იქაურობას ნისლივით ეფინებოდა.

— რა არის ეს?

რიხიანად დასვა კითხვა მტანჯველი ფიქრებიდან გამორკვეულმა ხვთისომ და პირიდან წეკვას კვამლი ბოლქვ-ბოლქვად გამოუშვა, ისე, რომ ჩანჩქერისათვის თვალი არ მოუცილებია.

— პარასკევი!

მაშინვე წამოიძახა რომელილაც სულწასულმა მაძე-ბარმა, აქაოდა პარასკევის პოვნის პატივში არავინ შემე-ცილოსო, მაგრამ ხვთისომ, რომელიც აშკარად ვერ იყო დღეს ხასიათზე, მას ერთი ისე უხმოდ, ოღონდ დამცინა-ვად და დამამცირებლად გადახედა, რომ სიტყვის გაგ-რძელების სურვილი და ნირი სამუდამოდ წაუხდინა.

ხიდისყურზე ჩამოწოლილი ავბედითი სიჩუმე, სხვამ რომ ვერავინ გაბედა, ისევ ხვთისომ დაარღვია და განმე-ორებით იკითხა:

— რა არის ეს?

პარასკევდაკარგულები დაძაბულნი ჩაჰერებდნენ ადულებულ-აქაფქაფებულ ტუმბოს, სადაც მათი არცთუ უსაფუძვლო ეჭვით, კვირის სწორედ იმ დაკარგულ დღეს უნდა ეტივტივა, რომლის საძებნელადაც ცხრა მთა და ცხრა მდინარე გადმოელახათ. მართალია, უკანასკნელ დღეებში შიმშილმა ისე შეაწუხა, რომ სიზმარში პარასკევი ან მშობლიური პეიზაჟები კი არა, ოდნავ შემდნარხავინი-ნი ჯამები და ცხლად მოხარშული, ქვაბში მაღლა-მაღლა

მოტივტივე დუმის ნაჭრები ელანდებოდათ, მაგრამ რაკი მათი ხელმძღვანელი იშვიათი შემართებით მიიწევდა წინ, თვითონაც იმედს როდი კარგავდნენ. ჩაჰურებდნენ ახლა ამოთუხთუხებულ ტუმბოს და ერთი სული ჰქონდათ, კამ-კამა მდინარის ტალღებში მოსხმარტალე პარასკევი დაენა-ხათ. ბოლოს, რაკი ხვთისო დარწმუნდა, რომ მისი რაზმის წევრებს მხედველობა აშკარად ღამოუცხადა:

– ხინკალი!

და მაშინ, როცა ყველა რაზმელის ყველა სანერწყვე ჯირკვალი ერთდროულად და უმძაფრესად აღიგზნო, ერთხმად აღმოხდათ:

– ხინკალიი?!?

ხვთისომ ახლა კი, როგორც იქნა, გაიღიმა, ყალიონი მუხლზე დაბერტყა, თანამოაზრები ამჯერად სალაო-თიანად მოათვალიერა და თქვა:

– ხინკალი, აბა! ხო ხედავთ, ზემოთ რომ ამოიჭიუნენ, დაიბერნენ, ეყოფა, მეტი ხარშვა საჭირო აღარაა. მართალია, არც სადმე ნიორ-წყალი ჩანს და არც ერბო, მაგრამ ხინკალი, უჰ... ხინკალიი, წვნიანი და ხორც-ში-ბუიანი ხინკალი, თუნდაც ძველ დუმაზე ოცდაოთხ ნაო-ჭად შემოხვეული, ისეთი კარგი და მარგი რამეა, უერბო-ნივროდაც კარგად იჭმევა!

ჩაჰურებდნენ ხიდზე კისერწაგრძელებული, კაი ხნის დამშეული ხევსურები ხინკლებით ამოჭედილ მო-რევს და უკვირდათ, რატომ ვერ შენიშნეს ეს აუარება ხინკალი მანამ, სანამ ხვთისომ არ მიანიშნა. ხვთისომ კი – აბა, ჯერ მე ჩავალ და თუ გემრიელი იყოს, თქვენც დაგიძახებთო, – გაბედულად იშვირა ფეხი ხიდიდან და

ტუმბოში გაუჩინარდა. დანარჩენები კი მოთმინებით ელოდნენ, თუ როდის მოუხმობდათ მეთაური სატრაპეზოდ, მაგრამ – ამაოდ, არსაიდან ხმა... ბოლოს, ერთმა მოუთმენლობისაგან ატანილმა მოლაშქრემ, ოთხმოც-დაცხრამეტი ხინკალი რომ ჰქონდა სანაძლეოზე შეჭმული და ახლა კუჭის სამდურავი საშველს აღარ აძლევდა, საჯაროდ გამოთქვა ეჭვი – ხვთისო აუცილებლად დაგვიძახებდა, მაგრამ ამ გუგუნ-გრიალში ჩვენ ალბათ ვერ გავიგონეთო. მოდი, ახლა მე ჩავალ, გავსინჯავ და, თუ მოხარშული იყოს, წყლიდან ხელს ამოვყოფ და დაგიქნევთ, დაძახებულს მაინც ვერ გაგაგონებთო, – საჩქაროდ მოათავა საინტერესოდ წამოწყებული სიტყვა და იშვირა იმანაც ფეხი ისე, რომ დანარჩენების თანხმობის-თვის აღარც კი დაუცდია.

ისევ დუმილი, არსაიდან ძახილი, არანაირი წყლი-დან ამოყოფილი ხელი.

მაშინ კი გაუწყდა მოთმინების ისედაც საკმაოდ განვრილებული ძაფი გიგიას და თავის ფრაქციას შეუძახა:

– კოლეგებო, როგორც ჩანს, აქ საქმე სხვათა ინტერესების უგულვებელყოფასთან გვაქვს, „უჭმი და მჭლეი ჭკნება და კვდება, მაჭმი და მარჯვე იმარჯვებს ბოლოს!“

და ყველანი ერთსულოვნად გადაეშვნენ ხინკლის გიგანტურ ქვაბში.

მაშინ კი შეფიქრიანდნენ ხიდზე დარჩენილი მოლაშქრები – აქ ზოგი ას ხინკალს ჭამს და ჩვენ თუ მაგათ დაძახებას ვუცადეთ, რო ჩავალთ, ხინკლები კი არა, ანტრიებიც აღარ დაგვხვდებაო და იმათაც ისკუპეს ხიდიდან.

ადგილობრივი მკვიდრნი ყვებიან, რომ ღამლამობით
მოქარგულპერანგიანი სულები ჩამოსხდებიან ხოლმე ხი-
დის კიდეზე და მღერიან:

ვაჰმე, ხინკალო, ხინკალო,
მემრე მარწყვასთან წოლაო...

†††

აპარეკას ჯგუფი ჯერ ისევ გზაში იყო, როცა ხვთი-
სოს მოლაშქრეთა მისიის სრული კრახის შესახებ შეიტ-
ყვეს, რამაც, რბილად რომ ვთქვათ, კაი გვარიანად შეა-
ფიქრიანა ისინი. აპარეკამ სასწრაფოდ მოიწვია უხუცეს-
თა სხდომა, შექმნილი სიტუაცია დროულად და საფუძ-
ვლიანად გააანალიზა, ტაქტიკაში მცირეოდენი ცვლილე-
ბები შეიტანა, თავისი გაძვალტყავებული მუშტი ცაში
შერგო და დასჭექა:

— იმათი შარაგზა თავიდანვე ოლროჩოლრო და ბუნ-
დოვანი იყო. პარასკევის ძებნა მაგათ ხინკლის ჭამა
ეგონათ. გემოთმოყვარეობა კი ისეთი საცდურია, რომე-
ლიც ხორცს კი დიახაც არგებს, მაგრამ სულს ავნებს,
რომლის ძლიერების გარეშეც საწადელს ვერ მივაღწევთ.
გამომდინარე აქედან, ვაცხადებ: პირველი – გამოვუცხა-
დოთ სოლიდარობა ჩვენს პარასკევის ძიებაში გმირუ-
ლად ჩამხრჩვალ თანამებრძოლებს და ამ დღეს, ყოველ
წელიწადს, მთელმა სოფელმა მათ ხინკალზე ვუთხრათ
შანდობა. მეორე – გავაძლიეროთ ძალისხმევა და გადავი-
დეთ ძიების 24-საათიან რეჟიმზე, რათა დროულად იქნეს
აღმოჩენილი პარასკევი!

მიღებული ზომები მართლაც შედეგიანი აღმოჩნდა;
მეორე დღესვე მოიტანეს მზვერავებმა ცნობა, რომ ერთ
ძნელად მისადგომ ქარაფში წააწყდნენ დათვის კარგად

შენიღბულ სოროს, სადაც, მათი გონივრული ეჭვით, ნებ-სით თუ უნებლიერ, პარასკევი უნდა ყოფილიყო შემ-ძვრალი. დაიმედებულმა მოლაშქრეებმა იმ ღამესვე შე-მოარტყეს ალყა სოროს, უხორცოსავით უშიშმა აპარეკამ ზედ შესასვლელთან დასცა თავისი კარავი და გათენების მოლოდინში იმანაც ნეტარხსენებულ ხვთისოსავით ყა-ლიონი გააფუილა.

ინათა თუ არა, მეთაურმა თანამებრძოლები დაამ-შვიდა – მთავარია, პარასკევი დათვს არ ჰყავდეს შეჭმუ-ლი, თორემ აქედან ველარსად წაგვივაო. მერე ერთ-ერ-თმა ცხვირპირდაჩეხილმა მოლაშქრემ ითხოვა სიტყვა და განაცხადა:

– ხოლო თუ შეჭმული ეყოლება, დათვი მოვკლათ, პარასკევი მუცლიდან ამოვიყვანოთ, ხორცისა კიდე ხინ-კალი გავაკეთოთ, ხინკალი დათვისაც კარგია და, საერ-თოდ, მოდი, გულახდილები ვიყოთ და – ხინკალი მაინც ხინკალია რაა!..

ამ არც თუ უინტერსო წინადადებამ ხალხის აღტა-ცება გამოიწვია, მაგრამ აპარეკამ, გარკვეული ტაქტი-კურ-სტრატეგიული მოსაზრებით, ამ საკითხის განხილვა გაურკვეველი დროით გადადო და ასევე გაურკვეველი დროით აკრძალა სიტყვა „ხინკლის“ ზეპირ და წერით მეტყველებაში გამოყენება, რადგანაც, მისი აზრით, ამ არსებითი სახელის უნებური ხსენებაც კი, მითუფრო ამ-ნაირ საგანგებო სიტუაციებში, საზოგადოების, კერძოდ კი მოლაშქრეთა სულიერ დეგრადაციას უწყობდა ხელს.

ამასობაში კი მზე ამოვიდა და სოროს შამბიანი შე-სასვლელი მკაფიოდ გაანათა, მაგრამ მისი სიღრმიდან მხოლოდ კუნაპეტი სიბნელე შემოჰყურებდათ, არაფერი არ ჩანდა. მაშინ აპარეკამ უპრეცენდენტო, სამძებრო

პრაქტიკისათვის მოულოდნელი და, თუმცა თავგანწირული, მაგრამ ხელმძღვანელისათვის მიუტევებლად მცდარი გადაწყვეტილება მიიღო – სახელოები შემოიწია და ყოველგვარი შეიარაღებისა და ეკიპირების გარეშე დაიწყო სოროში შეძრომა. ფეხებიღა უჩანდა გარეთ წინამძღოლს, რომ იქაურობა მისმა საშინელმა ღრიალმა შესძრა. მაშინვე ეცნენ სოროს მცველები აპარეკას ფეხებში, მაგრამ რომელიღაც უხილავ ძალას ვერაფრით ვერ გამოგლიჯეს. კაი ხნის ჯაჯგურისა და ჩხავილ-ბლავილის შემდეგ, როგორც იქნა, გამოათრიეს, მაგრამ მხრებზე თავი აღარ ჰქონდა.

– კაცო, ჰქონდა კი თავი, სოროში რომ მიძვრებოდა? – გონივრული და სრულიად საფუძვლიანი ეჭვი გამოთქვა ვიღაცამ.

– არა, არა, რა თავი, რის თავი, თავიანი კაცი დათვის სოროში როგორ შეძვრებოდა?! –

არანაკლებ ანგარიშგასანევი მოსაზრება გამოთქვა სხვამ.

– ჰქონდა, აბა, უთავო კაცი გინახია?

– რამდენიც გინდა!

– მაგალითად?

– მაგალითად ის ჩვენი უბედურები – პარასკევს რო ხინკალი ანაცვალეს.

– მე ისე მახსოვს, რო ჰქონდა თავი. – ახლა სხვამ გაახმოვანა თავისი ლეგიტიმური ეჭვი.

– მა ეხლა სადაა ის თავი? –

არ დაიჯერა ამან.

– სადაა და დათვმა მოაჭამა.

– იქნებ სადმე სოროში აგდია, მოდი შევძვრები, თუ ვიპოვე, გამოვუტან ცხონებულ აპარეკას და ისევ თვითონ ჰქონდეს თავისი თავი, აბა, ჩვენ რაში გვჭირდება?!

თქვა აპარეკას ადიუტანტმა და ხვლიკივით შეძვრა სოროში. ახლა იმან ატეხა წიოკი, ის უკვე სასწრაფოდ გამოთარეს, მაგრამ თავი არც მას აღმოაჩნდა.

დაიბნენ უმეთაუროდ დარჩენილი მოლაშქრეები, პანიკამ მოიცვა. ვეღარ გაიხსენეს, ჰქონდა თუ არა ამასაც თავი. ბოლოს ვიღაცამ მონახა ბრძნული გამოსავალი და თქვა:

– მოდი, მე შევძვრები და ვნახავ, იქნებ შიგნით რჩება სულაც ის თავები, ოღონდ, თუ მეც უთავო გამოვედი, თქვენ არ იდარდოთ, მაინც არაფერში მჭირდება.

თქვა და შეძვრა, უარს ვინ ეტყოდა, ამას არც წილ-კივილი აუტეხია და არც არაფერი. რომ გამოათრიეს, თავი, ცხადია, არც ამას ჰქონდა და ასე და ასე შემდეგ, რამდენიც შეძვრა, იმდენი უთავო გამოათრიეს. თავი – ეგ არაფერი, მაგრამ უბედურება ის იყო, რომ ვეღარ იხსენებდნენ, ჰქონდათ თუ არა მანამდე თავები.

ბოლოს, რამდენიმე თავიანი კაცი რომ დარჩა, ბოლოსდაბოლოს მიხვდნენ, რომ პარასკევი ან სოროში საერთოდ არ იყო, ან კიდევ ისე ღრმად იყო შემძვრალი, რომ მის გამოსაყვანად ძალები აღარ ეყოფოდათ; ამიტომ ყველამ თავიანთ სოფელში დაბრუნება გადაწყვიტა, თავიანებმაცა და უთავოებმაც. პირველნი თავს უბედურებად სთვლიდნენ, მეორენი – ბედნიერებად!..

სოფელს რომ ისრის გატყორცნაზე მიუახლოვდნენ, ძალზე ომახიანი, სიმღერის მსგავსი, რიტმული ხმაური შემოესმათ. გაუკვირდათ – სოფელში თითქმის აღარავინ დარჩენილა და ეს ვინ მღერის ან რა ამღერებს

ამ უბედურებსო. ცნობისმოყვარეობით ატანილები ერთ შემაღლებულ გორაკზე ახოხდნენ, კისრები წაიგრძელეს, გულისფანცქალით გადაიხედეს და რას ხედავენ: მთელი ის დარჩენილი ბალდები, ანუ ან უკვე ახალგაზრდობა, სოფლის ცენტრში შეკრებილა, ფერხისაში ჩაბმულან, შუაში ბებერი, მაგრამ განსაცდელის უამს ძალამოკრებილი და გაახალგაზრდავებული ჩალხია ჩასდგომიათ, წრეზე წალმა-უკულმა ტრიალებენ და ზედაც ისეთ სიმღერას დასძინან, რომ ზეციური გუგუნივით ჩამოისმის.

— რაო, რაო, რას მღერიან? — შეეკითხა ერთი უთაო მეორეს და ყური მოსასმენად მიუმარჯვა.

— რას და — ჯერ ღმერთს არ ედალატების, მერე — სინდისს და მამულსაო! — უპასუხა რომელილაც თავიან-მა.

ჩალხია კი წრეში ჩამდგარ ახალგაზრდებს ხან ერ-თგან მიაკითხავს, ხან -

მეორეგან და ფერხისაში დგომას ასწავლის:

— ხელები მჭიდროდ, მჭიდროდ გადახვიეთ ერთმანეთს, ერთმანეთის გულისცემა უნდა იგრძნოთ, უნდა გაიგონოთ, დაიმახსოვრეთ, უამისოდ არაფერი არ გამოვა! აი, ასე, ჯაჭვი, ჯაჭვის სიმტკიცე უნდა შეინარჩუნოთ, ჯაჭვი არ უნდა გაწყდეს, ესაც გახსოვდეთ, არც უამისოდ გამოვა არაფერი!

ხელმოცარულმა მოლაშქრეებმა ერთხანს კი უყურეს გორაკიდან ჩალხიას გულისგამანვრილებელ გაკვე-თილებს, მაგრამ მოთმინება მალე ამოენურათ, სოფელში დაეშვნენ, წრეში ჩამდგარი ახალგაზრდობის მახლობლად შესდგნენ და ჩალხიას რიხიანად შეუძახეს:

– რას ქადაგობ, ჩალიავ, რასა? ეხლა არ გვითხრა, ჩვენც დაკარგული პარასკევის საძებნელად ვეღირებით!

მოხუცს სიტყვა შუაზე გაუწყდა, ნირნამხდარი მთელი ტანით შემობრუნდა, სახეზე ღრმა მწუხარება და ტკივილი გამოეხატა, ფერხისაში ჩამდგარი ახალგაზრდების წრე გაარღვია, ძვალ-ტყავისა და ძონძების გროვად ახორხლილ მოლაშქრეებთან მივიდა და თვალცრემლიანმა ასე მიმართა:

– დაკარგული პარასკევი ყოველვის თქვენში იყო და ახლაც თქვენშია, თქვე რეგვენებო, სადაც დაკარგავ, იქ უნდა ეძებო, ოფლით უნდა ეძებო; ხელგანვდილები ქვეყნის კიდეს კი არ უნდა დაეხეტებოდეთ, აქ უნდა იდგეთ, ერთად, ერთად, ხელიხელჩაკიდებულები, აქ, აი, აქ! ჩემთვის რომ დაგეჯერათ და ეს რომ გცოდნოდათ, საკუთარ თავსაც იოლად იპოვიდით და პარასკევსაც. დაკარგული პარასკევი არც წვნიან ხინკალზე ოცნებით მოიპოვება და არც დათვის ბუნაგში ძრომიალით! დროა, რო გაიგოთ, დროა, რო ჭკუა ისწავლოთ, თქვე საცოდავებო, თქვენა! თავისი თავი ხო დაჰკარგეთ და სოფელიც ზედ მიაყოლეთ, ამათ მაინც დაეხსენით, ესენი მაინც დამანებეთ, ოჳ, ღმერთო, ღმერთო!..

წარმოთქვა ჩალხიამ და ჩაშრეტილ-ჩანითლებული თვალის უპედან ობოლი ცრემლი ჩამოუგორდა.

მართლიური სტუდენტი,

ახ

თავიური ჭრილობა

გამოქცეული მივარდა ქალი სახლის კარებთან, ხელში ნაჭერ არგანს წუთით, სულის მოსათქმელად ჩამოეყრდნო, უკან შემფოთებით მოიხედა და ყური მერე-ლა მიუგდო სახლიდან გამონადენ სიმღერის ხმას:

„კაცი ვარ გაკვირვებული, თაგვთ საქმე მიყვეს რახელი,
ერთი შამოჯდა კეზედა, დახარ-მოხარა თავ-ყელი,
იქიდან კვეხნა დამინყო: გაგინადგურე საბძელი,
ტალავარ გაგინაგაბრე, არ დაგრჩა ნიფხვის ნაძველი...
თაგვო, ჩამოხედ, ვიომოთ, მენაც თავი მაქვს საცდელი.“

ხმა ხომ ეცნო და ეცნო – ამას იმისი შვილი მღე-როდა, თაგვების ეს ლექსი კი ნამდვილად ახალი ჩანდა, მანამდე არ გაეგონა, მითუფრო გულზე სატყავე ნემსი-ვით შეერჭო და ახლა იმის ფიქრს შეეჭიდა – ნეტა, ვინა ჰყავს მოპატიუებული, თავს ვისთან მჭრის, ამ გახურე-ბულ ხვნა-თესვაში რომელ თავისთერა ბედდოვლათთან ქეიფობსო.

ის კიდე ხელმარჯვედ აუღრიალებდა ფანდურს და მწკეპრ ხმაზე გაჰკიოდა:

„იქიდან გამოფრენილმა, ბანთნი ქნა, როგორც ბანთვერი, მეშველად მოვიდეს ბიგვანი, თვალებს არ მქონდა ნათელი, კართაკე ნამომაქციეს, არ ვარ სირცხვილით მათქმელი, მეუბნებოდა დედაი...“

რაო, რაო, დედა მეუბნებოდაოოო? ყურები ცქვი-ტა ქალმა და გაჩქურდა, ინტერესით მიუგდო ყური თა-

ვისი შვილის სიმღერას, თანაც გაიფიქრა, სხვებს მორჩა, ეტყობა და ეხლა ჩემზე დაუწყია ლექსობაო. ის კი განაგრძობდა:

„მეუბნებოდა დედაი, კაცად გაგზარდე, რა ხენი,
მამ-ბიძათ მამყივლეი ხარ, ძმა-სახლიკაცის

მამთხრელი...“

და მეტი ვეღარ მოითმინა ქალმა, ერთხელაც შიშით მოხედა თავის მიერ გამოვლილ გზას – თაგვები ხო არ მომდევენო და სახლის კარი დაუპატიჟებელი სტუმარივით გაუბედავად შეაღო; შეაღო და რას ხედავს: ზის ეს მისი მართლაც და ბედდოვლათი შვილი, აპარეკული, სამამაცო სკამზე, ხელში ფანდური უჭირავს, იქვე, ღუმლის წინ, მათი ოჯახის ერთგული მცველი, ყორანივით შავი კატა დასკუპებულა, ნაბავს ეს პატრონის კეთილ-ხმოვანებით აღტაცებული ციცა შემოდგომის ფოთოლივით ყვითელ თვალებს, უმღერის აპარეკული თავის ამ ახალ, თაგვისტყაოსან ბალადას და არიან ერთ განცხრომაში და სიამტკებილობაში.

ქალი ჯერ ლია კარებში გაშეშდა, მერე არგანი ხელუკულმა გადააგდო გარეთ, ქაზდარი ლასლასით გაიარა და შვილის გვერდზე მოწყვეტით ჩამოჯდა.

მაისის თვე იდგა, მთელი სოფელი გახურებულ ხვნა-თესვაში იყო ჩაბმული, აპარეკულსაც სახნავად გამზადებული ხარები კი გამოება ეზოში, მაგრამ თვითონ ვეღარ მოიცალა და მის გამოჩენას მოთმინებით ელოდნენ უღელდადგმული ხარები. მანამდე კი, შვილი რომ სახნავისთვის არ გაეცდინა, ქალი თავად წასულიყო წისქვილში ფქვილის მოსატანად. კი წავიდა, მაგრამ აგერ – მალევე ელდანაკრავივით შემობრუნდა უკან: „გამეექცივა თაგვებსა, შინ რო მავიდა, შქენდაო.“ ვაის გავექეცი

და უის შევეყარეო, თაგვებს კი გამოექცა, მაგრამ არც შინ დახვდა საგულსალბუნო სურათი, გულზე ამიტომაც შემოეყარა და ცრემლებიც ამიტომ წასკდა.

– რა მოხდა, ქალო, რამ დაგაფეთა? – გულში ავი რამ წინათგრძნობა წამოუყელყელავდა აპარეკულს, სიმღერა შეწყვიტა და ფანდური გვერდზე გადადო.

– რაღა რა მოხდა, შვილო, წყალს მიაქვს ჩვენი ოჯახის ნაშრომი, ისეთი ამბავია იმ ჩვენს წისქვილში, რომ მამა შვილს არ აიყვანს ხელში, – ძლივას ამოთქვა აქოშინებულმა ქალმა და აცრემლებული სახე ხელებში ჩარგო.

– დედი, გამაგებინე, რა დაგემართა, ეგეთი რა ხდება, აღარ იტყვი?

– ქორწილია, ქორწილიიი, შენ დაუკააარ, გაანიავეს ჩვენი სარჩო-საბადებელი!.. – სასოწარკვეთით ამოთქვა ქალმა და გულამოსკვნით ატირდა, მერე თავ-შლის პირით ცრემლი შეიმშრალა და ავად მომზირალი თვალი კატისკენ გაექცა:

– ან ამას რა არ აჩერებს იმ ოხრად დასარჩენ წისქვილში? კატის ადგილი იქაა, სადაც თაგვებია. გდია ეს კიდე აქა, დაყუნცებულა, შემოგვყურებს პირში და ნაბავს თვალებსა!

ხომ არ გაგიუქებულა დედაჩემიო, დაკვირვებითა და გაკვირვებით შეათვალიერა აპარეკულმა აქვითინებული ქალი, წინ ჩამოუდგა და ალერსით ჩაეკითხა:

– აბა, დამშვიდდი, დედი და გამაგებინე, რა ხდება ჩვენს თავს?

– რაღა უნდა მოხდეს მეტი, თაგვებითაა სავსე ჩვენი წისქვილის ალატი, ქორწილი აქვთ, ნადიმი აქვთ

გაშლილი, ცასა სწვდება იმათი ვარხი-ვარალო, ბუქში აღარა ჩანდა იქაურობა, სუ ბუქნას ამოდიოდნენ აღატ-ში, საფქვავი კიდე ჩამოსულა და ყივიან წისქვილნი, ძლივს გამოვასწარი იქიდან, – ამოთქვა ქალმა და ისევ და ისევ ტირილი ამოაყოლა.

აპარეკული წელში გაიმართა, წამიერად ჩაფიქრდა, რაკიდა ქვეყანა არ დაქცეულიყო, გულიც საგულეში ჩაიყენა, მუსრს გავავლებ მაგ გაუმაძლარ ლორებსო, წამოიძახა, ხანჯალი წელზე შეისწორა, ხელი ფანდურს წამოავლო და კარებში გაუჩინარდა.

– მაგათ ვერც სოფელში გამოლევ, ვერც – წისქვილში და ვერც ალატშიო, – დაადევნა თვალცრემლიანმა, თავშალში თავჩარგულმა დედამ, მაგრამ განრისხებული აპარეკული უკვე წისქვილისაკენ გარბოდა: „გავიქე წისქვილისაკა, ხანჯარა წელზე მებარ“.

ძალლის ერთგულების ამბავი პატრონის მიმართ და ამის შესაბამისი, სრულიად დამსახურებული ქების შესახებ ხომ ყველას გვსმენია, მაგრამ კიდევ ჰყოლია კაცს ოჯახში ერთი ერთგული მეგობარიც – კატა!

რა გეონათ, აბა! მჩხავანაო და მპარავაო და... ნაკლი ვის არ ჰქონია! მარტო ნაკლზე კი არ უნდა გქონდეს დადარაჯებული მზერა, ლირსებასაც ხო უნდა შეხედო მადლიერების თვალით, ისიც ხო უნდა დააფასო!

დიახ და ამ ციცამ (შინაურებში ასე ეძახდნენ) მყისიერად იაზრა, აქ რაღაც თაგვის სუნივით მცემსო და ეს ჩემი პატრონიც კაი საქმეზე არ უნდა მიღიოდესო, გავყვე, ემანდ არაფერი გაუჭირდესო:

„ციცუა გამამდგომიყვა, მაილესავდა პწკლექსაო, ცხრუება დააწყებინა, რო მივე კარებზედაო.“

ცახცახი, კანკალი, ცხროება, ბაბანი და ასე შემდეგ შიშისა და სიცივის გამომხატველი მდგომარეობებია, ანუ გარეგნული გამოხატულებით მსგავსი, ოღონდ შინაარ-სით – განსხვავებული. სხვაგვარად: ალატში ჩამძვრალი თაგვისა და წისქვილის კართან მიმდგარი, ბრჭყალება-ლესილი კატის ფსიქო-ემოციური ფონი და განცდა, რა თქმა უნდა, თავთავადია, თუმცალა ცხროება – ორივეს-თვის ნიშანდობლივი.

წისქვილის კართან მდებარე დასასვენებელ ქვაზე მიაყუდა აპარეკულმა თავისი განუყრელი ფანდური, უკანვე გამობრუნდა, სარუეს წყალი გადაუწურა, მერე კი მან და იმისმა ერთგულმა მცველმა და თანამოაზრე ციცამ ფრთხილად შეაღეს წისქვილის კარები და რას ხე-დავენ, ანუ ვერაფერსაც ვერ ხედავენ: იმისთანა ბუქი დგას, თაგვებს ჩაუბამთ ფერხული და ისეთ სიმღერას დასძახიან, აპარეკული მოჭარბებული ნეტარებისაგან გაირინდა კიდეც ერთხანს და თვალებიც მიღულა.

ციცას არაფერი ელულებოდა, იქაურობა იმისი და, მაშასადამე, იმის პატრონის მტრებით იყო სავსე. ღია კა-რებიდან რომ ფქვილის კორიანტელი გაიკრიფა, დაუაზ-რა და – „ერთი თაგვების უფროსი ქრილის პირჩია წევ-საო“.

მრავალთაგან ერთ-ერთი უფროსი, უნდა ვივარაუ-დოთ – საკმაოდ მაღალჩინოსანი, შეთვრა, ალბათ, ცოტა არ იყოს და რა მოხდა მერე! აბა, იმ ღრიანცელში ნორ-მალურ თაგვს, ნამუნახავს, როგორ უნდა დაეძინა?! პო-და, ნამოაწვინეს, ალბათ, ხელქვეითებმა ხრილში, შეფუ-თეს თბილად და რბილად, რუდუნებით ამოუდვეს თავ-ქვეშ ბამბაძველის დუსთი, უსურვეს ტკბილი ძილი, ლა-

მაზი, ნაირნაირი ხორაგით გაწყობილი სიზმრები და იმანაც ხვრინვა რომ ამოუშვა და ფქვილის ბუქი წისქვილის აბლაბუდებიან ჭერს მიაწყდა, დაუტევეს უფალი უფროსი – გამოიძინოსო.

და სანამ აპარეკული მილულულობიდან გამოერკვეოდა, ციცა თაგვების გალეშილ და გამაყრუებლად მხვრინავ უფროსს „გადაუფრინდა, დააჯდა, მაღლა შახენა ჭერსაო“.

ეს დალოცვილი პროფესიონალიზმი, ყველაფერში რო კარგი და სასურველია! აი, ამფერ: სწრაფად და ზუსტად! ოლონდ ეს ჭერში „შახენება“ რაღაა? წყალს რომ დალევს, ქათამი კი „შახენებს“ ხოლმე ცას (ჭერს), ხოლო კატებს, როგორც წინამდებარე წყაროზე („ხევსურული პოეზია“, № 660) დაყრდნობით ჩანს, გემრიელი და ნუგბარი ლუკმის შემდეგ ჰყვარებიათ ჭერისთვის (ცის-თვის) „შახენება“.

და ის იყო, გამოერკვა კიდეც მეწისქვილე უეცარ ფხაკუნზე და მსუბუქად გაუწყრა თავის თვალყვითელ ციცას:

— აბა, აბა, ცოტა თავშეკავებულად და წინდახედულად მოიქეცი, ფისუნი, თორემ ხომ ხედავ რამდენნია. აქ სულ სხვანაირი ტაქტიკით უნდა ვიმოქმედოთ, ძვირფასო, თორემ შენი პრჭყალებითა და ჩემი ხანჯლით აქ ფონს ვერ გავალო!

— რას ჰქვია — ვერ გავალო?! ამათ შეხედე, რა დღეში არიან, ისე დამთვრალან, ერთმანეთს ვეღარ სცნობენ და ჩვენ გვიცნობენ? ვერც კი გაიგეს, წისქვილში როგორ შემოვედით. დავერიოთ და ერთიანად ამოვ-უუჟოთ, თორემ ესენი ისეთი მოდგმაა, თუ ერთხელ გაუ-

ვიდათ და თავისი გაიტანეს, მერე და მერე აემ ალატში ფქვილის ნასახსაც აღარ გააჭაჭანებენ, – წამოიკნავლა ციცამ და კუდი ხმალივით აღმართა.

– არა, ციცო, ამოუუუვა არ ივარგებს, თაგვებიც ხო ადამიანებია?! – ისე, აჯობებდა, მოგვეგროვებინა ესენი სანამ გამოიფხიზლებენ და ერთად სადმე ჩაგვეყარა, მაგრამ არ გინდა ამათი მოგროვება? თანაც, გამოცდილებიდან ვიცი, ამათი სინსილა არც გასწყდება და არც გამოილევა. – დიდსულოვნად და მწუხარედ წარმოთქვა კაცმა და არც თუ ისე თავშეკავებულადაც გადაიხარხარა.

– რო აღარაფერი აძლებთ? გაგვიცამტვერდება ეს ვაი-ვაგლახით ნაგროვალი სარჩო-საბადებელი. ახლა რაღა დროსია, მაგრამ შემდეგში ალატის ყველა ხვრელი საგულდაგულოდ უნდა ამოვავსოთ, – ამაყად და საქმიანად განაცხადა კატამ და მის ცხვირწინ მობანცალე რომელილაც შემთვრალი წრუნუნა თათის ერთი მოქნევით კედელს შეახეთქა.

უზომოდ გამაძლარი თაგვები კი ჩადიოდნენ და ამოდიოდნენ ალატში, თეთრები, ფქვილში ამოსურსნილები. პატარები, ყმანვილი თაგვები კი წისქვილის მბრუნავ ქვას ყიჟინით მოახტებოდნენ და თავბრუდამხვევად ბზრიალებდნენ, ედგათ ერთი ჟივილ-ხივილი, ხანდახან სარეკელაზეც შეხტებოდნენ. დიდები წისქვილში დაბანცალებდნენ, გასდევდათ გამაძლარი მუცლები და ცა ქუდად არ მიაჩინდათ, დედამიწა – ქალამნად. გაჯგიმული და ულვაშანკეპილი ახალგაზრდები კი ცარიელ ხუმბურაზე ადიოდნენ და ერთმანეთს იქიდან ალატში გადმოხტომაში ეჯიბრებოდნენ. წისქვილის კუთხეში მიწყობილი, თაგვების მიერ გამორღვეული ტომრებიდან ფქვილი გა-

მოზვავებულიყო და ბორბლის ასაწევ-დასაწევ „მანქანასთან“ გამოფენილიყო.

ამასობაში კი თითქმის დაწყვეტილიყო წყალი და ახლა საფეხვავგამოლეული წისქვილის დოლაბი უხალისოდ ბრუნავდა.

ბოლოს, გული რომ იჯერეს თაგვებმა ცეკვა-თამაშითა და კუნტრუშ-კოტრიალით, შესვენება დასრულებულად გამოაცხადეს, ისევ აღატს ჩაუღრმავდნენ და ნაირგვარი ფქვილეულით გაწყობილ სუფრას შემოუცუცქდნენ. ყველას წაჰავიდებოდა ხალისიანი და მხიარული განწყობილება, იდგა ერთი სიცილ-ხარხარი და გადაძახილ-გადმოძახილი. გაუკვირდა მენისქვილეს: „საკვირვლა სიცილ სცოდნიყვა, შორი დაირთხეს ლაშები“. იცინოდნენ და აელვებდნენ ნემსიწვერა კბილებს, გადაწეპილ ულვაშებს, დაეცქვიტათ პანაწინა ყურები და ას-ხმარტალებდნენ სადგისივით კუდებს.

ახლა კიდევ, მწყურვალ-მომშეულები იყვნენ თუ რა იყო, სიცილ-კისკისით რომ გული იჯერეს, როგორც კი მერიქიფემ სასმელი ჩამოარიგა, ალატში შემაღლებულ ფქვილის გორაზე წამოსკუპებულ თამადასაც აღარ დაელოდნენ, წამოავლეს ის თავისი პანია თათები ვეება თასებს და გაურკვეველი წარმომავლობის სასმელი სულუქცევრად გადაინურეს.

„საჩქარო გადაინურეს, დიდიდებ ხქონდა თასები“.

უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ საზოგადოებაშიც სუფრათმცოდნეობის და, ზოგადად, სამაგიდო-სანადიმო კულტურა, მაინცდამაინც სახარბიელო დონეზე არ უნდა მდგარიყო და, ისიც უნდა მოგახსენოთ, რომ ეს არც უნდა გაგვიკვირდეს. აკი საპურჭმულო ყოფითა და მასთან დაკავშირებული მაღალზნეობრივი ტრადიციებით ვერც

ძველი ეპოქის დევები დაიტრაბახებენ, ვერც ფილოსოფოსები(!) და... ვერც ადამიანები!..

მივყვეთ კუდაბზიკა თაგუნების საალატო საქმეებს: რომ კარგად შეზარხოშდნენ, შემხიარულდნენ და კიდევაც შეთვრნენ, აშკარად იმაზე მეტის უფლება მისცეს თავიანთ ალკოჰოლისაგან დანისლულ თავებს, ვიდრე ეს მიღებული იყო თაგვთა საზოგადოებაში, მითუფრო – ელიტურ-ალატურში.

ჰმ... ალატი ისეთი რამ უსაზღვრო მადისა და ლტოლვათა მაღვიძარაა, ყოფილ მოკრძალებულსა და მატერიალურად მისავათებულ თაგვს, ალატში რომ ჩაძვრება, თავი მთელი წისქვილის ბატონ-პატრონად მოეჩვენება!

ჰოდა, რო გადაიწურეს ის პირთამდე გაცამცული თასები, როგორც ზღვარგადასული გემოთმოყვარეობისას ხდება ხოლმე, მოყირჭებულმა სასმელ-საჭმელმა ახლა სხვა, არანაკლებ მძვინვარე მადაც გააღვიძა – სექსუალური ლტოლვისა! ეს ამაღელვებელი ფაქტი პირდაპირაა მითითებული დოკუმენტურ ლიტერატურაში. აბა, სხვა რაა ეს:

„ერთ-სხვაში გადეერივნეს, ეგრ რო თხაშიი ვაცები“

(იქვე, 661).

ჰო, თითქოს რბილი სიტყვათნყობაა, მაგრამ სწორედ ამ სირბილეშია შეფუთული მთელი მხურვალება ამოუფრქვეველი ვნებათაღელვისა.

აქ ცოტა ხანს უნდა შევაყოვნო უკვე გადაქანცული ყურადღება ჩემგან გამეტებული მკითხველისა. კერძოდ: ფართო პოლემიკის საგანი გახდა თაგვოლოგიაში ჩემ მიერ წამოყენებული პიპოთეზა სიტყვა „გადეერივნეს“ ჯერ ეტიმოლოგიური კვლევისა და შემდგომ განმარტებისა გამო. პატივცემული ოპონენტები მეუბნებიან –

„გადეერივნეს“ ნიშნავს ან გარკვეული სიმაღლიდან, მაგ. ხუმბურიდან დოლაბზე თაგვის ნებსით ან უნებლიერ გადა-რევას-ო, ანუ გადავარდნას. უპატივცემულო (ამ ტერმინის ქვეშ ამ შემთხვევაში არა მისი ეტიმოლოგიური მნიშვნელობა, არამედ საკითხისადმი ჩემი პრინციპული პოზიცია იგულისხმება) ოპონენტები „ბრძანებებ“: საკვლევი სიტყვის შინაარსი არეულ-დარეულობას, სიტყვიერ და ფიზიკურ დაპირისპირებას და, ზოგადად, გადარევას გულისხმობსო. თავშივე უნდა მოგახსენოთ, რომ მკვლევართა ორივე ეს მიმდინარეობა მცდარი გზით მიემართება, უფრო მეტიც – მოლიპული გზით! პირველი იმიტომ, რომ ისინი თავიანთი მეცნიერული კვლევის მოძველებული მეთოდებითა და ანალიტიკური ძიების უნარით წისქვილს ვერ გასცდნენ, ხოლო მეორენი იმიტომ, რომ როცა დასაკვლეულში აღიარებული მეცნიერები სიტყვა „გადეერივნეს“-ში მხოლოდ თაგვების ორი განსხვავებული ჯგუფის „ერთმანეთთან დაახლოებას, გაცნობასა და კულტურულ-მეცნიერული კონტაქტების დამყარებაზე“ მეტს ვერაფერს ხედავენ, სავალალოა, მეგობრებო, მევიტყოდი – პარადოქსალურიც კი!

ხოლო მე პირდაპირ და მკაფიოდ მომიხსენებია: „ერთ-სხვაში“, ე.ი. მარტივად რომ ვთქვათ – ერთმანეთში გადარევა, ანუ შერევა, სულ სხვა შინაარსისა და დატვირთვის მატარებელი ფორმაა. ეს სხვა მკვლევარებსაც შეუნიშნავთ, მაგრამ მათ, სამწუხაროდ, მეცნიერული სუნთქვა აღარ ეყოთ და მეტად შორს ვეღარ წავიდნენ. არა და წყაროში იქვეა მითითებული გადარევის შინაარსიც, მიზეზიც და მიზანდასახულობაც. აი, ისიც: „ეგრ რო თხაში ვაცები“. უპ. ყოვლისა კი უნდა შევნიშნო, რომ აქ სიტყვაში „თხაში“ მეორე, ბოლოკუდური „ი“

სრულიად ზედმეტია, უფრო ორთოგრაფიული ლაფსუსი უნდა იყოს. ეს „ი“ ცალკე უნდა იყოს გატანილი, ჩვენებითი ნაცვალსახელის მნიშვნელობით და ფრაზაც მეტ სინათლესა და დამაჯერებლობას შეიძენდა: „ერთ-სხვაში გადაერივნეს, ეგრ რო თხაში ი ვაცები.“ აი, ასე! ახლა კი გავაკეთოთ შესაბამისი და შესაფერისი დასკვნები:

„ერთ-სხვაში გადეერივნეს“ – ე.ი. ერთმანეთში დაირივნენ. ვინ დაირივნენ? დედლები და მამლები. რა მიზეზით დაირივნენ? სქესობრივი ხურვების გამოისობით. რა მიზნით დაირივნენ? შეჯვარების მიზნით.

აი ასე! ჭეშმარიტება, თუ მეცნიერული ალლო გყოფნის, ყოველთვის მარტივი და მკაფიოა!

აქ კი ერთი დამახასიათებელი დეტალი აუცილებლად უნდა ჩავაკერო: „ერცხვაში დარევა“ ადგილობრივ დიალექტზე, და ზოგადად მთის დიალექტზე, ჯიხვების მაკინტლობას ნიშნავს, ხოლო თაგვოლოგიაში ეს ტერმინი, ცხადია, გადატანითი მნიშვნელობით იხმარება და ნიშნავს ისეთ თავაწყვეტილ სექსუალურ წყურვილს, როცა თანდაყოლილი ინსტინქტიც კი სიფრთხილისა და სიფხიზლისა ასეთ დროს მთლიანად მიძინებულია.

ახლა კი, ვგონებ, ყველაფერი გასაგებია, ხოლო ნიუანსებში ჩხირკედელობა – სრულიად ზედმეტი, დილეტანტური გარჯაა და მეტი არაფერი.

და დაერივნენ ერთმანეთს მოყირჭებული სმა-ჭამისაგან ისედაც აცვენილი და ახურებული თაგვები და შეიქმნა იმისთანა ორგიასტული დომხალი, რომ აღარ გაიგებოდა, ვინ, ვის, სად და რას და რატომ იმასუშვრებოდა...

და ვეღარ გაეგო გაოცებულ-გაოგნებულ აპარეკულს, ჟამი სქესობრივი ტკბობისა ყველა თაგუნას ზუს-

ტად ერთდროულად დასდგომოდა თუ ალატის საძმო იყო მხოლოდ და მხოლოდ ასეთ პატივსა და პრივილეგი-აში?!

და იცინოდა თავშეუკავებლად, დაჰყურებდა თაგუ-ნების თავაწყვეტილ ზედახორას და გიუივით ხარხარებ-და მარტოკა; ანკი რაღა მარტოკა...

და საფუძვლიანი ეჭვი ეპარებოდათ აპარეკულსაც და იმის ციცასაც იმაში, რომ ასეთ ორგიებს ესენი წე-ლიწადში მხოლოდ ერთხელ აწყობდნენ. სხვა დროს ვინ დაუშლიდათ რა!... ალატში თათების ფათურმა მოყირჭე-ბა იცის, მოყირჭება კიდე მშობელია აზვირთებული ქვე-ნა გრძნობებისა.

და, ჰო, საკვირველებავ! როცა ამ უზნეობის დე-მონსტრაციამ თავის პიკს მიაღწია, ერთი უკიდურესობი-დან მეორეში გადაეშვნენ და ისეთი მუშტი-კრივი და ცე-მა-ტყეპა გაჩაღდა, რომ იმდღევანდელი სანახაობის გმი-რები ახლა წითლად შელებილნი ეყარნენ ალატში და კვნესითა და წრუნუნით მისავათებამდე დაღლილ-დაქან-ცულ სულს ძლივს ითქვამდნენ.

ამ არც თუ ისე საინტერესო და მიმზიდველ სანახა-ობას გაოცებული და შეშფოთებული და შეშინებულიც კი წრუნუნები შორიდან აკვირდებოდნენ; ზოგი ხუმბუ-რაზე ასულიყო, ზოგი სარაგარემოეზე შემოსკუპებული-ყო, ზოგი სარეკელაზე და თვით საკლებ-სამატებაზეც კი. თრთოდნენ და ცხროობდნენ, ვიშვიშებდნენ და წრი-პინებდნენ.

იშუშებდნენ დამტვრეულ-დალენილ ხელ-ფეხსა და ცხვირ-პირს, იდებდნენ ცივ საფენებსა და, ასე განსა-ჯეთ, ჩალის ჭყუმების არტახებსაც კი, ოღონდ ისე, რომ დამცხრალნი და დამყოინებულნი იმავდროულად ერ-

თურთის ყოფილ მოწინააღმდეგეთ ასე და ამგვარადაც კი ამუნათებდნენ:

„ერთმანეთს ეუპნებიან: „მეც მეშველ ვიყავ,
რად მცემდი?“

აი, ხომ ხედავთ, შუამავლებს, ელჩებს და გამშველებს, ანუ მეშვლებს, თაგვების საზოგადოებაშიც პატივს სცემდნენ და ხელშეუხებლად მიაჩნდათ, ოღონდ აქ მეშვლებად თაგვების განსაკუთრებული კასტა გვევლინება – „ბიგვანი“. „მეშვლად მოვიდეს ბიგვანიო“, – წერია იქ. პატივს კი სცემდნენ ბიგვა თაგვებს, მაგრამ, როგორც ჩანს, მხოლოდ მაშინ და მანამდე, სანამ მათი თავი სჭირდებოდათ, თორემ სხვა დროს ახლოსაც არ იკარებდნენ – სუნი უდისო! ჰმ... რა მალე ავიწყდება სიკეთე თაგვებს!..

მაგრამ იმ დღეს აქაც სამწუხარო გადაცდომა მოხდა, თუმცალა ასეთი რამ მარტო თაგვებს როდი ემართებათ; აბა, გაიხსენეთ, იქ, იქ, უფრო ამაღლებულ საზოგადოებაშიც კი ხო არ მოხდა ასეთი რამ?! და არა მარტო ასეთი, ისეთიც, აი, ეს ახალგაზრდა და ჭარმაგი მამა-თაგვი რომ საუბრობენ:

„პირდაპირ რად არ მამიხვე? გაიგებდ, რასაც მაგცემდი!

კაც კი ორ დაბერებული, შენ კი პასუხსა გაგცემდი!“

აქ უკვე მამაპაპეული ეტიკეტის დარღვევასთანა გვაქვს საქმე – ახალგაზრდა თაგვს მოხუცი გაულახავს! ამას კიდევ აიტანდა თაგვი, მაგრამ ჯან-ლონით სავსე ახალგაზრდა, მიპარვით რომ დაეძგერება მამის თუ პაპის ტოლ დაბერებულ თაგვს, ეს ვერ არის მთლად სანიმუშო საქციელი. დიახ! პირდაპირ და პირისპირ რატომ არ მივიდა, თუ ვაჟკაცი იყო, ნახავდა, როგორ ხინკლებ-საც ჩაუყრიდა ის ულვაშგაბლრუჭებული ბაბუა თაგვი!

უსმენდა აპარეკული ნაბრძოლ-ნაომარი და ვნება-დამცხრალი თაგვების სიტყვათა მიმოქცევას და გაოცებული იყო – ესენი რა საყვარლებია ხოლმე წრუნუნობაში და რო გაიზრდებიან და ალატის ფქვილის გემოს გაიგებენ, რა გარეწრებად თურმე ყალიბდებიანო. კიდევ კარგი, რომ ადამიანებს ჯვარი გვნერია და მთლად ამათ არ ვგავართო. ბოლოს კი მაძლარმა თაგვებმა ზნეობაც გაიხსენეს:

„ერთმანეთს შამააყვედრეს: წისქვილის ჯერით რად სჩები?

კაც რო მაილებს საფქავსა, მაშივ ხუმბურას ეცემი.“

აბა! ზოგი იმათშიც რა გაჭირვებული და სულნასულია, ერთი სული აქვს, წისქვილში შემოსული კაცი როდის გადაუძახებს საფქვავს ხუმბურაში, რო ეცეს და მარცვლეულით ამოიშნოს გაფხროკვებული სტომაქი! საძრახისი კია, როგორც ჩანს, თავმოყვარე თაგვისთვის ასეთი სულნასულობა. განა ისა, რომ გაინძრეს, რამე მოიქონიოს, ბოლოსდაბოლოს აქ იყიდოს და იქ გაყიდოს, ეგაც ხომ საქმეა და თანაც როგორი სარფიანი! თუმცა, აბა, იქ რა ხდებოდა, იქ, იმ რჩეულთა ამა სოფლისა ნიჭიერთა შორის? ან იმათ რა დაემართათ, ხუმბურაში კი არა, თვით აქაფებულ ტუმბოში რომ გადაეშვნენ თავით?!?

ფიქრებში წასულიყო აპარეკული სახირას ორივე ხელით ჩამოჰყრდნობოდა და იმაზე ფიქრობდა, რომელი უფრო კარგი თაგვი იყო, ალატში რომ ჩამდვრალიყო და მერე ვნებააშლილი და სისხლაქაფებული თავის მოძმე-მოდეებისაკენ მიიჩევდა, თუ წისქვილის საღორეში რო დაძვრებოდა გალუმპული, გულის ფანცქალით და შემთხვევით მიმოფანტული ფქვილის ნარჩენებით გადიოდა იოლას? ჰა, რომელი? იქნებ არც ერთი!

და სანამ მეწისქვილე ფიქრებში მოგზაურობდა, იმის ციცას ერთი ნასმურევზე გამოფხიზლებული თაგუნა დაეჭირა და აკრობატიკაში გულმოდგინედ ავარჯიშებდა, ხან მაღლა შეათამაშებდა, ხან გვერდზე გაისროდა, ისევ დაიჭერდა და ისევ თავიდან. დაინახა ეს კაცმა და წყრომით შეუძახა:

— თხაცი, ციცო, შე ვერანავ, შენა, ხო გაგაფრთხილე, რო თაგვიც კი ადამიანიაო!

კატამ კუდი ამჯერად შუბივით შემართა, თეთრი ულვაშები არხეინად გაილოკა, გულგახეთქილი თაგუნა უწადინოდ გაათავისუფლა და მოკრძალებით ჩაილაპარაკა: — ეგრე კი არა, შენ ესე მითხარი — ალატში ადამიანიც კი თაგვიაო.

— ჰმ, ამას უყურე, ციცაც რო სიტყვას შეუსწორებს კაცს! — თავისთვის ჩაილაპარაკა აპარეკულმა და სახირა საღორეში ჩაუშვა, როგორც იქნა ჩაარჭო ბორბლის ფრთებს შორის და წისქვილი გააჩერა.

— რა ვქნათ ეხლა, რას უპირებ ამათ?

წამოიკნავლა კატამ, თავი წისქვილში მოფუსფუსე თაგვებისკენ გადააწყვიტა, ერთი გემრიელად დაამთქნა-რა და ტუჩებზე მომდგარი ნერწყვი გულმოდგინედ მოილოკა.

— რა უნდა ვქნათ! არ იცი, რა უნდა ვქნათ? ეს ნასწორფრალ-ნაწაწლარი და მუცლის ჩახედვამდე ნასვამ-ნაჭამი მაყრები, კეთილი უნდა ვინებოთ და ისე უნდა გავაცილოთ, როგორც კარგ და სანიმუშო მასპინძელსა და მის სანაქებო მძახლებს ეკადრება — მუსიკითა და სიმღერით!

თქვა აპარეკულმა, გარეთ გავიდა, ფანდური აიღო, იმ დასასვენებელ ქვაზე ჩამოჯდა, — აბა, ციცო, გავამხი-

არულოთ მაყრები? – ჩაეკითხა პატრონის მოქმედებით აშკარად ნასიამოვნებ კატას და იმანაც ხალისიანად ნა-მოიკნავლა:

– შენ დაუკაარ!

აპარეკულმაც ჩვეული ხელოვნებით ჩამოჰკრა ფან-დურს, ყელი მოიღერა, გაღმინებულმა ალმაცერად გახე-და წყალგაღმა, ფერდობზე სახნავად გასულ მეზობლებს და სიმღერა წამოიწყო:

„მაიჭივრ, აპარეკულო, თაგვთ სასაცილო რად ხდები?

აქ ფქვილი ამოგიჭამეს, იქ ერბოიან კასრები,

თუ მახკლავ თაგვის დედასა, თასა პატივა მაგცემდი...“

მისწვდა და ეცნო სიმღერის ხმა მახლობლად ყანის ხვნაში გართულ გამახელას, გააჩერა ხარები, ხელი მზე-ზე მოიჩრდილა და წისქვილის წინ ქვაზე ჩამომჯდარ და მომღერალ აპარეკულს რომ მოჰკრა თვალი, ის ხელი მოწყვეტით, მძიმედ ჩაიქნია, მეორე ხელის მუშტი კი ჰა-ერში შეათამაშა და აპარეკულის მისამართით ერთი ტაშ-ხოშიანადაც შეიკურთხა.

სოლისი

ხევსურებიც იცინიან (რედაქტორისაგან)	3
ხევსურული დევთა ქორნილი და პერძნული ფილოსოფიური ნადიმი.....	8
ეშმაკური ხახანი, ანუ ჩაშლილი სამძიმარი	28
„რა ყვავი ვარდსა იშოვებს“, ანუ იმპერატორის სასიძო.....	45
დაკარგული პარასკევი, ანუ უთავო მოლაშქრენი.....	61
აპარეკულის სტუმრები, ანუ თაგვების ქორნილი.....	88



გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 0186, ა. პოლიტარვისას N^o4. თ: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversal@gmail.com